რუს პატრიოტებს აფხაზეთის დაკარგვის ეშინიათ A3

"დინამოს" "არწივები" მიწაზე დაეშვა A6

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 17 ივლისი, 2003 წელი. №194 (406) | ფასი 30 თეთრი

# პარლამენტმა აღმასრულებელ ხელისუფლებას გაერო-ს წესდების მეშვიდე მუხლისკენ "უბიძგა"



პარლამენტის რიგგარეშე სესიის პირველი სხდომა აფხაზეთიდან დევნილთა აქციის ფონზე მიმდინარეობდა.

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის რიგგარეშე სესიის პირველი დღე საკმაოდ მაჟორულ ნოტაზე დაიწყო: ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმა ნინო ბურჯანაძეს დაბადების დღე მიულოცა და უზარმაზარი თაიგული მიართვა. ამის შემდეგ სიტყვით გამოსული თითოეული დეპუტატი თავს ვალდებულად თვლიდა, პარლამენტის ლიდერის მიმართ თავისი კეთილგანწყობა გამოეხატა და იუბილარისთვის წარმატებები ესურვებინა. სპიკერთან დაკავშირებული "საზეიმო" განწყობა საკანონმდებლო ორგანოს მთელი დღის განმავლობაში გაჰყვა და სხდომამ, ძირითადად, მშვიდ, საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა. შეიძლება ითქვას, რომ გუშინდელი დღე საკმაოდ პროდუქტიული გამოდგა კანონშემოქმედებითი თვალსაზრისით: პარლამენტმა მიიღო რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელთა შორისაც აღსანიშნავია დადგენილება აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, აგრეთვე გადაწყვეტილება "სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდებასთან" საქართველოს მიერთების თაობაზე.

გაგრძელება A3 გვერდზე

# შაშიაშვილი კვლავ გადადგომით იმუქრება

სოფიკო ოხანაშვილი

გუშინ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში იმერეთის გუბერნატორი და საბითუმო ბაზარი, გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია და გაერთიანებული ელექტროსისტემა იმერეთის ელექტრომომარაგების საკითხებსა და 14 ივლისს ქუთაისსა და ზუგდიდში მომხდარ ინციდენტებს განიხილავდნენ. ოთხსაათიანი დაძაბული თათბირის შემდეგ, რომელსაც ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა ხელმძღვანელობდა, მხარეები შეთანხმებამდე ვერ მივიდნენ.

შაშიაშვილმა გააპროტესტა გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის მიერ წარმოდგენილი პროგრამა, რომლის მიხედვით გაერთიანებულ სადისტრიბუციო ელექტროკომპანიას მიეწოდება საშუალოდ 50 მეგავატი ელექტროენერგია, პიკის საათებში ელექტროენერგიის მოცულობა 90 მეგავატამდე იზრდება. აღნიშნული მოცულობის ელექტროენერგია ფილიალებს შორის გადახდის ადეკვატურად გადანაწილდება.

**"ამ პროგრამის ამოქმედება ომის დაწყებას, ქვეყანაში ჯანყს, ნულოვან გადახდას ნიშნავს, ამის შემდეგ თქვენ ვერც ერთ სადგურს ვეღარ დაიცავთ ხალხის შეჭრისგან. 50 მეგავატი ელექტროენერგია მარტო ქუთაისისთვისაც კი კატასტროფაა, არა თუ მთლიანად გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისთვის"**, - განაცხადა იმერეთის გუბერნატორმა და ამ პროგრამის ამოქმედების შემთხვევაში თანამდებობის დატოვებით დაიმუქრა.

გადადგომამდე კი, შაშიაშვილმა ენერგეტიკოსებს თავისეული ვარიანტი შესთავაზა. შაშიაშვილის პროგრამის თანახმად, ელექტროენერგია უნდა მიეწოდებოდეს ყველა იმ ფიდერს, რომელიც მოხმარებული ელექტროენერგიის 60 პროცენტს იხდის. იმერეთის გუბერნატორის მტკიცებით, ასევე აუცილებელია სამთვიანი პროგრამის ამოქმედება, რომლის თანახმადაც, ქუთაისს მიმდინარე თვეში უნდა მიეწოდოს 30 პროცენტით მეტი ელექტროენერგია, ვიდრე მას გადახდილი აქვს წინა თვეში, ერთი თვის შემდეგ 30 პროცენტი 15 პროცენტამდე შემცირდება. შაშიაშვილის ვარაუდით, სამი თვის შემდეგ მდგომარეობა დაბალანსდება და მიწოდებაც გადახდის ადეკვატური იქნება. გარდა ამისა, იმერეთის გუბერნატორი დაიმუქრა, რომ აუცილებლად დასვამს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხს იმ პირთა მიმართ, ვინც იმერეთისა და სამეგრელოს მთლიანად გათიშვის ბრძანება გასცა.

თავის მხრივ, სისხლის სამართლის საქმის აღძვრას აპირებს გაერთიანებული ელექტროსისტემა იმ პირების მიმართ, ვინც 14 ივლისს უკანონოდ და ძალისმიერი მეთოდებით შეიჭრნენ მაღალი ძაბვის ელექტროსადგურებში.

აღშფოთებული იმერეთის გუბერნატორი PA conSulting-ის მრჩეველს, ფინანსთა ექსმინისტრს ზურაბ ნოღაიდელს დაუპირისპირდა, ძველი ცოდვები გაუხსენა და არც პირადი შეურაცხყოფისგან შეუკავებია თავი.

თათბირი ღამის პირველ საათზე, ყოველგვარი შედეგის გარეშე დასრულდა.

გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ დეტალური გეგმა დავით მირცხულავას დღეს უნდა წარუდგინოს.

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 31 | |
| ქუთაისი | 28 | |
| ბათუმი | 24 | |
| სოხუმი | 26 | |
| ფოთი | 26 | |
| თელავი | 29 | |
| ზუგდიდი | 27 | |
| გორი | 27 | |
| ახმეტა | 29 | |
| ჭიათურა | 28 | |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1400 |
| ევრო | 2.4238 |
| გირვანქა სტერლ | 3.4942 |
| რუბლი | 0.0704 |

# ატენსას დელეგაციის გასაიდუმლოებული ვიზიტის დეტალები

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

*საქართველოში მეორე დღეა იმყოფება ატენსას (ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს) დელეგაციის ოთხკაციანი ჯგუფი, რომელიც საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან დახურულ კარს მიღმა მოლაპარაკებებს აწარმოებს. როგორც ცნობილია, ატენსამ უკვე დააფინანსა საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე პროექტი, რომლის ფარგლებში ბევრი საშიში რადიაციული წყარო იქნა მოძებნილი და გაუვნებელყოფილი. წინასწარი ინფორმაციით, მიმდინარე ვიზიტის დროს იგეგმება ახალი ხელშეკრულების ხელმოწერა, ოღონდ ამჯერად დღის წესრიგში დგება რადიაციული წყაროების აღმოჩენა საქართველოს მთიან რაიონებში, მათ შორის პანკისის ხეობაში, სადაც ეს სამუშაოები არასოდეს ჩატარებულა.*

გაგრძელება A3 გვერდზე



პანკისის ხეობაში სამხედროფორმიანი მომკვლევების გამოჩენა დამატებით პრობლემას გააჩენს.

# ვინ რა არის საქართველოში

დალი კუპრავა

*თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური, სოციალური, განათლებისა და სასამართლო სისტემების, ჯარისა და პოლიციის, საგარეო ურთიერთობების, სამოქალაქო საზოგადოების, სოციალური კონტროლის ფორმების, პოლიტიკური პარტიებისა და არჩევნების, ეკლესიისა და მასმედიის, ოლიგარქებისა და ბიზნეს-ჯგუფების ანალიზის საფუძველზე წიგნის ავტორი ამტკიცებს, რომ საქართველოში, საბჭოთა კავშირის ნაცვლად, შუა საუკუნეები აღდგა და ისე, რომ ერთხელაც არ არის ნახსენები სიტყვა "კორუფცია".*

გაგრძელება A4 გვერდზე



გიგი თევზაძე, ბაკურ სულაკაური და ლევან ბერძენიშვილი.

# არჩევნების დემოკრატიულობა - პასუხი კითხვაზე, არის თუ არა საქართველო ევროპული ქვეყანა

თამარ ხორბალაძე
სტრასბურგიდან

ევროსაბჭო შეშფოთებულია საქართველოში არსებული პოლიტიკური კორუფციის მასშტაბებით და ქართველ პოლიტიკოსებს საარჩევნო თანხების გათეთრების ანუ გამჭვირვალეობისკენ დაჟინებით მოუწოდებს.

**"ნამდვილად არ გვჭირდება კორუმპირებული პოლიტიკოსები. კორუფცია საზოგადოებას ნამდვილად უზღუდავს შესაძლებლობებს,** - განაცხადა ოთხშაბათს სტრასბურგში ქართველ ჟურნალისტებთან საუბრისას ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა ვალტერ შვიმერმა და დასძინა, - **ევროსაბჭოს რეკომენდაციები სავალდებულო ხასიათისაა და მათი შესრულება ნამდვილად სავალდებულოა. თუ საქართველო ვერ შეასრულებს რეკომენდაციებს, ალბათ, საუბარი უკვე იმაზე იქნება, უნდა იყოს თუ არა საქართველო ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა. თუ საქართველოს სურს, იყოს ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა, მან უნდა შეასრულოს ეს რეკომენდაციები. ჩვენ გვინდა, მას ეს პროცესი გავუადვილოთ და ამიტომ ახორციელებს ამდენ პროგრამას ევროსაბჭო საქართველოში."**

ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა გუშინ იმაზეც გააკეთა მინიშნება, რომ ევროსაბჭო საქართველოს ხელისუფლების სიტყვას აღარ ენდობა: "**ინგლისელებს კარგი გამოთქმა აქვთ - ნამცხვარი რამდენად გემრიელია, მხოლოდ მაშინ გაიგებ, როცა მის ჭამას შეუდგები. არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება იქნება იმაზე პასუხი, თუ რამდენად მიისწრაფვის საქართველო დემოკრატიისაკენ."**

გაგრძელება A3 გვერდზე

# დეპუტატები მინისტრის მისაღებში შიმშილობენ

"ნაციონალური მოძრაობის" ექვსმა აქტივისტმა იუსტიციის მინისტრის მისაღებში შიმშილობა დაიწყო. კოტე კემულარია, ლადო ჭიპაშვილი, ვანო მერაბიშვილი, აკაკი ბობოხიძე, კობა დავითაშვილი და ზვიად ძიძიგური აბაშის რაიონული სასამართლოს იმ გადაწყვეტილების აღსრულებას მოითხოვენ, რომლის თანახმად, სამტრედიელ პენსიონერებს 1998-1999 წლებში დაგროვილი საპენსიო დავალიანება უნდა დაუფარონ.

როგორც კობა დავითაშვილმა "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება შეგნებულად ჭიანურდება; თანაც დარღვეულია იურიდიული ნორმები. კობა დავითაშვილი აცხადებს, რომ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საპენსიო ფონდმა უკვე თბილისში, იმავე დონის (ანუ რაიონულ) სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა მას ამის იურიდიული უფლება არ ჰქონდა, ვინაიდან, კანონის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ან იმავე სასამართლოში, როცა საქმეში აღმოჩენილია ახალი გარემოებები, ან ზემდგომ ინსტანციაში. **"აქედან გამომდინარე, თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ**

გაგრძელება A2 გვერდზე

# რეალისტი დირექტორი და კაპროლაქტამის ზღაპარი

## "აზოტის" თანამშრომლებს შემცირებები ემუქრებათ

*"ბიზნეს-გეგმის მიხედვით, მომავალ წელს "იტერა" "აზოტში" 5 მილიონ დოლარზე მეტს ჩადებს და აამუშავებს კაპროლაქტამის წარმოებას. 2004-2008 წლებში კი 8-10 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს საწარმოში. გარდა ამისა, შენარჩუნდება სამუშაო ადგილები, საშუალო ხელფასი კი ყოველწლიურად 30 პროცენტით გაიზრდება," - ასეთ ინფორმაციას ავრცელებდა "აზოტის" "იტერასათვის" მიყიდვამდე მისი მაშინდელი გენერალური დირექტორი გიორგი გოგოლაძე. იგივეს ხშირად იმეორებდნენ საქართველოს პრეზიდენტი და სახელმწიფო მინისტრი. გარიგება შედგა, "აზოტი" იტერას" ეკუთვნის, ყველა დაპირება კი ისევ დაპირებად დარჩა.*

მაია მოსიაშვილი

"აზოტის" ახალი ხელმძღვანელობა დღეს უკვე აღარ მალავს, რომ საქმე არც ისე კარგადაა. დღეისათვის კვლავ გაჩერებულია ციანმარილების წარმოება, მიზეზად რეალიზების პრობლემას ასახელებენ. ასევე პრობლემურია ბიგ-ბეგებში ჩატვირთული და რამდენიმე რიგად დასაწყობებული ამონიუმის გვარჯილის რეალიზება. "24 საათის" ინფორმაციით, "იტერა", ჯერჯერობით, თავს იკავებს დაპირებული ინვესტიციების ჩადებისგანაც.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ამხილეს ბავშვების გამყიდველთა ათკაციანი ჯგუფი

*ბოლო პერიოდში საქართველომ ჩვილ ბავშვთა ვაჭრობითაც გაითქვა სახელი. რამდენიმე წლის განმავლობაში სამართალდამცველებმა ბავშვებით ვაჭრობის საკმაოდ ბევრი ფაქტი გამოავლინეს, მაგრამ როგორც ჩანს, ქვეყანაში არასრულწლოვანთა გაყიდვით გამდიდრების მსურველი არ ილევა.*

თამარ კაციტაძე

გუშინ თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს, ვაკე-საბურთალოს რაიონის და შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში, ჯემალ ყურაშვილის ოჯახში იპოვეს ორი ჩვილი - მაკა და გიორგი. ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, ყურაშვილების ოჯახში ჩვილი ბავშვები გასაყიდად იყვნენ მიბარებულები. თუმცა, ჯერ კიდევ მოწმის სახით დაკითხულმა ოჯახის წევრებმა ბავშვებით ვაჭრობასთან ყოველგვარი კავშირი კატეგორიულად უარყვეს და განაცხადეს, რომ მაკა და გიორგი რამდენიმე დღით უცნობმა პიროვნებამ მიაბარა. ბავშვებით ვაჭრობის შესახებ ინფორმაცია პოლიციამ რამდენიმე დღით ადრე მიიღო. პირველადი ინფორმაციით, აღნიშნულ ოჯახში სამი ბავშვი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, სამი დღის წინ ერთი ბიჭი ჯერჯერობით დაუდგენელმა უცხოელმა იყიდა. სამართალდამცველებს იმედი აქვთ, რომ უკანონოდ გასხვისებული ბავშვი ჯერ კიდევ საქართველოშია და უახლოეს დღეებში მის პოვნას შეძლებენ.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები | A3 ამბები | A4 ამბები | A5 ამბები | A6 სპორტი | A7 რევიუ | A8 სხვადასხვა

# ქართული ეკონომიკის "შავ ხვრელებს" "დიდი ოთხეულის" აუდიტორები ამოავსებენ

*ფინანსთა სამინისტროში ჩატარებული ტენდერის წინასწარი მონაცემებით, სახელმწიფო შპს-ების: "ფოთის პორტის", "საქართველოს რკინიგზისა" და "მადნეულის" მომავალი აუდიტორები მსოფლიოს აუდიტორთა "დიდი ოთხეულის" წევრები – "პრაისუოთერსჰაუს კუპერსი", "ერნსტ ენდ იანგი" და "დელოიტ ენდ ტუში" იქნებიან. "დიდი ოთხეულის" მეოთხე წარმომადგენელი, "ქეი-ფი-ემ-ჯი" ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერით საერთოდ არ დაინტერესებულა.*

მაია ურუშაძე

წინასწარი მონაცემებით, "ფოთის პორტის" აუდიტს "პრაისუოთერჰაუს კუპერსი" 120 ათას დოლარად განახორციელებს, "საქართველოს რკინიგზას" "ერნსტ ენდ იანგი" 395 ათას დოლარად შეამოწმებს, ხოლო "მადნეულის" ფინანსურ მდგომარეობას "დელოიტ ენდ ტუში" 240 ათას დოლარად შეისწავლის.

ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ზურაბ სოსელიამ, რომელიც კომისიის მუშაობას უძღვებოდა, გამარჯვებული აუდიტორების ხმამაღლა დასახელებისაგან თავი შეიკავა და განაცხადა, რომ გამარჯვებულთა ვინაობა მხოლოდ 16 ივლისს, **"სატენდერო ქულების ზუსტი დაჯამებისა და ოფიციალური ოქმის შედგენის შემდეგ"** გახმოვანდება.

სულ ტენდერში ცხრა სუბიექტი მონაწილეობდა, მათ შორის სამი – ქართული კომპანია იყო. სატენდერო კომისიამ, ტექნიკური მონაცემების პაკეტების შესწავლის შედეგად, ყველა ქართველი აუდიტორი გაცხრილა.

ფინანსური პაკეტების გახსნა მოგვიანებით იყო დაგეგმილი, თუმცა კომისიის თავმჯდომარემ, "ტენდერის" სასწრაფოდ დასრულების" მიზნით, ეს პროცედურა იმავე დღეს ჩაატარა.

მიუხედავად იმისა, რომ ტენდერის პირველი ეტაპი წარმატებით განვლო და ტექნიკური მოთხოვნები დააკმაყოფილა ტენდერში მონაწილე კიდევ ორმა საერთაშორისო კომპანიამ, ფრანგულმა "გრანტ სორნტონ ამიოტმა" და რუსულ-ჰოლანდიურმა "ბი-დი-ოუ იუნიკონ რუფმა", კომისიამ მათი ფინანსური წინადადებები არ მოიწონა. შესასრულებელი სამუშაოს მათ მიერ შემოთავაზებული ფასი კომისიისთვის "არარეალურად დაბალი" აღმოჩნდა. საბოლოოდ, კომისიამ შემოსული ფინანსური წინადადებების "საშუალო არითმეტიკული" გამოიყვანა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფინანსური "შავი ხვრელების" ამოვსების საქმე მსოფლიოში საუკეთესოებად აღიარებულ საერთაშორისო აუდიტორებს გადაულოცა.

სოსელიას განცხადებით, ტენდერში მონაწილე კომპანიების გამოვლენისას კომისია ყურადღებას აქცევდა **"ფასსა და პირობებს." "შეფასების კრიტერიუმი იყო შემოთავაზებული ფასის რეალურობა და გადახდის მოთხოვნები – თუ ვინ რამდენს და როდის ითხოვს,"** – განაცხადა სოსელიამ.

"საქართველოს რკინიგზაში", "ფოთის პორტსა" და "მადნეულში" აუდიტის ჩატარებას საქართველოს მთავრობას საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, უკვე დიდი ხანია, სთხოვენ. ეს საკითხი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის მიერ საქართველოს მთავრობისათვის დატოვებული ერთ-ერთი ძირითადი რეკომენდაციაა.

# რეალისტი დირექტორი და კაპროლაქტამის ზღაპარი

პირველი გვერდიდან

კვლავ ბუნდოვანია კრედიტორული დავალიანებების გასტუმრების საკითხი. ახლახან ცნობილი გახდა, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლომ უკვე დააკმაყოფილა "აზოტის" გენერალური დირექტორის ანდრეი პარშუტინის თხოვნა რეაბილიტაციის ვადების გახანგრძლივების თაობაზე და ეს პროცესი 2005 წლამდე გააგრძელა. ამით "იტერამ" თავიდან აიცილა რეაბილიტაციის გეგმის შეუსრულებლობის გამო "აზოტის" გაკოტრების შესაძლებლობა.

ასევე უიმედოა კაპროლაქტამის წარმოების მომავალი. მისი ამუშავების პერსპექტივა საქართველოს ხელისუფლებისათვის ერთ-ერთი მთავარი კოზირი იყო. "იტერას" ქარხანაში შემოსვლამდე ყველა, პრეზიდენტით დაწყებული და დირექტორით დამთავრებული, ირწმუნებოდა, რომ კაპროლაქტამი ივნისის ბოლოს აუცილებლად ამუშავდებოდა. დღეს კი გენერალური დირექტორი პარშუტინი აცხადებს: **"მე რეალისტი ვარ და კონკრეტული ვადების დასახელებისაგან თავს შევიკავებ".**

სპეციალისტები უკვე დარწმუნებულნი არიან, რომ ზღაპარი ქართულ კაპროლაქტამზე რეალური ვეღარ გახდება, რაც იმას ნიშნავს, რომ სამუშაოს დაკარგავს ასობით ადამიანი, ვინც ამ წარმოებაში იყო დასაქმებული. მცირე საკადრო შემცირებები "იტერამ" "აზოტში" უკვე დაიწყო, თუმცა საეჭვოა, არჩევნებამდე ამ პროცესს მასობრივი ხასიათი მიეცეს; აი, შემდეგ კი...

"აზოტის" გენდირექტორს უკვე შესაშური ურთიერთობები აქვს რუსთავის მერთან და ქვემო ქართლის გუბერნატორთან, რომლებიც რუსი პარშუტინის გულისხმიერებაზე სახალხოდ ბევრს საუბრობენ.



"იტერასთვის" მიყიდვამდე სახელმწიფო მინისტრი "აზოტს" ხშირად სტუმრობდა და ნათელ მომავალს ხატავდა.

ამ ურთიერთთანამშრომლობის შედეგი იყო აქციაც, რომელიც "აზოტის" ხელმძღვანელობამ და გუბერნატორმა მამალაძემ ერთად მოაწყეს. "აზოტმა" წალკის რაიონში ჩასახლებულ სტიქიით დაზარალებულებს საჩუქრად გადასცა 70 ტონა გვარჯილა. ასეთივე საჩუქარს მიიღებენ ზესტაფონის ბავშვთა სახლი და გურიის ინვალიდთა ასოციაცია. **"ჩვენ კვლავაც გავაგრძელებთ მათ დახმარებას, ვისაც ნამდვილად სჭირდება შემწეობა,"** - განუცხადა "24 საათს" "აზოტის" გენერალურმა დირექტორმა.

# "იტერას" "გაზპრომის" არ ეშინია

*გუშინ თბილისში "იტერას" ვიცე-პრეზიდენტი გენადი სკიდანოვი ჩამოვიდა. "იტერას" წარმომადგენლობაში განმარტავენ, რომ მისი ვიზიტის მთავარი მიზანი "საქგაზის" "იტერა-ჯორჯიად" გადაკეთებასთან დაკავშირებული საკითხებია. დღეს სკიდანოვი სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრას და "არსებული შეთანხმებების შესრულების მიმდინარეობის" განხილვას გეგმავს.*

მაია ურუშაძე

საქართველოში "იტერას" წარმომადგენელი თამაზ პატარიძე აცხადებს, რომ **"სკიდანოვს "აზოტთან" დაკავშირებული საკითხები აღელვებს".** კერძოდ, "იტერა" "აზოტისთვის" ელექტროენერგიის წყვეტილად მიწოდებას უჩივის და აცხადებს, რომ ამის გამო "აზოტმა" უკვე 700 ათასი ლარით იზარალა. თავის მხრივ, ქართული მხარე "იტერას" მხრიდან "აზოტის" შეუსრულებელ ბიზნესგეგმაზე საუბრობს.

როგორც "იტერას" წარმომადგენლის მოადგილემ დავით ელიაშვილმა "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, გენადი სკიდანოვი თბილისის გაზმომარაგების საკითხებს დედაქალაქის ვიცე-პრემიერთან გიორგი შერაძესთანაც განიხილავს. სავარაუდოდ, დღის წესრიგში ქართული მხარის მიერ პერმანენტულად შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულებები იქნება. როგორც ცნობილია, ქართული მხარე "იტერას" მოხმარებული გაზის საფასურის გადახდას ყოველთვიურად უგვიანებს. ამჯერადაც თბილისმა დავალიანების გადახდის გადავადება თვის ბოლომდე ითხოვა.

"იტერას" ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტი თბილისში სექტემბრისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ ეს მოვლენა ქართულ ბაზარზე "გაზპრომის" გამოჩენამ დააჩქარა.

როგორც ცნობილია, საქართველოს გაზის ბაზარზე "იტერას" "გაზპრომით" ჩანაცვლების საკითხი კვლავ აქტუალურად დგას. ხელისუფლება "გაზპრომთან" ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ აღარ საუბრობს, მაგრამ, მისი მხრიდან იაფი გაზის მოწოდების შემთხვევაში, მაინც გეგმავს გაზის რუსულ გიგანტთან გრძელვადიანი ხელშეკრულების გაფორმებას.

თუმცა, როგორც "იტერას" წარმომადგენლობაში აცხადებენ, ეს "იტერას" არ აწუხებს. საქართველოში "იტერა" ქიმიური მრეწველობის კომბინატს – "აზოტს" და რამდენიმე გაზგამანაწილებელ ქსელს ფლობს. ამდენად, მას ქვეყანაში ბაზარი საკუთარი გაზის სარეალიზაციოდ ნებისმიერ შემთხვევაში გარანტირებული აქვს.

მიუხედავად ამისა, "იტერას" შეშფოთების საბაბი, როგორც ჩანს, მაინც აქვს. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ საქართველოს გაზის კორპორაციამ უკვე დაიწყო "გაზპრომის" გაზის ტრანსპორტირება სომხეთის მიმართულებით. ეს კი მას შემდეგ მოხდა, რაც "გაზპრომმა" "იტერას" სომხეთის გაზის სადისტრიბუციო კომპანიაში 10-პროცენტიანი წილი დაუკანონა, თავად კი გაზის 45-პროცენტიან მეწილედ შევიდა. მიუხედავად იმისა, რომ "იტერა" სომხეთისთვის ჯერ კიდევ რჩება გაზის მთავარ მიმწოდებლად, ქვეყანაში მისი პოზიციები საკმაოდ შერყეულია.

# დეპუტატები მინისტრის მისაღებში შიმშილობენ

პირველი გვერდიდან

**სასამართლოში აბაშის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონის უხეში დარღვევაა",** - ამბობს კობა დავითაშვილი და დასძენს, რომ საპენსიო ფონდმა სასამართლო გადაწყვეტილება ისე გაასაჩივრა, დავაში მონაწილე მხარე - "ნაციონალური მოძრაობა" საქმის კურსში არ ჩაუყენებია.

უნდა ითქვას, რომ 9 806 პენსიონერის სახელით გამოსულმა "ნაციონალურმა მოძრაობამ" ბოლო რამდენიმე თვეში სასამართლო პროცესი შვიდ რაიონში - კასპში, საგარეჯოში, გურჯაანში, ბაღდათში, ცაგერში, ამბროლაურში, სამტრედიაში, რუსთავსა და ქუთაისში - მოიგო. რაც შეეხება სამტრედიას, დავითაშვილი აცხადებს, რომ სასამართლოს მიერ გამოწერილი სააღსრულებო ფურცლის თანახმად, აღსრულების ბოლო ვადა 12 ივლისს ამოიწურა, ამიტომაც ისინი იუსტიციის სამინისტროს კანონით გათვალისწინებული ზომების მიღებას სთხოვენ.

"ნაციონალები" ყველაფერს პოლიტიკას უკავშირებენ; მაგალითად, იგივე კობა დავითაშვილი აცხადებს, რომ **"სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება ჭიანურდება პოლიტიკური მოტივით, რადგან სასამართლო პროცესზე პენსიონერთა ინტერესებს "ნაციონალური მოძრაობა" იცავდა".**

იუსტიციის მინისტრი კი ამ დავაში ჩართვას არ აპირებს. "24 საათთან" საუბრისას როლანდ გილიგაშვილმა განაცხადა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება ავტომატურად გულისხმობს ადრე გამოტანილის შეჩერებას. აქედან გამომდინარე, იუსტიციის სამინისტრო მკვეთრი ნაბიჯებისაგან თავს შეიკავებს.

ამის მიუხედავად, სამინისტროში ცალსახად აცხადებენ, რომ ეს შიმშილობა "ნაციონალების" წინასაარჩევნო კამპანიის შემადგენელი ნაწილია, რომელიც პენსიონერთა გულის მოგებას ისახავს მიზნად.

**"დღეს კანონს ის ხალხი არღვევს, ვინც თბილისის მერიის შენობიდან ხუთჯვრიანი დროშების ჩამოხსნის თაობაზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას ეწინააღმდეგება",** - განუცხადა მინისტრმა "24 საათს".

*24 საათი*

# საქართველოს ბანკმა 5-მილიონიანი სესხი მიიღო

15 ივლისს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (აი-ეფ-სი) და საქართველოს ბანკმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლითაც საქართველოს ბანკი 5 მილიონი დოლარის სესხს მიიღებს. როგორც ხელმოწერის ცერემონიალზე საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ვლადიმერ პატეიშვილმა განაცხადა, სესხის დაფარვის მაქსიმალური ვადა 7 წლით განისაზღვრა.

მისივე თქმით, მიღებული დახმარება მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებისა და იპოთეკური კრედიტებისთვის იქნება გამოყენებული. პატეიშვილის განმარტებით, ამ კრედიტებით მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო სამშენებლო-საპროექტო სამუშაოები წახალისდება. დაფინანსების დროს პრიორიტეტი მიენიჭება რეგიონების საწარმოებს და კერძო პირებს, რადგან საქართველოს რაიონებში საფინანსო სექტორი არ არის კარგად განვითარებული.





ლევან ხერხეულიძის ფოტო

ვლადიმერ პატეიშვილი და ედვარდ ნასიმი პარტნიორობით კმაყოფილები არიან

საქართველოს ბანკსა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას შორის თანამშრომლობა 2000 წელს დაიწყო, როდესაც საქართველოს ბანკმა 3 მილიონი აშშ დოლარის კრედიტი მიიღო. მიღებული თანხით 470 იპოთეკური სესხი გაიცა. უცხოელი პარტნიორები საქართველოს ბანკის მიერ გაწეულ საქმიანობას დადებითად აფასებენ.

*24 საათი*

# სკანდალი ბათუმის პორტის გარშემო

## ტრანსპორტის სამინისტროს თანამშრომელი "აღორძინების" ბრალდებას უარყოფს

მაია ურუშაძე

"24 საათი" უკვე წერდა, რომ აჭარის ლიდერმა ასლან აბაშიძემ ცენტრალური ხელისუფლება ბათუმის პორტისკენ მიმავალი ტვირთების დაბლოკვაში დაადანაშაულა. ასლან აბაშიძის ინფორმაციით, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს მდგრადი განვითარებისა და კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ გიორგი ლეიაშვილმა კიევში, ილიჩევსკი-ვარნა-ფოთი/ბათუმის ბორნების მფლობელ სანაოსნო ფირმა "უკრფერთან" გამართულ საკონსულტაციო-საკოორდინაციო შეხვედრაზე, ისაუბრა ბათუმის პორტის ავარიულ მდგომარეობაზე. მისი თქმით, ეს ინფორმაცია ბათუმში შეიტყვეს "უკრფერის" პრეზიდენტის მიერ ბათუმის პორტში გაგზავნილი ოფიციალური წერილიდან, სადაც იგი ბათუმის პორტის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ითხოვს დაწვრილებით ინფორმაციას.

"აღორძინების" ლიდერმა ჯემალ გოგიტიძემ ამ ფაქტს პოლიტიკური შეფასება მისცა და მიიჩნია, რომ ეს განცხადება წინასწარ გამიზნულად, ბათუმის პორტისაკენ ტვირთნაკადების შემცირების მიზნით გაკეთდა და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრს მერაბ ადეიშვილს აღნიშნულ ფაქტზე სასწრაფო რეაგირება მოსთხოვა.

თავად გიორგი ლეიაშვილი აცხადებს, რომ აღნიშნულ შეხვედრაზე მისი მხრიდან მსგავსი არაფერი თქმულა: **"ეს არის მტკნარი სიცრუე, მე ასეთი რამ არ მითქვამს. ეს იყო სპეციალისტების შეხვედრა, სადაც მხოლოდ ტექნიკური საკითხები განიხილებოდა. იქ ბათუმის პორტის საწინააღმდეგო აზრი არ თქმულა. "უკრფერის" ქმედება ფოთში ტარიფების აწევასთან არის დაკავშირებული. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არც მე და არც ჩემს კოლეგებს აზრად არ მოგვსვლია, რომ ფოთი და ბათუმი ერთმანეთისგან რაიმეთი განგვესხვავებინა - პორტებს ჩვენ წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით განვიხილავთ; არ იქნება გამართლებული, რომ ტვირთნაკადები ერთ პორტზე იყოს ორიენტირებული."**

მიუხედავად ამისა, ტრანსპორტის სამინისტრომ ლეიაშვილის ქმედება "უფლებამოსილების გადამეტებად" შეაფასა, ხოლო უკრაინის ტრანსპორტის სამინისტროს გენერალურ მდივანს ალექსანდრ დემიდენკოს გაუგზავნა წერილი და შეხვედრის ოქმიდან იმ ჩანაწერის ამოღება მოსთხოვა, "რომელიც არ წარმოადგენს ქართული მხარის (ამ შემთხვევაში - სამინისტროს) ოფიციალურ პოზიციას". გარდა ამისა, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრმა გასცა ბრძანება "ამ საკითხის თაობაზე სამსახურებრივი მოკვლევის დაწყების შესახებ."

ჯერჯერობით უცნობია, დატოვებს თუ არა თანამდებობას ლეიაშვილი. ტრანსპორტის სამინისტროში კი მიიჩნევენ, რომ "უკრფერის" მიერ ბათუმისთვის გამოგზავნილი წერილი ფოთის პორტის სატარიფო პოლიტიკაზე ზემოქმედების მოსახდენად იყო გამიზნული. საქმე ისაა, რომ "უკრფერი" ფოთსა და ბათუმში ტარიფების დაწევას ითხოვდა ილიჩევსკის ტარიფის ოდენობამდე, რაც ფოთის პორტმა, ეკონომიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, არ შეასრულა. **"ფოთის პორტში არის არხი, რომელსაც ყოველწლიურად გაღრმავება სჭირდება, ეს კი თანხებთან არის დაკავშირებული და პორტისთვის ტარიფის დაწევა არ იქნება მიზანშეწონილი,"** – მიიჩნევენ სამინისტროში და "უკრფერის" პრეზიდენტის მხრიდან ოფიციალური ბათუმისთვის "ჩამშვები" წერილის გაგზავნასაც ფოთის პორტში არსებული ამ წინააღმდეგობით ხსნიან.

# ძალოვანებს ბიუჯეტი ოცის ნაცვლად 12 მილიონით შეუმცირდებათ

ფინანსთა სამინისტროსა და ძალოვან უწყებებს შორის შეთანხმება შედგა. ძალოვან სამინისტროებს ბიუჯეტი 20 მილიონი ლარის ნაცვლად 12 მილიონით შეუმცირდებათ.

გუშინ პრეზიდენტთან გამართული საგანგებო შეხვედრიდან გამოსულმა ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა განაცხადა, რომ ეს არის **"მაქსიმალური დათმობა, რომელზეც ფინანსთა სამინისტროს შეუძლია წასვლა".** შეხვედრის შემდეგ ძალოვანები კონკრეტულ ციფრებს არ ასახელებდნენ. თუმცა შინაგან საქმეთა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა დაბეჯითებით თქვა, რომ მის უწყებას დაფინანსება 8 მილიონის ნაცვლად მხოლოდ 3 მილიონი ლარით შეუმცირდება. შესათანხმებელი დარჩა საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსების შეკვეცის საკითხი. ფინანსთა მინისტრი საგარეო უწყების ხელმძღვანელობასთან კონსულტაციების გაგრძელებას აპირებს. სახელმწიფო ბიუჯეტის 96-მილიონლარიანი სეკვესტრის პროექტს პრეზიდენტი შევარდნაძე, სავარაუდოდ, კვირის ბოლოს მოაწერს ხელს.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტმა გუშინ რატიფიცირება გაუკეთა საქართველოს მთავრობასა და მსოფლიო ბანკს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც ბანკის მიერ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდისთვის მეორე კრედიტის გამოყოფას ითვალისწინებს. 11 მლნ დოლარის ოდენობის კრედიტი ქვეყნის ღარიბ რეგიონებში განათლების, ჯანდაცვის, წყალსადენებისა და კომუნალური მომსახურების ობიექტების რეაბილიტაციას მოხმარდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა გუშინ მშენებლობისა და ურბანიზაციის მინისტრის პოსტზე თეიმურაზ ჩარკვიანის კანდიდატურა განიხილა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ეროვნულმა ბანკმა ფინანსთა სამინისტროზე 137 მილიონ 200 ათასი ლარის სესხი გასცა, რაც 63 მილიონ 800 ათასი ლარით მეტია 2002 წლის შესაბამის პერიოდში აღნიშნული სამინისტროსთვის გაცემულ სესხებთან შედარებით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებულმა ორგანიზაციებმა 6 თვის სპეციალური (არასაბიუჯეტო) შემოსავლების გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. დაგეგმილი 611,6 ათასი ლარის ნაცვლად შემოსავლებმა 650,3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 106,3 პროცენტი შეადგინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** იმერეთმა ივნისის თვის ბიუჯეტი წარმატებულად შეასრულა. კონსოლიდირებულმა საბიუჯეტო შემოსავლებმა რეგიონში 5 მლნ. 390 ათასი ლარი შეადგინა, რაც მხარის ისტორიაში ყველაზე მაღალი თვიური მაჩვენებელია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნული ბანკის ინფორმაციით, სს „ეა ბანკსა" და სს ბანკ „აბრეშუმის გზას" შორის შემდგარი გარიგების საფუძველზე ამ უკანასკნელმა სს „ეა ბანკის" ყველა ვალდებულება და აქტივი გადაიფორმა. ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს უფროსის მურთაზ კიკორიას განმარტებით, ზემოაღნიშნული ორი ბანკის გაერთიანებისას სს„ეა ბანკის" აქციონერთა ინტერესები გარკვეულწილად შენარჩუნებული იქნება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ბათუმი.** აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე მთავრობის რეფორმირების საკითხის დაყენებას არ გამორიცხავს, თუ ბიუჯეტის შევსებასთან დაკავშირებით სასურველი შედეგი დროულად არ იქნება მიღწეული. ამ ეტაპზე მორიგი საკადრო შეცდომები თავიდან რომ იყოს აცილებული, იგი გარდამავალი მთავრობის იდეაზე აჩერებს არჩევანს. **"გადაყენების მიუხედავად, ყოფილი მინისტრები მუშაობას აგრძელებენ, რათა აჭარის მთავრობაში ვაკუუმი არ შეიქმნას"** - განაცხადა აბაშიძემ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თვითგამოცხადებული აფხაზეთის პრემიერ-მინისტრმა რაულ ხაჯიმბამ ახლად დანიშნულ შს მინისტრს აბესალომ ბეიას კრიმინოგენული ვითარების გამოსასწორებლად ორი კვირა მისცა. აფხაზური მთავრობის სხდომაზე ხაჯიმბამ შეშფოთება გამოთქვა საზაფხულო სეზონთან დაკავშირებით რუსეთიდან აფხაზეთში ჩასულ დამსვენებელთა ძარცვის, დაყაჩაღებისა და გაუპატიურების ფაქტების გახშირების გამო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოხუმის ხელისუფლების ვიცე-პრეზიდენტი ვალერი არშბა უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს თვითგამოცხადებული აფხაზეთის პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა დაკისრებულ მოვალეობას ვეღარ ასრულებს. პრეზიდენტი **"არძინბა ისეთივე ადამიანია, როგორც ნებისმიერი რიგითი მოქალაქე და ავადმყოფობის უფლება აქვს. თუმცა იგი სრულად ფლობს აფხაზეთში არსებულ ვითარებას და უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს მხოლოდ თავად იღებს,"** - განაცხადა არშბამ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფრაქცია „XXI საუკუნის" ლიდერს ელიზბარ ჯაველიძეს „ეროვნული თანხმობის კავშირი" მათი ლიდერის - გურამ აბსანძის შანტაჟში ადანაშაულებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. 21 ივლისს თბილისს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს დელეგაცია ეწვევა. დელეგაციას სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერი ვლადიმირ ლუკინი უხელმძღვანელებს. ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წარმომადგენლები შეხვდებიან პრეზიდენტ შევარდნაძეს, პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს და სხვა ოფიციალურ პირებს. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## როგოზინი სოხუმში არძინბას ნაცვლად ჩავიდა

არძინბას თანაშემწე ასტამურ ტანია აცხადებს, რომ აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის დიმიტრი როგოზინის ვიზიტი სოხუმში გამართულ ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებს უკავშირდება. თავად როგოზინი კი აცხადებს, რომ იგი ორი დღის განმავლობაში გაეცნო აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას. გუშინვე როგოზინი შეხვდა სეპარატისტთა პრემიერს რაულ ხაჯიმბასა და ვიცე-პრემიერს ვალერი არშბას (რომელიც 1-15 ივლისამდე პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა). მათი საუბრის თემა გასაიდუმლოებულია. სავარაუდოდ, როგოზინი ვალერი არშბასთვის "პრეზიდენტის" მოვალეობის უფლებამოსილების გაგრძელების საკითხს შეეხო, თუმცა, ჯერჯერობით, აფხაზეთს "პრეზიდენტი" კვლავ არ ჰყავს.

*მედია-ნიუსი*

## ჯორბენაძე აჭარით უკმაყოფილოა

როგორც სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ ოთხშაბათს განაცხადა, მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სეკვესტრი საჭირო არ იქნებოდა, ცენტრალურ ხელისუფლებასა და აჭარას შორის კონსტიტუციით გათვალისწინებული ურთიერთობები რომ აღდგენილიყო. ჯორბენაძის თქმით, 40 მილიონის გარღვევა სწორედ ამ პრობლემების გამოა წარმოქმნილი. რაც შეეხება აჭარის მეთაურის ასლან აბაშიძის განცხადებას, რომლის თანახმად, სახელმწიფო მინისტრი მას პედაგოგების ხელფასების მომატებისათვის თანხების ჩარიცხვას დაჰპირდა, ავთანდილ ჯორბენაძემ აღნიშნა, ეს რესურსი პედაგოგებისათვის საქართველოს ბიუჯეტში სოციალური ხარჯების სახით არსებობს, მაგრამ იმის გამო, რომ კონსტიტუციური ურთიერთობების აღდგენა ვერ მოხერხდა, აჭარამ ეს თანხა ვერ მიიღო.

*პრაიმ-ნიუსი*

### ორი სიტყვით

**სოხუმი.** აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების თავდაცვის სამინისტრო სამხედრო რეფორმის გატარებას აპირებს. ე. წ. შეიარაღებულ ძალებში დანაყოფები ეტაპობრივად საკონტრაქტო სისტემაზე გადავლენ. ამჟამად მიმდინარეობს ამ დანაყოფებში ჩარიცხვის მსურველთა შერჩევა და მათგან სწრაფი რეაგირების შენაერთების ჩამოყალიბების პროცესი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი.** სოხუმში გაერო-ს ეგიდით გამართულ ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებზე, რომელსაც გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, მხარეები უსაფრთხოების გარანტიების შექმნაზე შეთანხმდნენ. ამასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები სოხუმში, სექტემბერში განახლდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარე თამარ ჩხეიძე მიიჩნევს, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს გარკვეული ზღვარი უნდა დაწესდეს ფულის ხარჯვაზე, რათა პოლიტიკურ ძალებს თანასწორი პირობები შეექმნათ.

"ჭავჭავაძის საზოგადოებაში" აცხადებენ, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ყველა ოპოზიციურ პარტიას უნდა ჰქონდეს ადგილი, თუმცა მოსაწესრიგებელია მექანიზმი, რომელიც არ დაუშვებს ქვეყანაში უამრავი და უპერსპექტივო პარტიის არსებობას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნები" პარლამენტს საარჩევნო კოდექსში იმ ცვლილების შეტანას სთავაზობს, რომელიც დეპუტატობის კანდიდატებს საფინანსო და ქონებრივი დეკლარაციების შევსებას დააკისრებს. ამავდროულად, ორგანიზაციის წევრები განმარტავენ, რომ დეკლარაციის შეუვსებლობა დეპუტატობის კანდიდატის საარჩევნო პროცესიდან ჩამოშორების საფუძველი არ უნდა გახდეს და მხოლოდ ფინანსური სანქციით უნდა ისჯებოდეს. ამასთან, "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ 2 ნოემბერს ყველა სასამართლომ უნდა იმუშაოს და ამომრჩეველთა განცხადებები მიიღოს. **ინტერპრესი**

■ ■ ■

**თბილისი. "საქართველოს პარლამენტის მიერ ოთხშაბათს რატიფიცირებული საქართველო-კუვეიტის შეთანხმება "კუვეიტში საქართველოს სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის სტატუსის შესახებ" ერაყში ქართველი მშვიდობისმყოფელების გაგზავნას გაცილებით გააადვილებს და დააჩქარებს", -** აცხადებს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული დაგეგმარების განყოფილების უფროსი კახა კაციტაძე. **პრაიმ-ნიუსი**

## პარლამენტმა აღმასრულებელ ხელისუფლებას გაერო-ს წესდების მეშვიდე მუხლისკენ "უბიძგა"

პირველი გვერდიდან



*პარლამენტის გუშინდელი მუშაობით თამაზ ნადარეიშვილი ფრიად კმაყოფილი დარჩა.*

დადგენილება აფხაზეთის შესახებ საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას ავალებს, აფხაზეთის ტერიტორიაზე გაერო-ს წესდების მეშვიდე თავის ამოქმედების მიზნით, გაერო-ს უშიშროების საბჭოს წინაშე შესაბამისი ინიციატივით წარსდგეს. ამასთან, პარლამენტი მთავრობისგან მოითხოვს, რომ შესაბამისი ნაბიჯები გადადგას კონფლიქტის ზონაში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის შესაცვლელად და მოამზადოს კონკრეტული წინადადებები სამშვიდობო ოპერაციის ტრანსფორმაციისა და ინტერნაციონალიზაციისთვის (ამ წინადადებებში გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა სახელმწიფოს მზადყოფნა სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად).

გარდა ამისა, დადგენილება აღმასრულებელ ხელისუფლებას ამოცანად უსახავს, "განაგრძოს მუშაობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდის დამადასტურებელ მასალებზე შემდგომი რეაგირებისთვის".

მიუხედავად იმისა, რომ 152-მა დეპუტატმა დოკუმენტს ერთხმად დაუჭირა მხარი, პარლამენტარები ილუზიით არ იკვებებიან და არ სჯერათ, რომ ამით, არსებითად, რაიმე შეიცვლება.

**"ეს დადგენილება ჯადოსნური კვერთხი არ არის და მხოლოდ მისი წყალობით კონფლიქტი ვერ მოგვარდება. სიახლე იმაში გამოიხატება, რომ გაერო-ს წესდების მეშვიდე მუხლზე გადასვლის მოთხოვნა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ადის და სწორედ ამას მივეცით ხმა",** - აცხადებს ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარის მოადგილე ვასილ მაღლაფერიძე.

სხვათა შორის, პარლამენტარებს უკვე ახლავე ეპარებათ ეჭვი მიღებული დოკუმენტის რეალიზების შესაძლებლობაში. ამას ადასტურებს დადგენილების ის ნაწილი, რომელშიც გამოთქმულია სერიოზული უკმაყოფილება იმის გამო, რომ "საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ არ შეასრულა აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებულ დადგენილებათა (1996 წ, 1997 წ, 2001 წ, 2002 წ) მოთხოვნები და არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები".

გუშინ მიღებული დადგენილების თანახმად, მისი შესრულების შესახებ ინფორმაცია პარლამენტის საშემოდგომო სესიის პირველივე სასესიო კვირაში იქნება მოსმენილი.

როგორც აღვნიშნეთ, რიგგარეშე სესიის გუშინდელ სხდომაზე რიგი სხვა გადაწყვეტილებებიც იქნა მიღებული. კერძოდ, პარლამენტმა მოახდინა "საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საქონლის ექსპორტისა და იმპორტის ირიბი გადასახადებით დაბეგვრის პრინციპების შესახებ" შეთანხმების რატიფიცირება, აგრეთვე მიიღო დადგენილება "ერაყში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ასეულის მონაწილეობის შესახებ".

## რუს პატრიოტებს აფხაზეთის დაკარგვის ეშინიათ

### კალინინგრადი როგოზინის ვიზიტის შემდეგ ჩაბარდა დასავლეთს, გუშინ ღამით კი იგი სოხუმიდან მოსკოვში დაბრუნდა

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

"რუსეთის პარლამენტის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის დმიტრი როგოზინის სოხუმში ვიზიტი არაფრით არაა დაკავშირებული აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხთან ან რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში აფხაზეთის ასოცირებულ წევრად მიღების პერსპექტივასთან," - განაცხადა "24 საათთან" საუბარში როგოზინის პრესმდივანმა. მისი თქმით, "დმიტრი ოლეგის ძე აფხაზეთის ეკონომიკურ-პოლიტიკური ვითარების შესასწავლად გაფრინდა სოხუმში, რათა იქ მიმდინარე ორმხრივი მოლაპარაკების პროცესში რუსეთის პოზიცია დააფიქსიროს".

როგოზინი მოსკოვში 16 ივლისს გვიან საღამოს დაბრუნდა. იგი და მისი მოადგილე ალექსანდრ შაბანოვი ასეთი ვიზიტების შემდეგ პრესას გაურბიან; სამაგიეროდ კომენტარებს არ ერიდებიან სახელმწიფო სათათბიროში.

რუსეთის პატრიოტული ყაიდის ორგანიზაციები თუ პოლიტიკური პარტიები ამტკიცებენ, რომ კალინინგრადში რუსეთმა პოზიციები სწორედ როგოზინის ჩასვლის შემდეგ დათმო. იგივეს ხომ არ მივიღებთ აფხაზეთშიც? - კითხულობენ რუსი პატრიოტები და მწუხარებით იმასაც შენიშნავენ, რომ **"ამ პოლიტიკას როგოზინს დღეს მაღლიდან ანუ კრემლიდან კარნახობენ".**

აი, რა განაცხადა ჩვენთან საუბარში სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგიის პრობლემების კვლევის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ გენერალმა ვლადიმირ რომანენკომ: **"სამწუხაროდ, ვითარება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის საზიანოდ იცვლება. რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა თავის პოზიციებს საშიშად თმობს. რუსეთის შეიარაღებული ძალების მონაწილეობა სამშვიდობო ოპერაციებში თუ ვადაზე ადრე შეწყდა, უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს რუსეთის პოლიტიკური პოზიციების შესუსტებაზე იმ რეგიონში, საიდანაც, შეიძლება, რუსეთის ეროვნულ უსაფრთხოებას გამოუსწორებელი ზიანი მიადგეს."**

რუსეთის პარლამენტის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე დმიტრი როგოზინი სოხუმში გამგზავრებამდე ჩვენს გაზეთთან საუბარში აღნიშნავდა:

**"ცუდია ის, რომ ამერიკა ყოველთვის ცდილობდა და მომავალშიც სისტემატურად შეეცდება რუსეთ-საქართველოს შორის ვითარების გამწვავებას. რუსეთის საზიანოდ აფხაზეთში სამხედრო ბალანსის დარღვევის ფაქტები, დიდი ხანია, სახეზეა, იმის მიუხედავადაც, რომ შევარდნაძე კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოების უვადოდ დარჩენაზე თანახმაა."**

რუსეთის პარლამენტის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის გეოპოლიტიკის კომისიის წარმომადგენელი მაიორი ალექსეი ვაშჩენკო, რუსეთის პარლამენტის წითელ-ყავისფერი რადიკალური ფრთის პოზიციას გამოხატავს: **"მას მერე, რაც როგოზინმა კალინინგრადი დასავლეთის წაქეზებით წააგო, ასევე წარმატებით ჩააბარებს აფხაზეთს იმ ძალებს, ვისაც საჭიროა. სოხუმში როგოზინის ვიზიტი ვერაფერს უშველის და ვერაფერს ველარ შეცვლის. მოსკოვში ცხელა, სოხუმში კი მასა და შაბანოვს შავ ზღვაში მუქთა ბანაობის შანსი ყოველთვის აქვთ."**

## ატენსას დელეგაციის გასაიდუმლოებული ვიზიტის დეტალები

პირველი გვერდიდან

ორი წლის წინ, წალენჯიხის რაიონში მდებარე, ბარბალეშის ხეობაში აღმოჩენილმა რადიაციულმა გამოსხივებამ, რომელსაც "სტრონციუმ 90"-ის შემცველი საკუმულატორო ბატარეა გამოყოფდა, ატომიური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შორის თანამშრომლობას ჩაუყარა საფუძველი. მაშინ, ატენსას წარმომადგენელმა, ქართველ სპეციალისტებთან ერთად, ურთულეს მეტეო-პირობებში შეძლეს რადიაციული წყაროს ევაკუაცია სპეციალური სარკოფაგებით და შემოწმება ჩაუტარეს იმ ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებსაც რადიაციის კერასთან ჰქონდათ შეხება. შემდეგ იყო სპეციალური აღჭურვილობის ჩამოტანა ქართველი ქიმიკოსებისთვის და აეროფოტოგადაღებები, რამაც საქართველოს თითქმის ყველა რაიონი მოიცვა აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და პანკისის ხეობის გარდა. ამ სამუშაოთა მოცულობა მთლიანად ატენსამ დააფინანსა და ეს ხარჯთაღრიცხვა გასაიდუმლოებულია, ისევე როგორც - იმ უცხოელი სპეციალისტების ვინაობა, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე რადიაციული წყაროების აღმოჩენისა და ლოკალიზების სამუშაოებს აწარმოებენ. როგორც საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლები აცხადებენ, ამჯერად საიდუმლოების დაცვის რეჟიმი გავრცელდება ქართველ ლიკვიდატორთა ჯგუფზეც, რომელიც ატენსასა და საქართველოს ხელისუფლების შეთანხმებით, პანკისის ხეობასა და აფხაზეთის მიმდებარე მთიან ტერიტორიაზე რადიაციული წყაროების აღმოჩენაზე იმუშავებს. ასეთი "კონსპირაციის" მიზეზი, რთული კლიმატური პირობების გარდა, არის ისიც, რომ სამხედროფორმიანი მომკვლევების გამოჩენას იმ რეგიონებში, შესაძლოა, დამატებითი გართულებები მოჰყვეს.

ამასთან, გარემოს დაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ ატენსას დაინტერესება პანკისის ხეობით ირიბადაც არ უკავშირდება იმ საფრთხეთა შესწავლას, რაზეც გასულ წელს დასავლეთის პრესა წერდა. როგორც ცნობილია, თავის დროზე ბრიტანულ გაზეთ "სანდი ტაიმსში" გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში ნათქვამი იყო, რომ სწორედ პანკისის ხეობაში არსებულ "ტერორისტულ აკადემიაში" გაიარეს მომზადება იმ ავლანელმა ტერორისტებმა, რომლებიც ბრიტანეთის მეტროში ქიმიურ თავდასხმას გეგმავდნენ. ბრიტანული სპეცსამსახურების ინფორმაციით (რასაც ჟურნალისტები ეყრდნობოდნენ), სწორედ ამგვარ ბანაკებში ასაწავლიდნენ დაქირავებულ მებრძოლებს მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებების გამოყენებას.

ნიშანდობლივია, რომ ატენსას გარდა, რადიაციულ უსაფრთხოებაში საქართველოს დახმარება ამერიკამაც აღმოუჩინა. შარშან ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის ექსპერტებმა სპეციალური სამუშაოები შირაქის სამხედრო აეროდრომსა და თელავის საავიაციო ბაზაზე ჩაატარეს. ჯგუფის ხელმძღვანელმა, მაიორმა მაიკლ სკოულზმა, რადიო "თავისუფლებასთან" საუბარში მაშინ განაცხადა, რომ არსებობდა ზეპირი ინფორმაცია დამარხული ბირთვული ნარჩენების შესახებ. თანაც, სამხედრო ობიექტები უშუალოდ ესაზღვრებიან პანკისის ხეობას, სადაც იმხანად რამდენიმე საერთაშორისო ტერორისტი აფარებდა თავს. სპეციალური ლაბორატორიული შემოწმებით შირაქში რადიაციული ნივთიერებები არ აღმოჩნდა. გამონაკლისი იყო თელავის სამხედრო ნაწილი, სადაც რამდენიმე რადიაციული წყაროს არსებობა დაფიქსირდა.

მაგრამ რადიაციულ საფრთხეთა აღმოჩენა ჯერ კიდევ არ იძლევა თავის დამშვიდების საშუალებას, მით უფრო, რომ მათზე საქართველოში ორმაგი მოთხოვნილება შეინიშნება – საყოფაცხოვრებო, როგორც სტრონციუმის შემთხვევაში იყო, როცა სვანეთის მოსახლეობა მას გასათბობად იყენებდა და კომერციული - სამხედრო პროკურატურა ჯერაც უიმედოდ დაეძებს ცეზიუმის კაფსულებს, რომლებიც შარშან ვაზიანის სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე არსებული სარკოფაგიდან მოიპარეს.

## შესაძლოა, შაშიაშვილს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამაც უჩივლოს

სოფიკო ოხანაშვილი

15 ივლისს ქუთაისის საოლქო სასამართლომ გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის სარჩელის საფუძველზე გააუქმა ქუთაისის ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, საბითუმო ბაზარსა და გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას აეკრძალათ ქუთაისისათვის ელექტროენერგიის შეზღუდვით მიწოდება. თუმცა, 15 ივლისს ქუთაისში გუბერნატორმა თემურ შაშიაშვილმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ თბილისის სააღსრულებო ბიურომ პროკურატურაში ქუთაისის სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის გამო საქმე აღძრა გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის გენერალური დირექტორის დევიდ სორნტონის წინააღმდეგ. გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში აცხადებენ, რომ ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეეფერება და ამ დეზინფორმაციის გამავრცელებელს სასამართლოში მოუწევს თავის მართლება.

საქმე ის არის, რომ მიმდინარე წლის სამ ივნისს საბითუმო ბაზრის გადაწყვეტილებით გადაუხდელობის გამო, გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიას 70 პროცენტით შეეზღუდა ელექტროენერგიის მიწოდება. ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო "მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოებამ" მიმართა ქუთაისის ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახდო საქმეთა კოლეგიას და ენერგოკომპანიისგან გადამხდელი მოსახლეობისთვის დენის შეუფერხებლად მიწოდება მოითხოვა. სასამართლომ მოთხოვნა დააკმაყოფილა და გადაწყვეტილება აღსრულებისათვის თბილისის სააღსრულებო ბიუროს გადაუგზავნა. საქმე მოკვლევისათვის გადაეცა სააღსრულებო პოლიციას. სააღსრულებო დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილის გიორგი ჩალათაშვილის განცხადებით, ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, გენერალურმა პროკურატურამ და სააღსრულებო დეპარტამენტის მოკვლევის სამსახურმა მიიღეს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ.

## შიმშილობა შეწყდა, მაგრამ დევნილები ფხიზლად იქნებიან

*აფხაზეთიდან დევნილთა აქცია შეწყდა. დროებით თუ სამუდამოდ, უკვე იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეასრულებს ხელისუფლება დანაპირებს, ანუ აქცევს თუ არა რეალურ საქმედ უკვე მერამდენედ ქაღალდზე აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით მიღებულ პარლამენტის დადგენილებას.*

ლელა მჭედლიძე

გუშინ დილით, "იმელთან" გამართული აქციის მონაწილეებმა, საგაფიცვო კომიტეტის ინიციატივით, პარლამენტის წინ გადაინაცვლეს. პარლამენტის საბოლოო პასუხი დევნილებს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა გამოუტანა.

**"ამ აქციებმა რეალური შედეგი გამოიღო. პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რასაც ჩვენ ჯერ კიდევ 8-9 წლის წინ ვითხოვდით. ახლა, ამ დადგენილების მიღების შემდეგ, აფხაზეთის დასაბრუნებლად გაერო-ს უშიშროების საბჭოს წესდების მე-7 მუხლის ამოქმედება არა მარტო თამაზ ნადარეიშვილის, არამედ საერთოდ სახელმწიფოს კურსი იქნება. "რომის სტატუტთან" მიერთება იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება ხალხზე, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი",** - მიმართა აქციის მონაწილეებს თამაზ ნადარეიშვილმა.

შეკრებილები გამომსვლელს გულისყურით უსმენდნენ. ზოგმა რუსი სამშვიდობოების გასაყვანად კონკრეტული ვადების დასახელება ითხოვა, მაგრამ ამის თქმა ნადარეიშვილს აშკარად არ შეეძლო. სამაგიეროდ, მას ისეთი რამ "დასცდა", რაზეც საუბარი პარლამენტის სხდომაზე არ ყოფილა. როგორც ნადარეიშვილმა დევნილებს ამცნო, ამიერიდან აფხაზეთში დევნილების დაბრუნებამდე საუბარი აღარ იქნება არც სარკინიგზო, არც საზღვაო და არც საჰაერო მიმოსვლის აღდგენაზე.

დადგენილებების ძალაში შესვლის შემდეგ, ნადარეიშვილის აზრით, ადრე მიღებული დოკუმენტების დიდი ნაწილის დეზავუირება უნდა მოხდეს; მაგალითად, 1994 წლის აპრილში მიღებული დადგენილებისა, რომლის მიხედვით, აფხაზეთში დაბრუნება ეკრძალებათ პირებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად იარაღით ხელში იბრძოდნენ. **"გამოდის, რომ აფხაზეთში შესვლის უფლება მხოლოდ ლაჩრებს ექნებათ",** - დასძინა ნადარეიშვილმა.

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ აქციის მონაწილეებს სიფხიზლისაკენ მოუწოდა - თუ ხელისუფლება კონკრეტულ ნაბიჯებს არ გადადგამს, მაშინ ჩვენ აქციების განახლება და მათთვის უფრო სერიოზული ხასიათის მიცემა მოგვიწევსო. ასეთივე განწყობა ჰქონდათ აქციის მონაწილეებსაც. "აფხაზეთის მეომართა კავშირის" წევრი აბესალომ მიქელაძე მოშიმშილეთაგან ერთ-ერთი იყო, რომელმაც პარლამენტის წინ გამართულ აქციაზე დასწრება შეძლო. დევნილებისა და მათი მხარდამჭერების ჯგუფმა კვლავ იმელისკენ გადაინაცვლა, სადაც შიმშილობის აქციის დროებით შეწყვეტის შესახებ მიიღეს კიდეც გადაწყვეტილება.

გუშინ პრეზიდენტთან აფხაზეთის საკითხზე, დახურულ კარს მიღმა, იგეგმებოდა გაერო-ს გენერალური მდივნის ჰაიდი ტალიავინის შეხვედრა. საუბრის თემა უნდა ყოფილიყო ორი დღის წინ, სოხუმში, გაერო-ს ეგიდით გამართული ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების შინაარსი. თუმცა, ბოლო წუთს, რატომღაც, შეხვედრა გადაიდო.

## არჩევნების დემოკრატიულობა - პასუხი კითხვაზე, არის თუ არა საქართველო ევროპული ქვეყანა

პირველი გვერდიდან

ევროსაბჭოში დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების ჩატარების ერთ-ერთ ძირითად პირობად პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო დანახარჯების გამჭვირვალობის მიღწევა, ამ პროცესში კორუფციული გარიგებების აღმოფხვრა მიაჩნიათ.

სწორედ აღნიშნული მიზნის მიღწევას ითვალისწინებენ რეკომენდაციები, რომელსაც ევროსაბჭო საქართველოს ხელისუფლებასა და მთლიანად პოლიტიკურ სპექტრს აძლევს. ამ რეკომენდაციების აღსრულების მონიტორინგისთვის კი ევროსაბჭოსა და ევროსკომისიის ეგიდით, საქართველოს ანტიკორუფციულ ბიუროსთან, იქმნება მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც ოპოზიციური პარტიების, მედიის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები შევლენ.

**"საერთაშორისო თანამეგობრობამ შეიძლება მეთვალყურეობა განახორციელოს, მაგრამ ეს პროცესი ქმედითი რომ იყოს, აუცილებელია მონიტორინგში ადგილობრივი ძალების ჩართვა. ისინი უკეთ იცნობენ ადგილობრივ სპეციფიკას,"** - განაცხადა გუშინ საქართველოში კარგად ცნობილმა ევროსაბჭოს ექსპერტმა მათიას იორშმა, რომელმაც საარჩევნო პროცესის დაფინანსების რამდენიმე მანკიერი მომენტი გამოყო: **"საქართველოში სახეზე გვაქვს ბიზნეს-ჯგუფების კორპორაცია, რომელსაც პოლიტიკური ძალაუფლების ხელში აღება უნდა. საქართველოში, ისევე როგორც ჩემს ქვეყანაში, არსებობს პარტიების დაფინანსებისთვის სახელმწიფო სახსრების გამოყენების პრაქტიკაც. ეს პრაქტიკა აღმოსაფხვრელია..."** - განაცხადა მან.

ის, რომ ევროსაბჭოს განზრახვა ერთობ სერიოზული და ხანგრძლივ პერიოდზეა გათვლილი, დაადასტურა გენერალური მდივნის წარმომადგენელმა საქართველოში პლამენ ნიკოლოვმა, რომელმაც განაცხადა, რომ **"ჩვენ დავაკვირდებით არა მხოლოდ წინასაარჩევნო, არამედ არჩევნების შემდგომ პერიოდსაც."**

სავარაუდოდ დღეს სტრასბურგში გაფორმდება სპეციალური მემორანდუმი, რომელსაც ხელს მოაწერენ 8 პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები. გუშინ ევროსაბჭოს ოფისში გაიხსნა სწორედ ამ მოვლენისადმი მიძღვნილი კონფერენცია, სახელწოდებით - "საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიის მეთვალყურეთა ჯგუფის შეხვედრა".

კონფერენციაზე ქართველი პოლიტიკოსები ადასტურებდნენ რა საკუთარი საარჩევნო დანახარჯების "გათეთრებისთვის" მზადყოფნას, ხაზს უსვამდნენ, რომ ეს სწორედ მათი მოწინააღმდეგის ინტერესებში არ შედის.

**"ყველასათვის ცნობილია, რომ სახელისუფლებო ძალა საბიუჯეტო სახსრებით აპირებს წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებას. ამისთვის სპეციალური მუხლებიც კი არის ჩადებული ბიუჯეტში. ამავე ყულაბაში მიდის ქურდების და კრიმინალების ფული,"** - განაცხადა მიშა მაჭავარიანმა.

**"კრიმინალური და შავი ფული აფინანსებს როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციურ პარტიებს. არიან ადამიანები, რომლებმაც საქართველოს გარეთ იშოვეს ფული და ახლა საქართველოში ათეთრებენ მას. ისინი აფინანსებენ ერთბაშად რამდენიმე პარტიას, მათ შორის – ოპოზიციურსაც,"** - ირწმუნებოდა ზაქარია ქუცნაშვილი.

რა მექანიზმებით აპირებს ევროსაბჭო და კონკრეტულად კი მისი ეგიდით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გაკონტროლებას, ცალკე საუბრის თემაა. ასეთი საუბრები სტრასბურგში გუშინ დაიწყო და კიდევ ორ დღეს გასტანს.

## ქსნის „მინის" საქმეს ისევ საოლქო სასამართლო განიხილავს

სოფო ქვინტრაძე

უზენაეს სასამართლოში ქსნის მინის ტარის ქარხანასა და შპს "რაინდი-1"-ს შორის არსებული დავის განხილვა დასრულდა. უზენაესმა გააუქმა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, "მინას" "რაინდი-1"-სთვის 5 მილიონი დოლარის ოდენობის ზარალის ანაზღაურება დაეკისრა. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქმის ხელახალი განხილვა საოლქო სასამართლოს სხვა კოლეგიას დაევალა. "მინის" ადვოკატის ნიკა ღვინაძის განცხადებით, ისინი ელოდნენ, რომ უზენაესი სასამართლო მხარეებს შორის დავას წერტილს დაუსვამდა. **"თუმცა, ის ფაქტი, რომ კოლეგიამ გააუქმა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მეტყველებს იმაზე, რომ ეს გადაწყვეტილება სამართლიანი არ იყო,"** – განაცხადა ნიკა ღვინაძემ.

"მინასა" და "რაინდი-1"-ს შორის დავის საგანი რუსეთში გაგზავნილი მანქანა-დანადგარები გახდა. როგორც ცნობილია, "მინამ" "რაინდი-1"-ს აღნიშნული დანადგარები მიჰყიდა, თუმცა ეს უკანასკნელი აცხადებს, რომ მას ქონება უფლებრივი ნაკლით გადაეცა. "რაინდი-1" მიიჩნევს, რომ ამის გამო მან კუთვნილი მოგება ვერ მიიღო, ამიტომაც ზარალის ანაზღაურებას "მინისგან" ითხოვს.

პრეზენტაცია

# ვინ რა არის საქართველოში

პირველი გვერდიდან

გუშინ ეროვნულ ბიბლიოთეკაში, დიუმას ცენტრის საპრეზენტაციო დარბაზში გაიმართა ფილოსოფიის დოქტორის, პროფესორ გიგი თევზაძის ახალი წიგნის პრეზენტაცია.

"საზოგადოებისთვის წიგნის წარსადგენად ბიბლიოთეკა ყველაზე შესაფერისი ადგილია", - თქვა ბიბლიოთეკის დირექტორმა ლევან ბერძენიშვილმა.

წიგნი გამოსცა "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ". მხატვრული ლიტერატურის გამოცემებს მიჩვეული მკითხველისთვის უჩვეულო აღმოჩნდა გამომცემლობის არჩევანი, მაგრამ ბაკურ სულაკაურმა აღნიშნა, რომ ავტორის წინა წიგნიც მისი გამოცემულია და, მისი აზრით, წიგნი კომერციულობასაც არ არის მოკლებული.

"საქართველო: ძალაუფლების დაბრუნება" გიგი თევზაძის მეოთხე წიგნია.

ავტორის ლაკონიური განმარტებით, სათქმელი სათაურშივეა გამოტანილი, ანუ როგორ დამყარდა 21-ე საუკუნის დასაწყისში საქართველოში შუასაუკუნეობრივი ძალაუფლება.

"საქართველო: ძალაუფლების დაბრუნება" გაგრძელებაა წიგნისა "საქართველო: ძალაუფლების სიმულაციები". ახალი წიგნით ავტორი მკითხველს ამცნობს, რომ სიმულაციის ეტაპი დამთავრდა, დაიწყო მეორე, ძალაუფლების დაბრუნების ფაზა, მაგრამ მკითხველს თავად მოუწევს გარკვევა, ვინ ბრუნდება - მონსტრი თუ გმირი.

"წიგნი ფარისევლურ ძალაუფლებაზეა, რომელიც საქართველოში ძალაუფლების სიმულაციამ მოიტანა და დაამკვიდრა. ეს არაფილოსოფიურად დაწერილი ფილოსოფიური წიგნია, ანუ წიგნი, რომელიც ყველასთვის გასაგებ ენაზეა დაწერილი", -აღნიშნა ლევან ბერძენიშვილმა, რომელსაც არც ის "დაუმალავს", რომ მისი მეგობრის პირველი ორი წიგნი, თავისი "ფილოსოფიურობის" გამო, მისთვის გაუგებარი დარჩა, თუმცა, თავად იყო რედაქტორი.

წიგნის სტრუქტურა უჩვეულოა: მას სამი შესავალი აქვს.

ავტორმა იცის, რომ ძალიან ძნელია, ერთდროულად საქართველოში არსებული ვითარება აღწეროს, ამ ვითარების შესახებ სოციოლოგიურ-ინტელექტუალურ-ისტორიული დასკვნები გააკეთოს და, მიუხედავად ამისა, წიგნი მაინც საინტერესო საკითხავი გამოვიდეს. ამიტომ წიგნს სამჯერ იწყებენ თავიდან. თითოეულ შესავალს წინ უძღვის იმ სამი ტიპის მკითხველის აღწერა, ვისაც ეს განსხვავებული თავები უნდა მოერგოს. სამივე აღწერა მიდის თავთან, რომელშიც ის 12 ნიშანი და ამავე დროს არგუმენტია აღწერილი იმის სასარგებლოდ, რომ საქართველოში საბჭოთა კავშირის მაგივრად შუა საუკუნეები აღდგა, და რომლის წაკითხვაც ამ წიგნის გასაგებად აუცილებელია. წიგნი ასევე სამი დასასრულით მთავრდება. იმ სირთულეებიდან გამოსავალი, რომელშიც მკითხველი შეიძლება აღმოჩნდეს, ავტორსა და ავტორ-ეგოს შორის გამართულ დიალოგებშია, რომელთაც აქვთ პრეტენზია, მკითხველის იმ წუთს წარმოშობილი აზრი ამოიცნოს და ამით წიგნის კითხვა უფრო სახალისო გახადოს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გიგი თევზაძის წიგნს დასასრულიც სამი აქვს და აქვს დასასრულის დასასრულიც - კვლავ დიალოგი ავტორ-ეგოსა და ავტორს შორის. ავტორი ამბობს, რომ ერთადერთი, რაც წიგნში შეძლო, იყო იმ ისტორიების მოკლე გადმოცემა, თუ როგორ გამოვიდა ევროპა შუა საუკუნეებიდან და იმის თქმა, რომ საქართველოს მხოლოდ არსებული სისტემებისა და ღირებულებების ცვლილებებისკენ მიმართულობაზე მართებს ფსონის ჩასვლა. რასაც ავტორ-ეგოს შეკითხვაც მოსდევს, მაშ "ძალაუფლების დაბრუნების" ნაცვლად რატომ არ ჰქვია წიგნს "რიგითი საქართველოს გადასარჩენად"? პასუხად ავტორი წიგნის დასაწყისისკენ მიუთითებს: "დავიწყოთ თავიდან"!

პრეზენტაციის მეორე ნაწილი სწორედ წიგნის დისკურსით წარიმართა – "ინტელექტუალები", ანუ ქართული საზოგადოების გონიერი ნაწილის წარმომადგენლები მაგიდას მიუსხდნენ, დაიწყეს დისკუსია ავტორის მიერვე შერჩეულ თემაზე: "ვინ რა არის საქართველოში", ანუ, წიგნის მიხედვით, დაიწყეს თავიდან.

ფოსტა

# მშვიდობის ვარდები, ანუ მსოფლიო ტერორიზმის გარეშე

*საქართველოს მხატვართა კავშირისა და გამომგონებელთა მსოფლიო ასოციაციის ნამდვილმა წევრმა, ღირსების ორდენის კავალერმა ნიკო მუმლაძემ, პანკისის ხეობის მოსახლეობისა და იქ დისლოცირებულ სამართალდამცველთათვის მოაწყო გამოფენა სახელწოდებით "მშვიდობის ვარდები, ანუ მსოფლიო ტერორიზმის გარეშე" და ამის შესახებ წერილიც მოგვაწოდა.*

**"განსაკუთრებით საინტერესო იყო შეხვედრა ახმეტის მეორე საშუალო სკოლაში, სადაც ბავშვებმა ნახეს ექსპოზიცია - ბოროტების მარცხი. განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად მშვიდობის მოწინააღმდეგე ფაიფურის ბოროტი კაცების დამარცხებას და ტერორიზმთან მებრძოლი უშიშარი გმირების - ინდირა განდის, მარტინ ლუთერ კინგის, ჯო და რობერტ კენედებისა და სხვათა კომპოზიციებს.**

**ბროლის, ფაიფურის, კერამიკის, ხის, მაიოლკის, პლასტიკატისა და სხვა მასალებისგან დამზადებული ათასობით ექსპონატი მშვიდობის საუკეთესო თვალსაჩინოების ნიმუშად გამოდგა.**

**ბავშვებმა საიდუმლოც გამანდეს. ისინი პირველ სექტემბერს მოაწყობენ გამოფენას, სადაც წარმოდგენილი იქნება ის მდიდარი ფოტომასალა, რომელიც გამოფენაზე მეცხრე კლასის წარჩინებულმა მოსწავლემ მარი ირემაძემ გადაიღო",** - წერს ბატონი ნიკო, რომელმაც მარი ირემაძესა და გამოფენის სხვა სტუმრებს თავისი ლექსების კრებული აჩუქა.

ავტორს სურს, მისი ლექსების კრებული "კორბოულის იქით" ჩინურ ენაზე ითარგმნოს და ამისთვის კეთილი ნების ადამიანებს დახმარებას სთხოვს. მას კიდევ ერთი სურვილი აქვს - მისი გამოფენა "მშვიდობის ვარდები, ანუ მსოფლიო ტერორიზმის გარეშე" საქართველოს ყველა კუთხეში იხილონ.

მოკლედ

### ბანკის მძარცველებს უშუქობამ შეუწყო ხელი

ორი დღის წინ, სამტრედიაში, სახალხო ბანკის ადგილობრივი ფილიალი გაძარცვეს. ღამის სამ საათზე ბანკში ოთხი შეიარაღებული ბოროტმოქმედი შეიჭრა და დარაჯს - ზურაბ მიქაძეს ხელ-ფეხი შეუკრა. დამნაშავეებმა ბანკის საცავი ელექტრობურღის საშუალებით გააღეს, საიდანაც 45 000 ლარი და 4 ათასი დოლარი გაიტაცეს. ყაჩაღები ჯერჯერობით დაუდგენელი სისტემის პისტოლეტითა და ხელყუმბარებით იყვნენ შეიარაღებულნი. ყაჩაღობის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ მძარცველები დღემდე სამტრედიაში იმყოფებიან. მიმდინარეობს სამძებრო-ოპერატიული სამუშაოები.

სამართალდამცველთა თქმით, ყაჩაღებმა ისარგებლეს იმით, რომ სამტრედიას იმ დღეს საქართველოს გაერთიანებული ენერგოკომპანიის მიერ დენის მიწოდება შეუწყდა და სიგნალიზაცია არ მუშაობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბანკს მხოლოდ ერთი დარაჯი იცავდა. ამასთან, უკვე რამდენიმე დღეა, რაც პენსიონერები აღნიშნული ბანკის წინ საპროტესტო აქციას ატარებენ და კუთვნილი პენსიის მიღებას უშედეგოდ ითხოვენ.

### უბედური შემთხვევა ქუთაისში

უბედური შემთხვევა მოხდა ქუთაისში. გამსახურდიას ქუჩაზე მცხოვრებ 11 წლის რომეო შარვაშიძეს ხელში დაუდგენელი ნივთიერება აუფეთქდა და ადგილზევე გარდაიცვალა, სხვადასხვა სახის დამწვრობა მიიღო მისმა ორმა დამ, თუმცა მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. სამართალდამცავთა განმარტებით, ბავშვმა ასაფეთქებელი ნივთიერება საცხოვრებელ სახლთან ახლოს მდებარე მიტოვებულ შენობაში აღმოაჩინა. აღნიშნულ ტერიტორიაზე რომეო შარვაშიძე ფერადი ლითონების ნარჩენების მოსაპოვებლად ხშირად დადიოდა. იქ ჯერ კიდევ 20 წლის წინ სამთო ქიმიის პროფსასწავლებელი, შემდეგ კი სამკერვალო კოოპერატივი იყო განთავსებული, ხოლო ბოლო 5 წლის განმავლობაში შენობა მიტოვებულად ითვლება. ამჟამად ექსპერტიზა შესაბამის სამუშაოებს ატარებს ასაფეთქებელი ნივთიერების დასადგენად.

# რა კავშირია გაქცეულ პატიმარსა და საპასპორტო განყოფილების უფროსს შორის




როგორც ცნობილია, სამართალდამცველებმა ბოლო ხანებში საქართველოს ციხეებიდან გაქცეული რამდენიმე პატიმრის დაკავება შეძლეს. ერთ-ერთი მათგანი – 21 მაისს თბილისის მე-5 იზოლატორიდან გაქცეული, 22 წლის ზურაბ კანდელაკი პოლიციამ თბილისის აეროპორტში, კიევის რეისის თვითმფრინავის ბილეთით ხელში აიყვანა. დაკავებულ პატიმარს ვინმე გურამ ნებიერიძის სახელზე გაცემული პასპორტი აღმოაჩნდა.

პასპორტი, რომლის ასლიც ჩვენ ჩაგვივარდა ხელში, ვაკე-საბურთალოს საპასპორტო განყოფილების მიერაა გაცემული და ამ განყოფილების უფროსის კობა მახარაძის ხელმოწერაც ამშვენებს (კობა მახარაძე თბილისის პროკურორის - თენგიზ მახარაძის ვაჟია). გაქცეული პატიმრის ხელში საპასპორტოს უფროსის ხელმოწერის მქონე პასპორტის აღმოჩენას, წესით, ამ უფროსისთვის პრობლემები უნდა შეექმნა. თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის დავით ჯინჯოლავას თქმით, წინასწარი მონაცემებით, პასპორტი, რომელიც გაქცეულ პატიმარს უპოვეს, გადაკეთებულია, ანუ პასპორტის ნამდვილმა პატრონმა ის დაკარგა, მპოვნელმა კი გადააკეთა მონაცემები და შეცვალა ფოტო.

**"სპეციალისტების თქმით, იმ პასპორტს ერთი შეხედვითაც ეტყობოდა, რომ გადაკეთებული იყო,** - ამბობს დავით ჯინჯოლავა, - **თუმცა, საბოლოო პასუხი მაინც ექსპერტიზის დასკვნის მიღების შემდეგ გახდება ცნობილი".**

სხვათა შორის, წინასწარი დასკვნები პასპორტის დაკარგვისა და გადაკეთების შესახებ ისე გაკეთდა, რომ გურამ ნებიერიძის სახელისა და გვარის მატარებელი ადამიანი არ დაკითხულა, ანუ მართლაც დაკარგა თუ არა მან პასპორტი, სამართალდამცავებს არ გაურკვევიათ.

**"მიუხედავად იმისა, რომ კანდელაკი 4 ივლისს დააკავეს, აქამდე ნებიერიძე არ დაგვიკითხავს - გვინდოდა, კარგად მოვმზადებულიყავით",** - გვითხრა ჯინჯოლავამ.

70 წლის გურამ ნებიერიძესთან ტელეფონით დაკავშირება ჩვენც ვცადეთ, მაგრამ იგი შინ არ აღმოჩნდა.

*24 საათი*

# შპს „საქავიასერვისის" ვიცე-პრეზიდენტი დაყაჩაღებისას მოკლეს

გუშინ, გამთენიისას, თბილისში კიდევ ერთი ყაჩაღური თავდასხმა მოხდა. დილის 7 საათზე, იმ დროს, როდესაც შპს "საქავიასერვისის" ვიცე-პრეზიდენტს აკოფ არუთინოვს საკუთარი ავტოფარეხიდან მანქანა გამოჰყავდა, ბოროტმოქმედები დაესხნენ თავს. ავტომანქანის მფლობელი "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტით თავის არეში მძიმედ დაჭრეს, იგი საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა.მოძალადეებმა შემთხვევის ადგილი არუთინოვის "07" მარკის ავტომანქანით დატოვეს. გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, სამართალდამცველები უშედეგოდ ეძებდნენ ყაჩაღების კვალს. თუმცა, როგორც ჩვენთან საუბრისას ისანი-სამგორის რაიონის პროკურორმა ვაჟა აბაკელიამ განაცხადა, **"თავდამსხმელი, სავარაუდოდ, ორი უნდა ყოფილიყო. გამოძიება რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს. გამოკვეთილი ვერსია ჯერ არ გაგვაჩნია. თუმცა, რაღაც ხელმოსაჭიდი დეტალები გამოჩნდა"**

სამართალდამცველთა ეჭვს ბადებს ის ფაქტი, რომ გამტაცებლები არ უნდა დაინტერესებულიყვნენ იმ იაფფასიანი ავტომანქანით, რომელიც შპს "საქავიასერვისის" ვიცე-პრეზიდენტს ეკუთვნოდა. სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით გუშინვე აღიძრა.

# ამხილეს ბავშვების გამყიდველთა ათკაციანი ჯგუფი

პირველი გვერდიდან

მართალია, გამოძიებას, ჯერჯერობით, ბავშვებით ვაჭრობაში ოფიციალური ბრალდებული არ ჰყავს, მაგრამ ფაქტზე შიდა ქართლის სამხარეო პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე უკვე აღიძრა.

გუშინვე სამართალდამცველებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ ბავშვებით მოვაჭრეთა ათკაციანი ჯგუფი ამხილეს. ისინი გვიან საღამომდე იკითხებოდნენ და, სავარაუდოდ, რამდენიმე მათგანს დააკავებენ კიდეც. ცნობილია ჯგუფის ორგანიზატორიც, რომლის ვინაობასაც, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით, ოფიციალურად არ აცხადებენ. ("24 საათისთვის" ცნობილი გახდა, რომ ბავშვებით ვაჭრობის ორგანიზატორი საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეა, რომელსაც რუსი ქმარი ჰყავს).

გამოძიებით დადგინდა ისიც, რომ ერთი თვის განმავლობაში აღნიშნულმა ჯგუფმა ხუთი ბავშვის გაყიდვა უკვე მოახერხა. ბავშვები, ძირითადად, გორის სამშობიაროდან გაჰყავდათ. არაოფიციალური ინფორმაციით, სამშობიაროს ერთ-ერთი თანამშრომელი მშობიარე ქალებს წინასწარ ურიგდებოდა, თანხას უხდიდა და ბავშვებს ჯგუფის წევრების დახმარებით ჰყიდდა უცხოელ კლიენტებზე. უკვე ცნობილია შვილების გამყიდველი დედების ვინაობაც. გუშინ გამომძიებლებმა გამყიდველი დედები და ბავშვებით მოვაჭრეები ერთმანეთს დააპირისპირეს.

ბავშვებით ვაჭრობა საქართველოს კანონმდებლობით დასჯადია და იგი 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პატარა გიორგი და მაკა ამჟამად გორის ქალაქის საავადმყოფოში არიან გადაყვანილები და მათზე, ჯერჯერობით, სახელმწიფო ზრუნავს.

# ნახევარი საათი ექიმამდე

*ცივილიზებული მსოფლიოს ჯანსაღი ცხოვრებისკენ სწრაფვა პირველადი ჯანდაცვის ქსელზე გადის, ვინაიდან ბევრად უფრო იაფი და ეფექტიანია დაავადების პროფილაქტიკა, ვიდრე დაავადებული ადამიანის მკურნალობა. პირველადი ჯანდაცვის ასეთ სტრუქტურაზე საქართველოში, ჯერჯერობით, მხოლოდ ოცნება შეიძლება, თუმცა, როგორც ჯანდაცვის სისტემის მესვეურები ვარაუდობენ, ეს სრულიად რეალური ოცნებაა.*

ზაზა ფარუაშვილი

ეს ოცნება იმიტომაცაა რეალური, რომ სხვა გზა არ არის. დაავადებების გამრავალფეროვნების თანამედროვე ეპოქაში დიაგნოსტიკა და მკურნალობა ისე ძვირი ღირს, რომ ჩვენთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის, მიუწვდომელი სიამოვნებაა. არადა, ახალგაზრდა თაობის დაავადმყოფების საფრთხე იმდენად დიდია, რომ ამის თაობაზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ვასილ ჭეიშვილი ამბობს: **"კრიტიკულ მდგომარეობაში ვართ. თუ დღეს არ მივხედეთ ახალგაზრდა თაობის ჯანმრთელობას, 15-20 წლის შემდეგ შეიძლება კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ!"** მისივე თქმით, იგულისხმება ახალგაზრდა თაობის ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობა და არა რაიმე კონკრეტული დაავადება.

ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალებაა დაავადების პრევენცია, მაღალი ხარისხის პირველადი ჯანდაცვის ქსელის შექმნა.

სსრკ-ს დროს პოლიკლინიკებს რაოდენობრიობის პრინციპით აკომპლექტებდნენ. ავადობის მაჩვენებლის მიუხედავად, ყოველ უბანზე უნდა ყოფილიყო ექიმთა და სპეციალისტთა მაქსიმალურად დიდი რაოდენობა, რამაც წარმოშვა იმთავითვე განწირული ძალიან რესურსტევადი და არაეფექტიანი სისტემა, რომელიც საბჭოთა იმპერიასთან ერთად დაიშალა. საქართველო პირველადი ჯანდაცვის ქსელის გარეშე დარჩა, თუმცა, მსჯელობა ამ საკითხის გარშემო ქვეყანაში არ შეწყვეტილა.

ვასილ ჭეიშვილი: **"ამ მიმართულებით დიდი ხანია ვმუშაობთ და შედეგია ის, რომ წლეულს იწყება სამი სერიოზული პროგრამა: დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების პროგრამა, რომლის ღირებულებაა 5 მილიონი ფუნტი სტერლინგი; მსოფლიო ბანკის პირველადი ჯანდაცვის პროექტი, რომლის ღირებულება 25 მილიონი დოლარია; ევროგაერთიანების პირველადი ჯანდაცვის პროექტი, რომლის ღირებულება დაახლოებით 5 მილიონი ევროა. ამის გარდა, არსებობს უამრავი პატარა და მცირე პროექტი, რომლის ძირითადი მიზანია პირველადი ჯანდაცვის კვალიფიციური სპეციალისტების აღზრდა. ჯამში, 5 წლის განმავლობაში, საქართველოში უნდა დაიხარჯოს 40 მილიონი დოლარი იმისთვის, რომ პირველადი ჯანდაცვის გამართული ქსელი გვქონდეს.**

**ამთავითვე შემიძლია განვაცხადო: 5 წლის შემდეგ საქართველოს მთელ მოსახლეობას ფეხით ნახევარი საათის სავალზე ექნება პირველადი ჯანდაცვის დაწესებულება - გარემონტებული, აღჭურვილი შესაბამისი აპარატურით, ლაბორატორიითა და სათანადოდ გაწვრთნილი ექიმით".**


ზაზა ფარუაშვილის ფოტო

სოფლის "თანამედროვე" ამბულატორია

ახლა მიმდინარეობს მუშაობა გეგმაზე, თუ რამდენი და როგორი ტიპის ამბულატორია გვჭირდება. სწორად ამ გეგმის მიხედვით მსოფლიო ბანკი და ევროგაერთიანება დაიწყებს ამბულატორიების გარემონტებას და აპარატურით დაკომპლექტებას. ამ გეგმას დაემორჩილება ყველა ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ამ პროექტის ფარგლებშია, ანუ ისინი შეასრულებენ ჩვენი ქვეყნის დაკვეთას.

ამბულატორიის მომსახურების მნიშვნელოვან ნაწილს სახელმწიფო დააფინანსებს, დანარჩენს სათემო დაზღვევა დაფარავს. ასე უნდა შეიქმნას ფინანსურად და გეოგრაფიულად ხელმისაწვდომი პირველადი ჯანდაცვის სისტემა.

საჭირო ამბულატორიების ზუსტი რაოდენობა, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის, თუმცა, ოფიციალური ცნობით, მათი რიცხვი 650-დან 750-მდე გაიზრდება.

# ევროსაბჭო ქართულ მოდელს არჩევს

საქმე ეხება სამედიცინო-ბიოეთიკური კომისიების სისტემის მოდელს, რომელიც საქართველოში აუცილებლად შეიქმნება და სამედიცინო-ბიოლოგიურ კვლევაში მონაწილეთა უფლებებს დაიცავს. ამ საკითხებთან დაკავშირებით ჯანდაცვის მართვის ეროვნულ ცენტრში ორდღიანი კონფერენცია მოაწყვეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და ევროსაბჭოს ბიოეთიკის დეპარტამენტმა.

"საქართველოში არსებობს ჯანდაცვის სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა და რამდენიმე ბიოეთიკური კომისიაც, რაც იმას ნიშნავს, რომ სამედიცინო-ბიოლოგიურ კვლევაში მონაწილე ადამიანების უფლებების დაცვის მხრივ ბევრი რამ უკვე გაკეთებულია. ჩვენ ისლა დაგვრჩენია, დავეხმაროთ საქართველოს მთავრობას, შექმნას სამედიცინო-ბიოლოგიური კომისიების სისტემის ოპტიმალური მოდელი. აქვე მინდა გითხრათ, რომ საქართველოში ამ მისიის შესრულება ჩვენთვის დიდი პატივია," – განაცხადა ევროსაბჭოს ბიოეთიკის დეპარტამენტის სპეციალურმა მრჩეველ-ექსპერტმა ელაინ გადიმ.

ორი წელიწადია, საქართველოს პარლამენტში დევს კანონი "ადამიანზე ჩატარებული სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის შესახებ", რომლის მიღების შემდეგ შესაძლებელი გახდება ბიოეთიკური კომისიების სისტემის შექმნა. ეს კი იმის გარანტია უნდა იყოს, რომ საქართველოში არ ჩატარდება ისეთი კვლევა, რომელიც ადამიანებს ზიანს მიაყენებს.

კითხვაზე, თუ როგორი იქნება სავარაუდო სისტემა, ევროსაბჭოს ექსპერტმა, საქართველოს ბიოეთიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გივი ჯავაშვილმა გვიპასუხა: "მსოფლიოში სხვადასხვა სისტემა არსებობს. ზოგან ფუნქციონირებს უშუალოდ დაწესებულებებთან არსებული ბიოეთიკური კომისიები, ზოგან რეგიონული პრინციპი მუშაობს, რომელიც, ჩემი აზრით, საქართველოსთვის უფრო შესაფერისი იქნება".

კონფერენცია დღეს დაამთავრებს მუშაობას.

ორი სიტყვით

**თბილისი.** სამართალდამცავებმა ბოლო ათი დღის განმავლობაში 97 337 ძირი (21 ტონა და 861 კილოგრამი) ველურად მზარდი კანაფი გაანადგურეს. ნარკოტიკული საშუალების შემცველი, ველურად მზარდი მცენარეების განადგურებას სამართალდამცავები 7 ივლისიდან აწარმოებდნენ საქართველოს ყველა რეგიონში, ღონისძიება "კანაფი -2003" ფარგლებში. კანაფი ყველაზე დიდი რაოდენობით განადგურებულია შიდა და ქვემო ქართლში, დმანისის, მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ბენზინის უქონლობის გამო თბილისის რაიონულ სასამართლოებში განსასჯელები ვერ მიიყვანეს. პატიმრების ბადრაგირება მხოლოდ უზენაესსა და თბილისის საოლქო სასამართლოში გახდა შესაძლებელი. როგორც იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში აცხადებენ, სასამართლო პროცესებზე თბილისის სასამართლოებში 105 პატიმარი უნდა გაეყვანილიყო, თუმცა 68 მათგანის სასამართლო პროცესებზე წარდგენა მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც დეპარტამენტმა 100 ლიტრი ბენზინი ისესხა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ბათუმში მცხოვრებ, 56 წლის იაკობ ბაჯელიძის მიმართ, რომელიც სამ მოქალაქეს გერმანიიდან მანქანების ჩამოყვანას შეჰპირდა და თაღლითურად მიითვისა მათი კუთვნილი თანხა 8.500 აშშ დოლარი. ბაჯელიძე გათავისუფლებულია ხელწერილით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ყაჩაღობისათვის ისანი-სამგორის რაიონის შს სამმართველოს მიერ ძებნილი, რამდენჯერმე ნასამართლევი, 29 წლის ზაზა ჯიქია, რომელმაც ორ პირთან ერთად მეტრო სადგურ „ავლაბართან" თბილისში მცხოვრებ იური ღარიბიანს გასტაცა ავტომანქანა „სეატი" და 27 ლარი, რის შემდეგაც აღნიშნული ავტომანქანით ავტოავრია მოახდინა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**გალი.** აფხაზ სეპარატისტთა თავდაცვის სამინისტრო ქართველ პარტიზანებს ულტიმატუმს უყენებს. ამის მიზეზი გახდა 2 ივლისს გალის რაიონის სოფელ გუდავადან გატაცებული ქალაქ ტყვარჩელის მკვიდრი ნიკოლაი სინიაკოვი, რომელიც სეპარატისტთა ჯარში სერჟანტად მსახურობდა. აფხაზური მხარე გატაცებაში, ტრადიციულად, ქართველ პარტიზანებს ადანაშაულებს. სეპარატისტთა თავდაცვის სამინისტრო უახლოეს დღეებში სინიაკოვის უპირობო გათავისუფლებას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი უსაფრთხოების ზონაში ვითარების გამწვავებით იმუქრება. რამდენიმე დღის წინათ, სინიაკოვის გატაცების საპასუხოდ, სეპარატისტებმა გალის რაიონის სოფელ პრიმორსკიდან გაიტაცეს 16 წლის ჩირო ბარქაია და ტუტუ ჯოჯუა (რძალ-მამამთილი). ცნობისთვის: აფხაზურ მხარეს ამ ოჯახის წევრები სხვადასხვა მოტივით უკვე რამდენჯერმე ჰყავთ გატაცებული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ჭიათურა.** ჭიათურაში, ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე საიუველირო მაღაზია გაძარცვეს. ორი შეიარაღებული ბოროტმოქმედი შენობაში დილით შეიჭრა, როცა მაღაზიაში მეპატრონე და გამყიდველი იმყოფებოდნენ. ყაჩაღებმა მათ 5000 ლარის ღირებულების საიუველირო ნაწარმი გასტაცეს. ჭიათურის პოლიციამ ეჭვმიტანილთა ვინაობა უკვე დაადგინა. ისინი ჭიათურაში მცხოვრები, 27 წლის ნოდარ ჯინჯიბაძე და გლდანი-ნაძალადევის პოლიციის მიერ ძებნილი, 28 წლის საჩხერელი მურმან ჯინჯიბაძე აღმოჩნდნენ. ეჭვმიტანილთა დასაკავებლად ოპერატიული ღონისძიებები ტარდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისში ნარკოტიკული ნივთიერების დამზადების ფაქტზე სამი არასრულწლოვანი ამხილეს. ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის თანამშრომლებმა ირაკლი აბაშიძის N14-ში არასრულწლოვანები იმ დროს დააკავეს, როცა ისინი 5,6 მგრ. " ეცებრინის" აბებისაგან ნარკოტიკს კუსტარული წესით ამზადებდნენ. დემეტრე ფრუიძე, ორჯერ ნასამართლევი ბარნაბ კოტრიკაძე და ფელიქს კორხეიძე ამჟამად პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბაზრებში და ქუჩებში შეუმოწმებელი ხილ-ბოსტნეულის შეძენა მოსახლეობის ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. ეს განსაკუთრებით საზამთროს ეხება, რომელიც, ძირითადად, ირანიდან და აზერბაიჯანიდან შემოაქვთ. ლაბორატორიულმა გამოკვლევებმა დაადგინა, რომ იმპორტულ საზამთროში ნიტრატების შემცველობა დასაშვებ ნორმაზე ორჯერ მეტია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოვაჭრეთა მხრიდან წინააღმდეგობის მიუხედავად, თბილისის ადმინისტრაციულმა ინსპექციამ, საკრებულოს გადაწყვეტილებით, მეტრო „ავლაბართან" სავაჭრო ობიექტებისა და ჯიხურების აღება დაიწყო. ინსპექცია და საკრებულო ჯიხურში მოვაჭრეებს ბაზარში შესვლას სთავაზობენ. მსგავსი რეიდები კვლავაც გაგრძელდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფონიჭალის დასახლების სანიტარიული მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. დაზიანებული საკანალიზაციო სისტემის გამო, დასახლების ტერიტორია დაბინძურებულია ფეკალური წყლებით. „თბილწყალკანალში" აცხადებენ, რომ ფონიჭალაში ეს პრობლემა უკვე რამდენიმე წელია არსებობს. იქაური მოსახლეობა სპეციალურად აზიანებს საკანალიზაციო მილებს და კანალიზაციის წყალს ნაკვეთების სარწყავად იყენებს. ასეთი ხარისხის წყლით მოწეულ ბოსტნეულს მოიხმარენ თბილისის ბაზრებზეც და სარეალიზაციოდაც გააქვთ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის ინფორმაციით, ზაფხულის პერიოდში დედაქალაქის ცენტრალური ქუჩები ყოველდღიურად ირწყვება დილაობით, კერძოდ - რუსთაველის, დავით აღმაშენებლის, ჭავჭავაძის, ქეთევან წამებულის გამზირები, მელიქიშვილის, პუშკინის, კოსტავას ქუჩები და თავისუფლების მოედანი.

ტექნიკური მიზეზების გამო, რამდენიმე დღით შეჩერებულია ვაჟა-ფშაველას გამზირის და ყაზბეგის ქუჩის მორწყვა. რაც შეეხება გარეუბნებისა და სხვა ქუჩებს, ისინი მხოლოდ რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარების შემთხვევაში ირწყვება. **მედია-ნიუსი**

## კანადელი ჟურნალისტი ირანში ცემით მოკლეს

ირანის ხელისუფლებამ აღიარა, რომ ირანული წარმოშობის კანადელი ჟურნალისტი თეირანის მახლობლად მდებარე ციხეში ცემით მოკლეს.

ირანის ვიცე-პრეზიდენტმა ალი აბტაჰიმ თქვა, რომ ფოტოჟურნალისტი ზაჰრა კაზემი "ტვინში სისხლის ჩაქცევების შედეგად დაიღუპა, რაც ცემით იყო გამოწვეული".

კაზემი 54 წლის ირანელი წარმოშობის ქალი იყო, რომელიც 23 ივნისს თეირანის ევინის ციხისათვის სურათების გადაღებისათვის დაიჭირეს. ცოტა ხანში ციხის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ იგი გარდაიცვალა.

დღემდე ირანის ხელისუფლება კანადას დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარებაზე კატეგორიულ უარს ეუბნება: "ჩვენ სათანადო ცოდნას ვფლობთ, რათა სხეული გამოვიკვლიოთ და სიკვდილის მიზეზები დავადგინოთ", - განუცხადა საინფორმაციო სააგენტო "ფრანს პრესს" ირანის ჯანდაცვის მინისტრმა მასუდ ფეზეშკიანმა.

ირანელმა მინისტრმა აღიარა, რომ ჟურნალისტი ტვინში სისხლის ჩაქცევის შედეგად დაიღუპა. "თავად დავათვალიერე სხეული და მას არანაირი კვალი არ აქვს სახეზე", - აღნიშნა ფეზეშკიანმა."ჩვენ გვამის ხელახლა გამოკვლევას ვაპირებთ და ექსპერტთა ჯგუფი უკვე შევარჩიეთ", - დასძინა მინისტრმა.

თავდაპირველად, ირანის ხელისუფლებამ კაზემის გარდაცვალების მიზეზად ავადმყოფობა დაასახელა.

ფოტოჟურნალისტის ნათესავებმა კი დაიჟინეს, რომ იგი ჯერ აწამეს, ხოლო შემდეგ სასიკვდილოდ ცემეს.

თეირანსა და ოტავას შორის ურთიერთობები ძალიან დაიძაბა. ორშაბათს კანადის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ჯონ მენლიმ განაცხადა, რომ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობები მკვეთრად გაფუჭდება, თუ კაზემის სხეულს კანადაში არ გადააგზავნიან.

თუმცა, ირანის შინაგან საქმეთა მინისტრმა აბდოლვაჰედ მუსავი-ლარის თქმით, კაზემის სიკვდილთან კანადას არაფერი ესაქმება, რადგან იგი ირანის მოქალაქე იყო.

ჟურნალისტის ვაჟმა - სტეფან ჰაშემიმ დამოუკიდებელი გამოკვლევის ჩასატარებლად დედის სხეულის კანადაში გადასვენება მოითხოვა. მენლის განცხადებით, კაზემის ტრაგიკული შემთხვევა "ძალზე სერიოზული საკითხია". "ჩვენ ვფიქრობთ, რომ ოჯახს სრული ახსნა-განმარტების მიღების უფლება აქვს", - დასძინა მან. "სხეული კანადაში აუცილებლად უნდა დაბრუნდეს".

*მოკლედ*

## მოსკოვი სოხუმში ჰუმანიტარულ დახმარებას აგზავნის

გუშინ მოსკოვის მთავრობამ და დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტმა აფხაზეთში 14 ვაგონი ჰუმანიტარული დახმარება გააგზავნა. "ეს ასეთი მასშტაბის პირველი და, ვიმედოვნებ, არაუკანასკნელი დახმარებაა; უახლოეს მომავალში აფხაზეთისთვის დახმარებას კვლავ ვგეგმავთ", - განაცხადა დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორმა კონსტანტინ ზატულინმა. ჰუმანიტარულ დახმარებაში შედის 10 ავტობუსი და ორი ტროლეიბუსი – სოხუმის ავტოპარკის გასაახლებლად, სახელმძღვანელოები და ლიტერატურა – ბიბლიოთეკებისთვის, მედიკამენტები, უახლესი სამედიცინო აპარატურა და სპორტული ინვენტარი.

*მედია-ნიუსი*

## ბათიაშვილის მოთხოვნა

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ბათიაშვილმა პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძისაგან კატეგორიულად მოითხოვა იმ თანამდებობის პირთა გადაყენება, რომელთა უპასუხისმგებლობის გამო ძალოვან უწყებათა დაფინანსების შემცირების საკითხი დადგა.

ბათიაშვილის განცხადებით, ძალოვნების ბიუჯეტის სეკვესტრი კატასტროფა იქნება. **"და ეს ხდება იმ დროს, როცა არსებობს პოტენციური საფრთხეები პანკისის და კოდორის ხეობების, ასევე ჩრდილოეთის საზღვრების მიმართულებით. დაფინანსების შემცირება სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული დივერსიაა",** - ამბობს საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე.

*პრაიმ-ნიუსი*

## აშშ-ის რეკორდული საბიუჯეტო დეფიციტი



ბიუჯეტის დეფიციტი ჯორჯ ბუშისთვის მნიშვნელოვანი პრობლემაა

თეთრი სახლის მონაცემებით, ამ წელს აშშ-ს რეკორდული საბიუჯეტო დეფიციტი ექნება და იგი 400 მილიარდ ამერიკულ დოლარს გადააჭარბებს. ექსპერტების გათვლებით, ვითარება მალე არ გამოსწორდება.

დემოკრატების თქმით, დეფიციტი კრიტიკულ ზღვარს აღწევს და ვითარება სწრაფად უარესდება. ზოგიერთმა სერიოზულმა ფინანსისტმა ჯორჯ ბუშს უკვე ურჩია, რომ მკვეთრი ზომები მიიღოს, სანამ სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდება.

თეთრი სახლის თქმით, დეფიციტის პრობლემის მოგვარება შესაძლებელია. დეფიციტის გამომწვევ მიზეზებზე საუბრისას კი ხელისუფლება ერაყის ომის ხარჯებსა და ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალურ ომს ასახელებს.

ადმინისტრაციის წარმომადგენლების თქმით, მომავალი წლის ბიუჯეტში (მიმდინარე წლის ბიუჯეტისაგან განსხვავებით) ერაყის აღდგენის ხარჯები გათვალისწინებული იქნება. ყოველთვიურად სამხედრო ოპერაცია ერაყსა და ავღანეთში დაახლოებით 4.8 მილიარდი ამერიკული დოლარი ჯდება, რაც ყოველწლიურად თითქმის 58 მილიარდ დოლარს შეადგენს. ეს კი ვაშინგტონის თავდაპირველ გათვლებს მნიშვნელოვნად აღემატება.

"ჩვენ უფრო და უფრო დიდი დეფიციტისკენ მივექანებით, მაგრამ ყველაზე შემაშფოთებელი ისაა, რომ მმართველი პარტია საკუთარ პოლიტიკურ პრიორიტეტებზე ხელის აღებას არ აპირებს", - განაცხადა რობერტ ბიქსბიმ - საბიუჯეტო საკითხების ექსპერტმა.

მზარდი საბიუჯეტო დეფიციტი ამერიკის მთავარი პოლიტიკური საკითხი გახდა. ჯერ კიდევ ექვსი თვის წინ თეთრი სახლი აცხადებდა, რომ მიმდინარე წელს ბიუჯეტის დეფიციტი დაახლოებით 304 მილიარდი ამერიკული დოლარი იქნებოდა, ხოლო მომდევნო წელს - 307 მილიარდი. ამგვარი განცხადებები ერაყის ომის დაწყებამდე კეთდებოდა.

"თანხები, რომელზეც ჩვენ ამჟამად ვსაუბრობთ, ქვეყნის ეკონომიკისათვის სახიფათო არ არის... მთავარია, ამ მაჩვენებლების ფიქსირება შევძლოთ", - აღნიშნა ბიუჯეტისა და მენეჯმენტის ოფისის წარმომადგენელმა ტრენტ დაფიმ.

თუმცა, დაგეგმილი დეფიციტი წინა რეკორდს ბევრად აღემატება: 1992 წელს, როდესაც მამა ბუშს პრეზიდენტობის ვადა ამოეწურა, ამერიკის საბიუჯეტო დეფიციტმა 290 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა. კლინტონის პრეზიდენტობის დროს, 1998-2001 წლებში, ამერიკას პროფიციტი (შემოსავლების ნაჭარბი დანახარჯებზე) ჰქონდა.

ახლა თეთრი სახლი ცდილობს, დეფიციტის შესაძლო გავლენა ეკონომიკაზე შედარებით უმტკივნეულო საკითხად წარმოაჩინოს. ხელისუფლების თქმით, დეფიციტის შეფარდება ამერიკის მთლიან ეროვნულ პროდუქტთან არც თუ ისე დიდია.

დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლების თქმით, მალე დეფიციტი აშშ-ის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის 5.5 პროცენტს მიუახლოვდება, რაც ამერიკის ისტორიაში რეკორდული მაჩვენებელია.

დემოკრატები იმედოვნებენ, რომ 2004 წელს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში ბიუჯეტის უზარმაზარი დეფიციტი რესპუბლიკელების დამარცხების საწინდარი გახდება.

## „იუკოსის" შეფი რუსეთში დაბრუნდა



REUTERS

"იუკოსის" შეფი მიხეილ ხოდორკოვსკი

რუსეთის უმდიდრესი ადამიანი, ნავთობკომპანია "იუკოსის" შეფი მიხეილ ხოდორკოვსკი შეერთებული შტატებიდან რუსეთში დაბრუნდა.

რადიო "ეხო მოსკვის" ცნობით, გუშინ ხოდორკოვსკის კერძო თვითმფრინავი ვნუკოვოს აეროპორტში დაეშვა.

გასულ პარასკევს ხოდორკოვსკი შეერთებულ შტატებში ამერიკისა და ევროპის ბიზნესმენთა ყოველწლიურ არაფორმალურ შეხვედრაზე გაემგზავრა. ის ერთადერთი ბიზნესმენი იყო, რომელიც რუსეთიდან მიიწვიეს. ხოდორკოვსკიმ ორგანიზატორებს კონფერენციაში მონაწილეობაზე ოფიციალური თანხმობა ნახევარი წლის წინ მისცა.

რუსული გაზეთების ცნობით, ხოდორკოვსკი შეერთებულ შტატებში თავის მეუღლესთან და ოთხ შვილთან ერთად გაემგზავრა. თუმცა, "იუკოსი" ამტკიცებს, რომ კომპანიის ხელმძღვანელის ოჯახი რუსეთიდან არ გასულა.

ვნუკოვოს აეროპორტში, ჟურნალისტებთან საუბრისას, "იუკოსის" შეფმა აღნიშნა, რომ კომპანიის გარშემო შექმნილი ვითარება რუსეთიდან კაპიტალის გადინებას შეუწყობს ხელს. მისი თქმით, ბევრი ბიზნესპროექტი აღარ განხორციელდება.

ცოტა ხნის წინ რუსეთის პროკურატურის მოთხოვნით დააკავეს "იუკოსის" მსხვილი აქციონერი ანტონ ლებედევი, რომელსაც 1990-იანი წლების დასაწყისში უკანონო პრივატიზაციაში დასდეს ბრალი. ახლა რუსეთის ხელისუფლებას "იუკოსში" დეტალური აუდიტის ჩატარება სურს.

"წლის ბოლოს ცხადი გახდება, რა ზიანი მიაყენა ყოველივე ამან ქვეყანას", - აღნიშნა მოსკოვში დაბრუნებულმა მიხეილ ხოდორკოვსკიმ. "თუმცა, სანამ ამ პროცესის შეჩერება შესაძლებელია, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ", - დასძინა მან.

"ამ ქვეყანაში არაფერი იცვლება. ამბობენ, რომ კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. უბრალოდ, სირცხვილია", - თქვა ხოდორკოვსკიმ.

"იუკოსის" შეფის თქმით, იგი მუშაობის გაგრძელებას აპირებს. მართალია, "ინვესტორები ნერვიულობენ, მაგრამ კომპანია პრობლემების მოგვარებას ახერხებს".

შეკითხვაზე - უარყოფითად ხომ რა აისახება საგამოძიებო პროცესი "იუკოსისა" და "სიბნეფტის" გაერთიანებაზე, ხოდორკოვსკიმ უპასუხა, რომ ორი კომპანიის გაერთიანება დაგეგმილ ვადებში მოხდება. ორი რუსული ნავთობკომპანიის - "იუკოსისა" და "სიბნეფტის" გაერთიანების შემდეგ რუსეთში უდიდესი, ხოლო მსოფლიოში სიდიდით მეოთხე ნავთობკომპანია შეიქმნება.

"იუკოსის" შეფმა განაცხადა, რომ "სამართალდამცველი სტრუქტურები კანონს პირადი ინტერესებისთვის იყენებენ".

## ბაღდადში სექსუალური ძალადობის ფაქტები გახშირდა

ლევან ღირსიაშვილი

ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები აცხადებენ, რომ ბაღდადში, სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ, სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილმა დანაშაულებმა იმატა. აღნიშნულ საკითხზე მონიტორინგი განახორციელა და შედეგები გამოაქვეყნა არასამთავრობო ორგანიზაცია "ჰუმან რაითს უოთჩმა." ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ კვლევაში ნათქვამია, რომ კოალიციურმა ძალებმა და ერაყის სამოქალაქო ადმინისტრაციამ ვერ შეძლეს ქვეყანაში წესრიგისა და კანონიერების დამყარება, რის შედეგადაც ყველაზე მეტად ქალები ზარალდებიან, რომლებიც ამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ხდებიან მოტაცებებისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი. "ჰუმან რაითს უოთჩი" აცხადებს, რომ ასეთი სახის დანაშაულთა გამოძიება არც კი მიმდინარეობს. ბაღდადში სექსუალური ძალადობის შიში იმდენად ძლიერია, რომ ახალგაზრდა ქალები არც სამსახურებში და არც სასაწავლებლებში აღარ დადიან.

ერაყის ისტორიაში პირველად ხდება, როდესაც ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, დღისით ახალგაზრდა ქალებს ხალხმრავალი ქუჩებიდან იტაცებენ. "მე ვესაუბრე 23 წლის ახალგაზრდა ქალს. ის მოიტაცეს, როდესაც ქუჩაში დედასთან და დებთან ერთად მიდიოდა; გააუპატიურეს და მთელი ღამე დაკავებული ჰყავდათ," - გვიყვება "ჰუმან რაითს უოთჩის" მკვლევარი ჯოანა ბიორკენი, რომელმაც ამ საკითხის გამო ბაღდადში რამდენიმე დღე დაჰყო. ორგანიზაციის მიერ შექმნილ დოკუმენტში მოხსენიებულია 15 წლის გოგო, რომელიც თავის ორ დასთან ერთად მოიტაცეს, ბაღდადიდან გაიყვანეს და დაახლოებით ერთი თვე ჰყავდათ დატყვევებული. გოგონებმა გაქცევით უშველეს თავს. ისინი ირწმუნებიან, რომ გამტაცებლებს მათი გაყიდვა უნდოდათ. ჯოანა ბიორკენი აცხადებს, რომ ყველაზე მეტად შემაშფოთებელია ის, რომ ერაყის პოლიცია ამ პრობლემისადმი აბსოლუტურად გულგრილად არის განწყობილი. **"როდესაც მათ ამის შესახებ ვუამბე, ხელი ჩაიქნიეს და მითხრეს: გოგონას, უბრალოდ, სახლიდან გაქცევა უნდოდაო,"** - გვიყვება ჯოანა ბიორკენი.

"ჰუმან რაითს უოთჩის" მოხსენება საკმაოდ რეალურად აღწერს ერაყში და მის დედაქალაქში შექმნილ სამართლებრივ ვაკუუმს. ქალაქში არ არიან საკმარისი პოლიციელები. გარდა ამისა, სამედიცინო დაწესებულებები იძულებულნი არიან, შეამცირონ თავიანთი სამუშაო საათები, რაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დახმარებას შეუძლებელს ხდის. აღმაშფოთებელია, რომ ცხრა წლის გოგონას, რომელიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა, რამდენიმე საავადმყოფომ სამედიცინო დახმარებაზე უარი განუცხადა.

დოკუმენტი მთავრდება იმით, რომ "ჰუმან რაითს უოთჩი" მიმართავს აშშ-ის ადმინისტრაციას და სპეციალური სამხედრო ქვედანაყოფის შექმნას სთხოვს, რომელიც მიზანმიმართულად იბრძოლებს სექსუალური ძალადობის აღსაკვეთად. ორგანიზაციის რეკომენდაციით, ეს სპეცრაზმი მანამდე უნდა მოქმედებდეს, ვიდრე ერაყის პოლიციას დამოუკიდებლად შეეძლება მოკვლევისა და გამოძიების ჩატარება.


## ევროკავშირი

### ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში

**განაცხადების მიღება ევროკავშირის „დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში ევროპული ინიციატივის" მიკროპროექტების პროგრამის ფარგლებში**

კოდი: **DELGEO/EIDHR/MICRO/2003**

ევროკომისია საქართველოში აცხადებს მიკროპროექტებთან დაკავშირებული განაცხადების მიღებას. მიკროპროექტების დაფინანსება მოხდება ევროკავშირის პროგრამის „დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში ევროპული ინიციატივა" ფარგლებში. ***ქართული არაკომერციული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოყოფილი გრანტების საერთო თანხაა 300 000 ევრო.***

აღნიშნული პროგრამის ზოგადი მიზანია სწრაფი რეაგირება იმ არასამთავრობო ორგანიზაციების განაცხადებზე, რომლებიც მოღვაწეობენ ადამიანის უფლებების დაცვისა და დამკვიდრების სფეროში, აგრეთვე, იმ ინიციატივებზე, რომლებიც მიზნად ისახავს კონფლიქტების თავიდან აცილებას (პრევენცია) და მოგვარებას. მიკროპროექტებთან დაკავშირებული წინადადებები შემდეგ პრიორიტეტულ სფეროებში უნდა იქნეს წარმოდგენილი:

**ა. სათანადო მმართველობისა და კანონის უზენაესობის განმტკიცების ხელშეწყობა:**

- კანონის უზენაესობის, სასამართლო სისტემის (კერძოდ, პროკურატურის) დამოუკიდებლობისა და სისხლის სამართლის სფეროს რეფორმის მხარდაჭერა.
- სათანადო მმართველობის **(good governance)** ხელშეწყობა, კერძოდ, ადმინისტრაციული ანგარიშვალდებულების დამკვიდრების, კორუფციის თავიდან აცილებისა და კორუფციასთან ბრძოლის ხელშეწყობის გზით;
- საქმიანობა, რომლის მიზანია კონფლიქტების თავიდან აცილება (პრევენცია), მოგვარება და მათი შედეგების რეგულირება; იგულისხმება დამხმარე ღონისძიებებიც, რომლებიც ხელს უწყობს სხვადასხვა ჯგუფთა ინტერესების შეთანხმებას და ჰარმონიზებას.

**ბ. წამებისა და დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლა, ადამიანის უფლებების დაცვა და ამ უფლებათა დამკვიდრების ხელშეწყობა:**

- საქმიანობა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ჰუმანური საპატიმროების სისტემის დამკვიდრებას და წინასწარი დაკავების პერიოდში ცუდი მოპყრობის თავიდან აცილებას;

**გ. რასიზმთან, ქსენოფობიასთან და უმცირესობათა ჯგუფების დისკრიმინაციასთან ბრძოლა:**

- რასიზმთან და ქსენოფობიასთან ბრძოლისკენ და რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფების დაცვისკენ მიმართული საქმიანობის ხელშეწყობა.

განმცხადებლებს შეუძლიათ წინადადებების ინდივიდუალურად და კონსორციუმების შემადგენელი ნაწილის სახით შემოტანა.

პროექტის ხარჯების მაქსიმალური ზღვარი, რომლის დაფარვა შესაძლებელია გრანტებით, 90%-ია. გრანტებით დაფინანსდება პროექტები, რომელთა ფარგლებში სამუშაოები 12 თვემდე პერიოდის განმავლობაში გრძელდება.

**გრანტების ოდენობაა 3 000 ევროდან 50 000 ევრომდე.**

განმცხადებლები უნდა წარმოადგენდნენ არაკომერციულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა სათაო ოფისი საქართველოში მდებარეობს. განაცხადების შემოტანა შეუძლიათ, აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაციებს რომლებსაც სათაო ოფისი სხვა ქვეყანაში აქვთ, მაგრამ საქართველოში ადგილობრივი დამოუკიდებელი დანაყოფით არიან წარმოდგენილნი.

სრული „სახელმძღვანელო მითითებები განმცხადებლებისთვის" მოსაპოვებლად, მიმართეთ ევროკომისიის წარმომადგენლობას საქართველოში, მისამართი: თბილისი 0102, ნინო ჩხეიძის ქ. N38, ტელეფონი: +995(8)32 94 37 63, ფაქსი: +995(8)32 94 37 68, ელექტრონული ფოსტა: **delegation-georgia-eidhr-micro@cec.eu.int**, აგრეთვე, იხილეთ შემდეგი ვებგვერდი: **http://europa.eu.int/comm/europeaid/projects/eidhr/cfp-en.htm**

განაცხადების შემოტანის საბოლოო ვადაა **2003 წლის 15 სექტემბერი, 16 საათი თბილისის დროით.**

ნებისმიერი კითხვა განაცხადის შემოტანასთან დაკავშირებით უნდა გააგზავნოთ ელექტრონული ფოსტით (აუცილებლად მიუთითეთ კოდი) შემდეგ მისამართზე: delegation-georgia-eidhr-micro@cec.eu.int განმცხადებლებს ვთხოვთ განაცხადების მიღების საბოლოო ვადამდე რეგულარულად მიმართონ რჩევებისთვის ინტერნეტის აღნიშნულ ვებგვერდს, რადგან ევროკომისია გამოაქვეყნებს ყველაზე ხშირად დასმულ შეკითხვებს და მათზე პასუხებს.

*წინამდებარე ტექსტი ინგლისურიდან თარგმანია. ინგლისურ და ქართულ ტექსტებს შორის არსებული განსხვავების შემთხვევაში, უპირატესობა ინგლისურ ტექსტს ენიჭება.*



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

**გაფრთხილებთ!**

უკანასკნელ პერიოდში იმატა სატელეფონო თაღლითობის ფაქტებმა. თაღლითები სატელეფონო კომპანიების სახელით რეკავენ და აბონენტებს ჰპირდებიან პრიზებს, რომელთა მისაღებადაც სასაუბრო ბარათების ("მონო", "ლაი-ლაი", ასტრა") შეძენას ავალდებულებენ.

**გაფრთხილებთ!**

სატელეფონო კომპანიები პრიზებს არ ათამაშებენ!
ნუ ენდობით თაღლითებს!



**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე**

**აცხადებს კონკურსს**

**8-13**

**(რვა-ერთი-სამი) კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად**

**გამარჯვებული გამოვლინდება აუქციონის წესით**

სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა განისაზღვრა ოცდაშვიდი ათას შვიდასორმოცი **(27740)** ლარით;

ლიცენზიის მაძიებლების განცხადებები მიიღება 2003 წლის 16 ივნისის 10:00 საათიდან 2003 წლის 5 სექტემბრის 17:00 საათამდე;

**კომერციული კონკურსი ჩატარდება 2003 წლის 12 სექტემბერს 16:00 საათზე**

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, მისამართზე: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42
ტელ.: 921667 ფაქსი: 921625

ფეხბურთი

# „ვერდერის" ბედი აილტონის ბუდუარში წყდება


აილტონი

ბრემენელი გულშემატკივრები მეტად ამბიციურები და თავდაჯერებულები არიან. მათ ძალიან უყვართ თავიანთი "ვერდერი" და იმ დღეზე ოცნებობენ, როცა მათი გუნდი ჩემპიონთა ლიგაში მოხვდება. გასული სეზონის შუაში "ვერდერი" არც ისე შორს იყო ამ სანუკვარი მიზნისგან, მაგრამ მერე ნელ-ნელა თამაშს უკლო და ბრემენელ ფანებს უეფას თასის საგზურიც კი სანატრელი გაუხდათ. "ვერდერის" ასეთი მოულოდნელი ჩავარდნის მიზეზად გერმანელი ჟურნალისტები ბრაზილიელი აილტონის "ბუდუარის კრიზისს" მიიჩნევენ. ეს დაბალშუბლიანი, უკისრო ბრაზილიელი, რომელსაც ხუჭუჭთმიანი თავი პირდაპირ სხეულზე აქვს მიბმული, ბრემენელთა ბარომეტრია. როცა ის კარგ ფორმაშია და გოლები გააქვს, "ვერდერი" იგებს, როცა მას პრობლემები აქვს და ძველებურად ვეღარ თამაშობს, "ვერდერი" ჰაერივით საჭირო ქულებს კარგავს. ამ სეზონშიც ასე იყო - აილტონი და მისი მექსიკელი მეგობარი ქალი, როზალი ჰარმონიულად ცხოვრობდნენ ერთად და "ვერდერი" ჩემპიონთა ლიგისთვის იბრძოდა, ბრაზილიელი თავის მექსიკელ ლამაზმანს რაღაცაზე წაეჩხუბა და "ვერდერში" ყველაფერი აირია. გაგულისებულმა როზალიმ გერმანია დატოვა და სამშობლოში დაბრუნდა, აილტონს კი სასამართლოში ჩივილით და სამუდამო განშორებით დაემუქრა. ბრაზილიელი პანიკაში ჩავარდა. "ვერდერში" კრიზისი დაიწყო. აილტონი გამუდმებით თავის როზალიზე ფიქრობდა და თამაშს გულს ვეღარ უდებდა, "ვერდერი" კი მატჩს მატჩზე აგებდა. საბოლოოდ, როზალის გული მოულბო აილტონის ხვეწნა-მუდარამ, - ერთხელაც მაპატიე და მეტად აღარ გაწყენინებო, - და მან ბრაზილიელს ცოდვები შეუნდო. აილტონი დაწყნარდა და ბრემენელმა გულშემატკივრებმაც შვებით ამოისუნთქეს. "ვერდერმა" საბოლოოდ მეექვსე ადგილზე დაასრულა სეზონი და უეფას თასზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

მეექვსე ადგილი ბევრი ვერაფერი შედეგია იმ კლუბისთვის, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში თამაშზე აცხადებდა პრეტენზიას. აილტონის კარგ განწყობაზე დამოკიდებულ "ვერდერს" გერმანიაში უკვე მძინარების გუნდს ეძახიან. მათი თამაში ძილის მომგვრელია, წინასწარ იცი, რომ პირველ სამეულში მაინც ვერ მოხვდებიანო,- ამბობენ გერმანელები. აილტონი კი ირწმუნება, რომ მომავალი სეზონიდან ყველაფერი გამოსწორდება და "ვერდერი" საუკეთესოთა შორის დაიკავებს ადგილს. მისი ამ ქადილის მაინცდამაინც არავის სჯერა. აბა, როგორ უნდა დაუჯერო იმ ფეხბურთელს, რომელიც სახალხოდ აცხადებს, - მატჩის წინ აუცილებლად მჭირდება სექსი, წინააღმდეგ შემთხვევაში ისე ვერ ვითამაშებ, როგორც მჩვევიაო. ისე კი, რონალდოც ხომ სულ ამას გაიძახის, - პასიური სექსი თამაშამდე გადასარევიაო. ამაში გასაოცარი არაფერია. უბრალოდ, პრობლემა ის არის, რომ აილტონი და მისი როზალი დაქორწინებულები არ არიან და ამიტომ როზალის, როგორც არაევროკავშირელს, მხოლოდ სამთვიანი ვიზის მიღების უფლება აქვს. სამი თვის მერე ის აუცილებლად უნდა დაბრუნდეს მექსიკაში და ორი-სამი თვე უნდა გაატაროს სამშობლოში, სანამ მორიგ ვიზას მისცემენ. ამის გამო, აილტონს თვეობით უწევს როზალისთან განშორება და, რა თქმა უნდა, სტიმულის მიმცემი წინასამატჩო სექსიც პრობლემა ხდება. აილტონი ან სულაც მოუმზადებელი გადის მოედანზე, ანდა კაფე ლატინოებში ეძებს თავგადასავლებს, რაც მეტად უარყოფითად მოქმედებს როგორც მის სათამაშო ფორმაზე ასევე როზალის მოთმინების უნარზე. მექსიკელი ლამაზმანი, რომელიც აილტონის ორი გოგონას დედაა, მეტად ეჭვიანი ქალია და თავის ბრაზილიელ მეგობარს საშინელ სცენებს უწყობს. ამიტომაცაა, რომ აილტონი თავგზააბნეული დარბის მოედანზე და პირადი პრობლემებით დატვირთული საოცრად უსუსურად თამაშობს.

ახალი სეზონისთვის მზადება ბრაზილიელმა, როგორც ყოველთვის, წესრიგის დარღვევით დაიწყო. შვებულებიდან გვიან დაბრუნდა და პირველი ჯარიმაც აიკიდა. ამაზე აილტონს დიდად არ უდარდია. ის გადასარევ ხასიათზეა. როზალიც მის გვერდითაა და ორივე შესანიშნავად გრძნობს თავს. აილტონი ხალისით დასდევს ბურთს და უაღრესად ოპტიმისტურადაა განწყობილი. "მომავალი სეზონი უკეთესი იქნება,"- ირწმუნება ის. გერმანელები კი ირონიულად შენიშნავენ, - ყველაფერი კარგად მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ ისევ "ბუდუარის კრიზისი" არ დაეწყოო...

## TV-სპორტი

### ხუთშაბათი. 17 ივლისი

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. "კრუზეირო" – "ვასკო და გამა"
15:00 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
15:30 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "მილანი" – "ჩელსი"
17:10 განვლილი სეზონის გახსენება. საფრანგეთის ჩემპიონატი. "მონაკო" – "ოსერი"
18:55 წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. გერმანია - აშშ. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 თავისუფალი დარტყმა
20:15 სახვალიო ტელეპროგრამა
20:25 უკრაინის ჩემპიონატი. "არსენალი" – "ობოლონი". პირდაპირი ტრანსლაცია
22:25 "FUTBOL MUNDIAL"
22:55 "დარტყმა გოლისთვის"
23:10 უკრაინის ჩემპიონატი. "დნეპრი" – "კარპატი"
00:55 ბრაზილიის ჩემპიონატი. "კრუზეირო" – "ვასკო და გამა"
02:40 02:40-დან 13:00-მდე შესვენება
05:35 ბრაზილიის ჩემპიონატი. "კრუზეირო" – "ვასკო და გამა". პირდაპირი ტრანსლაცია. ტრანსლაციის დასრულებისას 13:00-მდე შესვენება

**НТВ + СПОРТ**
11:00, 13:25, 17:15, 20:05, 22:40 პრეს-ცენტრი
11:15, 22:55 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 "პოსტსკრიპტუმი"
12:45 "რკინის ფაქტორი"
13:40 წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ავსტრალია – კანადა. პირდაპირი ტრანსლაცია
14:55 სინქრონული ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. სოლო. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
16:10 წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჰოლანდია - რუსეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
17:30 სპიდვეი. სლოვენიის გრან-პრი
18:55 წყალში ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. ტრამპლინი 1მ. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:20 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
20:50 ისტორია. რუსეთის ჩემპიონატები ჰოკეიში. 2001-2002
21:55 წყალში ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. ტრამპლინი 1მ. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 სახვალიო ტელეპროგრამა
23:05 სინქრონული ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. სოლო. ფინალი
00:15 წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჰოლანდია – რუსეთი
01:15 ახალი ამბები
01:30 კიოკუშინკაი კარატე. რუსეთის ჩემპიონატი ხაბაროვსკი

**EUROSPORT**
11:30 ცხენოსნობა
12:30 მულტისპორტი
13:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
16:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
16:45 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
17:15 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
21:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
22:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
23:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი
01:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
02:00 ახალი ამბები
02:15 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
04:15 ახალი ამბები

# „დინამომ" „არწივები" მიწაზე დასვა

მიხეილ აბაიშვილი

*"დინამომ" ერთი წლის წინათაც წარმატებით დაიწყო ევროტურნირში მონაწილეობა: ტალინის "TVMK" დიდი ანგარიშით დაამარცხა, მაგრამ შარშანდელ და გუშინდელ გამარჯვებებს შორის დიდი სხვაობაა. ჯერ ერთი, წლეულს "დინამო" რანგით გაცილებით მაღალ ტურნირში, ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ჩაება. გარდა ამისა, იმის მიუხედავად, რომ "დინამომ" დიდი ანგარიშით გაიმარჯვა, ნათლად გამოჩნდა: "არწივების ქვეყნის"- ალბანეთის "ტირანა" მაინცდამაინც ხელწამოსაკრავი გუნდი არ ყოფილა.*

**ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი**

***"დინამო" (თბილისი) – "ტირანა" (ტირანა, ალბანეთი) 3:0 (2:0)***

***"დინამო:*** *ზოიძე (გვარამაძე, 81`), შაშიაშვილი, ამისულაშვილი, ხიზანეიშვილი, ბურდული, კვირკველია, გოგობერიშვილი, დარასელია ( კარლოს და როჩა, 86`), ანჩაბაძე, მელქაძე ( კანდელაკი, 67`), ახალაია. მთავარი მწვრთნელი: ივო შუშაკი*
***"ტირანა":*** *ეკბო, დაბულა, დედე, ლიქი (მერკოცი, 72;), პინარი, სინა, ბულკუ (ჰაჯდარი, 46`), ჰალილი (პატუში, 46`), მუკაჯი, ფორტუცი, ხაფა. მთავარი მწვრთნელი: სულეიმან მემა.*
***გოლები:*** *1:0 მელქაძე 6`, 2:0 ანჩაბაძე 45", 3:0 დარასელია 48` (პენ.)*
***ყვითელი ბარათები:*** *ხიზანეიშვილი, ანჩაბაძე, დედე.*
***მთავარი მსაჯი:*** *დევიდ მალკოლმი (ჩრდილოეთ ირლანდია)*

თამაშამდე ორი დღით ადრე "დინამოს" აღმასრულებელმა დირექტორმა გია ფირცხალავამ "24 საათისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი კლუბის მიერ სეზონებს შორის შესვენებაზე განხორციელებულ ტრანსფერებს შორის ყველაზე მნიშვნელოვნად "ვიტ ჯორჯიადან" ლევან მელქაძის გადმობირებას მიიჩნევდა. ფირცხალავას ნათქვამის მართებულობა პირველივე, თანაც, საერთაშორისო, თანაც, ჩემპიონთა ლიგის თამაშში დადასტურდა. ასეთ დებიუტს, ალბათ, ბევრი ფეხბურთელი ინატრებდა. ლევანმა სამივე გოლის ორგანიზებაში მიიღო მონაწილეობა, თანაც, იმდენად აქტიური, რომ, თავისუფლად შეიძლება ითქვას, სამივე გოლი სწორედ მელქაძის დამსახურება იყო. უკვე მე-6 წუთზე, შეტევის მარჯვენა ფლანგზე ბურდულის კარგ პასს და ახალაიას დრიბლინგს მეტოქის საჯარიმოში მაღალი ჩაწოდება მოჰყვა, რომელსაც მაღალსავე ნახტომში თავით შეწვდა მელქაძე და ალბანელთა ნიგერიელი მეკარეს შანსი არ დაუტოვა. შემდეგ, ტაიმის მიწურულს, "ტირანას" საჯარიმო მოედნის მისადგომებთან ლევანმა მეტოქის მცველებს ბურთი აართვა და ისეთი პასი მისცა ანჩაბაძეს, ხონჩით მირთმეულს რომ ეძახიან. დინამოელთა 10 ნომერმაც მეტოქის კარი მეორედ დალაშქრა. ბოლოს, ამჯერად მარცხენა ფლანგიდან, მელქაძის უზუსტესი ჩაწოდების შემდეგ ბურთი მიუვიდა დარასელიას, რომელმაც მხოლოდ იმიტომ ვერ გაიტანა გოლი, რომ მცველებმა აკრძალული ხერხით შეაჩერეს. მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი. დარტყმა თავად დარასელიამ შეასრულა.


მესამე გოლი

საერთოდ, ყველა დინამოელი გუშინ რიგიანად თამაშობდა. მიუხედავად იმისა, რომ ეპიზოდებში სტუმრები აკონტროლებდნენ სიტუაციას და ერთი-ორჯერ საკმაოდ მწვავედაც შეუტიეს, ხოლო ერთხელ პენალტის დარტყმის უფლებაც მოიპოვეს, აშკარად იგრძნობოდა, რომ "დინამო" მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონი იყო და, როცა დასჭირდებოდა, მაშინ მოუმატებდა თამაშს. რაც შეეხება ზემოთქმულ თერთმეტმეტრიანს, მინდვრის მოთამაშეებზე ნაკლებად არც დინამოელთა ვეტერან მეკარეს ირაკლი ზოიძეს უსახელებია თავი: ფორტუცის დარტყმის შემდეგ მან ბურთის დაჭერა მოახერხა.

იმასაც შეგახსენებთ, რომ "დინამომ" ეს გამარჯვება ერთგული ქომაგების დახმარების გარეშე, "დახურულ კარს მიღმა" მოიპოვა და ეს ისე კარგად გააკეთა, რომ სტადიონზე დაშვებული ჟურნალისტები იმასაც ხუმრობდნენ, რაიმე ხომ არ გადავაგდოთ მოედანზე, რომ დისკვალიფიკაციის ვადა გაგვიგრძელონო.

მატჩის შემდეგ დიდი ანგარიშით დამარცხებული, გულგატეხილი სტუმართა მთავარი მწვრთნელი სულეიმან მემა პრესკონფერენციაზე საერთოდ არ გამოცხადდა. სამაგიეროდ, თავაწეული შემოვიდა ივო შუშაკი, რომელსაც ჟურნალისტები ოვაციით შეხვდნენ.


შუშაკი მშვიდადაა


მელქაძე მილოცვებს იღებს

"წინასწარ ნუ ვიზეიმებთ. ჯერ ორრაუნდიანი დუელის მხოლოდ პირველი ტაიმი მოვიგეთ და, სამგოლიანი ფორის მიუხედავად, დღესაც გავიმეორებ ადრე ნათქვამს, შემდეგ ეტაპზე გასულის ბედი განმეორებით მატჩში გადაწყდება. ჩემი გუნდიდან არავის გამოვარჩევ, თუმცა, დამეთანხმებით, თავდასხმის დუეტი უფრო გამოჩნდა. ხოლო ის ფაქტი, რომ მელქაძემ გოლიც გაიტანა და საგოლე კომბინაციებშიც მიიღო მონაწილეობა, ლევანს წინა პლანზე წამოწევს.

მეტოქეზე აზრი არ შემიცვლია. "ტირანა" საკმაოდ ძლიერი გუნდია, განსაკუთრებით კომბინაციური თამაში და პასების განაწილება ეხერხება. ვიცით, თუ როგორი დამთრგუნველი ფონი გველის განმეორებითი მატჩის დროს. არ იფიქროთ, რომ თბილისში მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებას შევეცდებით. დღესვე გპირდებით: ჩვენ ტირანაშიც ორი თავდამსხმელით ვითამაშებთ", - განაცხადა შუშაკმა.

"დინამო", რომელმაც საქმის ძირითადი ნაწილი თბილისში შეასრულა, მის დაბოლოებას ერთი კვირის შემდეგ, 23 ივლისს ტირანაში შეეცდება და ძნელად, რომ რამემ ხელი შეუშალოს.

**ჩემპიონთა ლიგა. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი.**

**პირველი მატჩები**

| | |
|---|---|
| ბატე (ბელორუსი) – ბოჰემიანსი (ირლანდია) | 1:0 |
| პიუნიკი (სომხეთი) – რეიკიავიკი (ისლანდია) | 1:0 |
| სლიმა (მალტა) – სკონტო (ლატვია) | 2:0 |
| ომონია (კვიპროსი) – ირტიში (ყაზახეთი) | 0:0 |
| შერიფი (მოლდოვა) – ფლორა (ესტონეთი) | 1:0 |
| ვარდარი (მაკედონია) – ბერი თაუნი (უელსი) | 3:0 |
| გრევენმახერი (ლუქსემბურგი) – ლეოთარი (ბოსნია) | 0:0 |
| ტორსჰავენი (ფარერები) – კაუნასი (ლიტვა) | 0:1 |
| გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) – ჰიკი (ფინეთი) | 0:0 |

# როზერტო კარლოსი: „მინდა, მეფეს მივესალმო"

*ფეხბურთელთა შვებულებების დრო ნელ-ნელა იწურება და საფეხბურთო სამყაროც მორიგი სეზონისათვის მზადებას იწყებს. მადრიდის "რეალი" კვლავინდებურად ყურადღების ცენტრშია. ახალი მწვრთნელი, ახალი ფეხბურთელები... ალბათ, საინტერესო უნდა იყოს, თუ რას ფიქრობს მადრიდელთა ვეტერანი, რობერტო კარლოსი კარლოს კეიროშზე, დევიდ ბექჰემზე და დიეგო მილიტოზე. ესპანურ გაზეთ "Marca"-ს ჟურნალისტისათვის მიცემულ ინტერვიუში რობერტო კარლოსი თავის ახალ თანაგუნდელებზე და "რეალის" მომავალზე საუბრობს.*

**- რას ფიქრობთ "რეალის" უკანასკნელ შენაძენზე - არგენტინელ მილიტოზე?**

- ის კარგი მოთამაშეა. მე ის რამდენიმე მატჩში ვიხილე და ძალიან მომეწონა. მის წინააღმდეგ არასოდეს მითამაშია, თუმცა კარგად ვიცნობ. მილიტო უნდა გამოგვადგეს. ის ახალგაზრდა და სწრაფია. ჩვენ მას ადაპტაციაში უნდა შევუწყოთ ხელი. "რეალში" უკვე არიან კარგი ცენტრალური მცველები: პავონი და ელგერა, თუმცა ისიც კარგია, რომ ჩვენ კიდევ უფრო გავძლიერდით.

**- უკვე ესაუბრეთ ახალ მწვრთნელს? რას ფიქრობთ კარლოს კეიროშზე?**

- მასთან ჯერ არ მისაუბრია. ის არის მწვრთნელი, რომელიც "მანჩესტერში" მოღვაწეობდა და კარგად ესმის ფეხბურთი.

**- როგორ ფიქრობთ, მისი მოსვლით "რეალის" სათამაშო სტილი შეიცვლება?**

- არა, ასე არ მგონია. არ არსებობს ისეთი რამ, რისი კარდინალურად შეცვლაც საჭიროა. ჩვენ დიდი ხნის მანძილზე ვთამაშობთ ერთად და ჩვენი სტილიც გვაქვს. კეიროში შეძლებს ამ სტილთან მისადაგებას. რა შეიძლება რომ შეიცვალოს? – ჩვენ შემტევი გუნდი ვართ და ეს ფეხბურთში საუკეთესო სტილია.


რობერტო კარლოსი

**- კლუბთან კონტრაქტი ორ წელიწადში გიმთავრდებათ. უკვე გქონდათ საუბარი მის გაგრძელებაზე? გსურთ "რეალთან" კონტრაქტის გახანგრძლივება?**

- კარიერის დასრულება მადრიდის "რეალში" მსურს. მაგრამ ეს არ არის დამოკიდებული მხოლოდ ჩემზე. ამ საკითხს პრეზიდენტი წყვეტს. პირადად მე, კონტრაქტის გაგრძელების თვალსაზრისით, პრობლემას ვერ ვხედავ.

**- რას ფიქრობთ ბექჰემის შეძენაზე? მის განცხადებებზე უფრო მეტს საუბრობენ, ვიდრე მის თამაშზე. ხომ არ გგონიათ, რომ ყოველივე ეს ავნებს ბექჰემს?**

- ახლა მთელი მსოფლიო იმაზე საუბრობს, თუ როგორი ლამაზი და არაჩვეულებრივია ბექჰემი. როდესაც ის თამაშს დაიწყებს, ყველაფერი შეიცვლება. მადრიდის "რეალი" არ არის მხოლოდ სარეკლამო ფოტოსურათები. ჩვენ საფეხბურთო გუნდი ვართ; კარგად ვიცით, რომ ჩვენი ამოცანა მატჩებისა და ტიტულების მოგებაა. დარწმუნებული ვარ, რომ ბექჰემი ფეხბურთზე მოახდენს კონცენტრირებას.

**- უკანასკნელ მატჩებში მას მაისურებს უცვლიდით. თქვენ მეგობრები ხართ?**

- დიახ, ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაკავშირებს. მე მაქვს მისი ბუცები, მაისური, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ეცვა, "მანჩესტერის" მაისური... ბექჰემი დიდი ფეხბურთელია და ის გააძლიერებს ჩვენს გუნდს. ვუსურვებ მას, რომ მისი პირველი მატჩი "რეალში" საუკეთესო იყოს. მინდა, რომ მისი დებიუტი წარმატებული იყოს და ყველამ დაინახოს, თუ როგორი ფეხბურთელია ბექჰემი. აქედან გამომდინარე, აღარც იმაზე ისაუბრებენ, რომ მას რეკლამა უფრო აინტერესებს; მთავარი ფეხბურთი და მადრიდის "რეალია". "რეალი", როგორც კლუბი, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბექჰემი ან რომელიმე სხვა ფეხბურთელი. დევიდი ამას მალევე მიხვდება.

**- თქვენ უკვე უამრავი ტიტული გაქვთ მოპოვებული, როგორც საკლუბო ისევე სანაკრებო დონეზე. კიდევ დარჩა რაიმე, რისი მიღწევის სურვილიც გაქვთ?**

- მომავალ სეზონში კიდევ უფრო მეტი ტიტულის მოგება მსურს. ჩვენ კვლავ უნდა მოვიგოთ ესპანეთის ჩემპიონატი, დავიბრუნოთ ჩემპიონთა თასი. უნდა დავიწყოთ გამარჯვება ესპანეთის სუპერ-თასზე და წარმატებას უნდა მივაღწიოთ სამეფო თასზე. სამეფო თასი მე ჯერ არ მომიგია. მინდა, რომ კიდევ ერთხელ მომიწიოს მის ფინალში თამაში. მინდა, მეფეს მივესალმო. თასის ფინალში ჩვენ "დეპორტივოსთან" წავაგეთ – ეს ვალიც უნდა დავიბრუნოთ.

ინფოთეკა

## ტაისონს ფსიქოთერაპევტის ვალი აქვს

გიჟმაჟი მაიკ ტაისონი კვლავ ყურადღების ცენტრშია, უფრო სწორედ, მორიგ სკანდალში გაეხვია. "რკინის მაიკს," რა თქმა უნდა, სასამართლოში ელიან. ამჯერად მომჩივანი მისი ყოფილი პსიქოთერაპევტი, მაიკლ გიბსონია, რომელმაც ყოფილ კლიენტს, თუ პაციენტს, ლოს ანჯელესის რაიონის სასამართლოში უჩივლა. ჯარიმის ოდენობა 29 ათასი დოლარია. ფსიქოთერაპევტის მიერ წარდგენილი საბუთების მიხედვით, დასტურდება, რომ "რკინის მაიკი" ექიმის მომსახურებით სარგებლობდა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გიბსონი ტაისონს სეანსების საფასურის გადაუხდელობას ედავება.

ერთ-ერთი ამერიკულ ტელეშოუში ითქვა კიდეც, - სამი წლის წინათ ციხიდან გამოსვლისთანავე ტაისონმა გიბსონს დახმარებისთვის, ანუ "ტვინის კორექტირებისთვის" მიაკითხაო. 2000 წელს კი, მოგეხსენებათ, "რკინის მაიკი" ევანდერ ჰოლიფილდისთვის ყურის მოჭმის გამო იხდიდა სასჯელს.

ტაისონსა და ფსიქოთერაპევტს შორის დადებული შეთანხმებით, პაციენტს გიბსონისთვის თვეში რვა ათასი დოლარი და, ასევე, ექვსი ათასი დოლარი უნდა გადაეხადა გაუთვალისწინებელი ვიზიტებისთვის. დეპრესიაში ჩავარდნილ კლიენტს გიბსონმა ხელი მოჰკიდა. თუმცა, ისე მოხდა, რომ გაგანია თერაპიის პროცესში ტაისონი ბრიტანელი ლენოქს ლუისის მცველს აუხირდა და მუშტიკრივი გაუმართა. გარდა ამისა, ის ჰავანაში რეპორტიორებსაც დაერია; საჯილდაო ქვად ქცეულ მის ცოლზე რომ არაფერი ვთქვათ.

მოგვიანებით ფსიქოთერაპევტმა ექიმობას ტაისონის შუამდგომლობაც შეუთავსა. სწორედ გიბსონის დამსახურებაა ის, რომ მოკრივემ საკრივო ლიცენზია დაიბრუნა.

ერთი სიტყვით, მაიკს გიბსონის 29 360 დოლარი ვალი მართებს.

**ფეხბურთი.** მეორე ბრაზილიელი, რომელიც "მანჩესტერმა" ბოლო კვირის მანძილზე გადაიბირა, "ატლეტიკო პარანაენსეს" და ბრაზილიის ნაკრების ნახევარმცველი კლებერსონია. ინგლისელებს, მის სანაცვლოდ, 7 მილიონი გირვანქის გადახდა მოუწევთ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ესპანეთის "ბარსელონას" აწ უკვე ყოფილი ფეხბურთელი, მარკ ოვერმარსი მომავალი სეზონიდან, შესაძლოა, თურქულ "გალათასარაის" შეუერთდეს. კლუბებს შორის მოლაპარაკება ჯერჯერობით წარმატებით მიმდინარეობს და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ოვერმარსიც თურქული კლუბის მაისურს მოირგებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ტურინის "იუვენტუსმა" ქალაქის ადმინისტრაციისგან სტადიონი და მისი მიმდებარე ტერიტორია 99 წლიანი იჯარით აიღო. კლუბის ხელმძღვანელთა მიზანი სტადიონის რეკონსტრუქციაა. ნავარაუდევია მაყურებელთა რიცხვის შემცირება 70 000-დან 40 000-მდე. შედეგად, შემცირდება სტადიონის მიერ დაკავებული ტერიტორიაც, გამოთავისუფლებულ ადგილას კი კომერციული ცენტრის მოწყობას აპირებენ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** არაა გამორიცხული, ახლო მომავალში გაბრიელ ბატისტუტა "ფიორენტინაში" დაბრუნდეს. "ის ყოველთვის ამბობდა, რომ "ფიორენტინაში" სურდა თამაში და მომავალ წელს, ალბათ, აისრულებს კიდეც საწადელს", - განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** პატრიკ კლუივერტი დათანხმდა "ბარსელონასთან" კონტრაქტის გაგრძელებას. აქედან გამომდინარე ჰოლანდიელი ფორვარდი ხელფასის შემცირებაზე ყაბულსაა, რადგან "ბარსელონა" ფეხბურთელის უარის შემთხვევაში მისთვის კონტრაქტის გაგრძელებას არ აპირებდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მანჩესტერი" "ჩელსისგან" ხუან სებასტიან ვერონის სანაცვლოდ ფულთან ერთად ეიდურ გუდიონსენს ითხოვს. "მანჩესტერის" წარმომადგენელთა თქმით, ვერონი ამად ნამდვილად ღირს და ეს "ჩელსის" ხელმძღვანელობამაც კარგად იცის.

■ ■ ■

**კრივი.** ვერნონ ფორესტზე გამარჯვებამ რიკარდო მაიორგას თავის ძალებში რწმენა შეჰმატა და მან ოსკარ დე ლა ჰოიასთან ბრძოლა მოისურვა. მისი თქმით, ის შესანიშნავ ფორმაშია და მზადაა დელა ჰოიას თავ-პირი დაუმტვრიოს.

■ ■ ■

**კალათბურთი.** NBA-ს ხელმძღვანელობის განცხადებით მომავალ წელს გუნდებს სახელფასო ფონდი 43,80 მილიონ დოლარამდე გაეზრდებათ. ხელფასზე ზღვარი პირველად 1984 წელს დაწესდა და თითოეული კლუბისთვის 3,6 მილიონს შეადგენდა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** კარლ მელოუნი და გარი პეიტონი მომავალ სეზონში "ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" ღირსებას დაიცავენ. პეიტონის კონტრაქტის დეტალები უცნობია, მელოუნი კი ორი წლის განმავლობაში, დაახლოებით, 3 მილიონ დოლარს მიიღებს.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ბოლო რბოლებში განცდილი წარუმატებლობის შემდეგ "ფერარის" ტექნიკური პერსონალი გაორმაგებული ენერგიით ცდილობს მანქანის სრულყოფას. "ასეთი შედეგი ჩვენთვის მიუღებელია, გამოდის, რაღაც არ გვაქვს წესრიგში და ეს რაღაც სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ", - ნათქვამია "ფერარის" წარმომადგენლის განცხადებაში.

მოკლედ

## კამერონ დიასს შერცხვა

როდესაც კამერონ დიასმა შეიტყო, რომ 40 წლის ფოტოგრაფს ვინმე ჯონ რიტერს აქვს ფოტო, სადაც ჰოლივუდის ვარსკვლავი ნახევრადშიშველია გადაღებული, გადაწყვიტა პოლიციისთვის შეეტყობინებია. ფოტოები მსახიობის ფოტომოდელობისდროინდელია. ლოს ანჯელესის სამართალდამცავებმა გადაატრიალეს ფოტოგრაფის სახლი, რასაც ხუთი საათი მოანდომეს და თითქმის ყველა ფოტონამუშევარი წაიღეს ისე, რომ თავად ფოტოგრაფისთვის ბრალდებაც კი არ წაუყენებიათ.

გამწარებულმა ფოტოგრაფმა ახლა არ იცის როგორ დაიბრუნოს საკუთარი ქონება. მან უკანასკნელი ხერხიც გამოიყენა და მიმართა კინოვარსკვლავს, გადაეხადა მისთვის სამი მილიონი ამერიკული დოლარი, მაგრამ ჰოლივუდის ვარსკვლავი საკმაოდ ძუნწი აღმოჩნდა.

## კეიტს + დევიდი

კეიტ მოსი ბოლოს გლასტონბერის ფესტივალზე ნახეს. სუპერმოდელს სხვებივით ტალახისგან დამცავი დიდი ბოტები ეცვა და მღეროდა – მონდომებით ავლენდა საკუთარ თავში ახლახან აღმოჩენილ კიდევ ერთ ნიჭს.

თუმცა, ეს მუსიკალური გამოსვლა ერთჯერადი და თან პირველი არ ყოფილა. წინათ ხომ კეიტ მოსი თავისი მეგობრის, "ფრაიმალ სქრიმის" ლიდერის, ბობი გილესპის კლიპებში მონაწილეობდა და მღეროდა კიდეც. ახლა ის დევიდ ბოუის შეუამხანაგდა და მუსიკოსის ახალ ალბომში, Reality ასრულებს სიმღერებს. უკვე მზად არის ალბომის საპრომოუტერო ფოტოებიც. ერთ-ერთ მათგანზე დევიდი და კეიტი ერთად არიან გამოსახულნი. ეს ფოტო ბოუის 1973 წლის ალბომის Pin Ups-ის ვარიაციებით შეიქმნა. თუ მაშინ დევიდი ტვიგისთან ერთად იყო გადაღებული, ამჯერად მას გვერდს კეიტ მოსი უმშვენებს, სხვა ყველაფერი კი უცვლელად არის დატოვებული – მაკიაჟიც, მომღერლების მიმიკაც და თმის ვარცხნილობაც.

Reality გასაყიდად 15 სექტემბერს გამოვა. ოქტომბრიდან კი კელტი როკ-მომღერალი ალბომში შესულ სიმღერებს სპეციალურ საპრომოუტერო ტურნეში შეასრულებს. როგორც ჩანს, მისი თაყვანისმცემლების არმია კვლავაც მრავალრიცხოვან ფანს ითვლის. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ბოუის გლაზგოში დაგეგმილი ერთჯერადი შოუსთვის ბილეთები რეკორდულად სწრაფად გაიყიდა. არადა, კონცერტი 28 ნოემბერსაა დაგეგმილი. მანამდე ბოუი კოპენჰაგენს, დუბლინის, ლონდონს და სხვა ევროპულ ქალაქებს ეწვევა. ეს იქნება ბოლო წლებში დევიდის ყველაზე დიდი და ძვირადღირებული ტურნე.

## ახალი ზორო

ანტონიო ბანდერასმა ამასწინათ ჟურნალისტებთან საუბარში თავის გეგმებზე ისაუბრა. ახალ პროექტს ჰოლივუდის ვარსკვლავი 2004 წლის თებერვალში დაიწყებს. ფილმის სამუშაო სახელწოდებაა "ზორო უნიღბოდ", თუმცა, კინოკომპანია Columbia Pictures-ის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სახელწოდება შეიცვლება. ახალ ზოროს მექსიკაში გადაიღებენ. ჯერჯერობით უცნობია, შეუერთდება თუ არა ბანდერასს მისი პარტნიორი ქეთრინ ზეტა-ჯონსი. ფილმის რეჟისორია მარტინ კემპბელი, სცენარის ავტორები არიან ტედ ელიოტი და ტერი როსიო, რომლებიც გვპირდებიან, რომ კინოსურათი სრულიად ორიგინალური იქნება.

## წიგნის ავტორი გორბაჩოვია

15 ივლისს ბონში გაიმართა წიგნის პრეზენტაცია, რომლის ავტორი სსრკ-ს ყოფილი მეთაური მიხაილ გორბაჩოვია. წიგნი გერმანიაში გამოიცა, მასში საბჭოთა კავშირის ექს-ხელმძღვანელი გლობალურ პრობლემებს განიხილავს. პასუხი სიღარიბეზე, ეკოლოგიურ კრიზისსა და კონფლიქტებზე - ასე უწოდებს თავად გორბაჩოვი საკუთარ ნაშრომს, რომელშიც ავტორი მოგვითხრობს 80-იანი წლების ევროპის მოვლენებზე, გერმანიის გაერთიანების მიზეზებზე და ა.შ. წიგნში, რომლის სახელწოდებაა Как это было, გაანალიზებულია 11 სექტემბრის ტერაქტიც და ჩერნობილის კატასტროფაც; მასში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკოლოგიურ პრობლემებს.

## მოდის კვირეული ინდოეთში

18-დან 24 ივლისამდე ინდოეთში მოდის კვირეული იმართება. ამ კვირეულის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება 60-მდე ინდოელი დიზაინერის pret-a-porter და pret-a-porter de luxe ჩვენებები. კვირეულს ბომბეის საშემსრულებლო ხელოვნების ეროვნული ცენტრი უმასპინძლებს. როგორც ვარაუდობენ, წელს ამ შვიდდღიან ფეშენ-შოუზე 15 ათასამდე მაყურებელი ჩავა. გაიმართება 35 ჩვენება, გამოფენა და ინსტალაცია, ჩატარდება სემინარები, რომლებიც მიეძღვნება მოდის სხვადასხვა ასპექტებს, მასტერკლასები მაკიაჟისა და თმის ვარცხნილობის თემებზე. ინდური მოდის კვირეულის სპონსორია დიდი პარფიუმერულ-კოსმეტიკური კომპანია Lakme.

# თანამედროვე ქალამანი

ნანა ბასილაშვილი

საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებთ უამრავი სხვადასხვა სფერო ახლებური სტილით ამუშავდა. ის, რასაც რიგითი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ფაბრიკები და ატელიები აწარმოებდნენ, დღეს მოდის სახლებმა და კერძო დიზაინერებმა შეითავსეს. სწორედ მათ შორის არიან ადამიანები, რომლებიც ქართული ფეხსაცმლის წარმოების განვითარებისათვის იღწვიან.

სასტუმრო "საქართველოში" ფეხსაცმლის დიზაინერთა გამოფენა მოეწყო. პროფესიონალებმა და ამავე დროს დამწყებმა დიზაინერებმა ფეხსაცმლის ესკიზები გამოფინეს. ანალოგიურ გამოფენას შარშან "ქარვასლა" მასპინძლობდა. მისი ორგანიზატორების გადაწყვეტილებით იგი ყოველ წელიწადს იმ მიზნით მოეწყობა, რომ საქართველოში ქართული ფეხსაცმლის წარმოება განვითარდეს. ამ საქმიანობის ინიციატორად დიზაინერი ელდარ ბიძინაშვილი გვევლინება. რამდენიმე წლის წინათ, მან ორიგინალური ქამრების (ხის ბალთიანი) გამოფენა-გაყიდვა მოაწყო. შემოსული თანხით კი პროგრამა "ქალამანი" ჩამოაყალიბა. "ქალამანის" ეგიდით ყოველწლიურად იმართება კონკურსები და სხვადასხვა ღონისძიებები.

პროგრამა "ქალამანი" სხვადასხვა დიზაინერებისა და მეწარმეების დაკავშირებასაც ისახავს მიზნად.


ბესო გულაშვილის ფოტო

თანამედროვე ქალამნების ყალიბები

გამოფენაზე საგანგებოდ მოწვეულ სტუმრებს შორის ფეხსაცმლის საწარმოთა ხელმძღვანელებიც იყვნენ. საღამოს ორგანიზატორებმა ისინი, წარმოდგენილი ნამუშევრების შესაფასებლად და ამავე დროს, ახალგაზრდა დიზაინერებთან საქმიანი ურთიერთობების დასამყარებლად მოიწვიეს.

"ქართული ფეხსაცმლის წარმოებისა და განვითარებისათვის ყოველ წელს პატარ-პატარა ღონისძიებებს ვახორციელებთ. სამომავლოდ პროგრამა "ქალამანის" გაგრძელებას და კიდევ უფრო მაღალი დონის გამოფენების მოწყობას ვგეგმავთ. და, რაც მთავარია, ჩვენი მიზნის განხორციელებას.

დღეს აქ ახალგაზრდა დიზაინერები და სხვადასხვა საწარმოების ხელმძღვანელები მოვიწვიეთ. ვიმედონებთ, რომ ისინი საერთო ენას გამონახავენ. ამდენად ჩვენ ორი საქმის ინიციატორებად გამოვდივართ. მეწარმეებს პროფესიონალ დიზაინერებს გავაცნობთ, ახალგაზრდა პროფესიონალები კი თავიანთი პროფესიით დასაქმდებიან", - აღნიშნა "ქალამანის" ორგანიზატორმა ელდარ ბიძინაშვილმა.

"შარშანდელ გამოფენაზე მიზანს ნაწილობრივ მივაღწიეთ. მაშინ დამსწრე საზოგადოებამ გაიგო, რომ საქართველოში არსებობს ნატურალური ტყავის, გემოვნებიანი დიზაინით შექმნილი ქართული ფეხსაცმელი, მაშინ როცა ჩვენს ქვყანაში უხვად გვამარაგებენ უცხოური და ხშირ შემთხვევაში უხარისხო ფეხსაცმლით. შარშანდელი გამოფენით მეწარმეები დაინტერესდნენ და დიზაინერებთან საქმიანი ურთიერთობებიც დაამყარეს. ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაწარმი მათ საზღვარგარეთაც კი გაიტანეს", - პროგრამის საქმიანობით კმაყოფილია თანაორგანიზატორი ნინო კუსრაშვილი.

"ქალამანის" მორიგ გამოფენას, კი მისი ორგანიზატორები, ოდნავ მოგვიანებით შეაფასებენ.

# „ლარუსია, გიყვარდეს დედა„

მემორიალი

ანა კორძაია-სამადაშვილი

"ჰომო სოვიეტიკუსი", უდავოდ, არსებობს. ეს სულაც არაა დამამცირებელ-დამაკნინებელი ან არასრულფასოვნების აღმნიშვნელი ცნება. ყოფილ საბჭოელებს "მოსკოვიდან განაპირამდე, სამხრეთის მთებიდან ჩრდილოეთის ზღვებამდე" იმდენად დიდი რამ აერთიანებთ, რომ ყველაზე გააფთრებული ნაციონალისტიც კი ვერაფერს შეედავება: წარსული. მეორე მსოფლიო ომი და პოლიტიკური რეპრესიები ქართველებს თუ ებრაელებს, რუსებს თუ ჩუვაშებს თანაბრად შეეხო. მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ძნელად თუ იპოვნით ოჯახს, რომლის ერთი წევრი მაინც არ იქნებოდა უზარმაზარი გულაგის არქიპელაგის მცხოვრები.

ჩვენი ცხოვრებისა და ჩვენი მეხსიერების ეს დიდი შრე დავიწყებას ეძლევა. გათავისუფლებული პატიმრის მსგავსად, ხალხი იმ ცუდი წლების წაშლას ცდილობს. მაგრამ ეს ყველაფერი სულ რამდენიმე ათწლეულის წინათ არსებობდა, და თუკი სხვების არა, ჩვენი წინაპრების ბედი მაინც უნდა გვაინტერესებდეს. უამრავი ქართველი ლუბიანკას "პოლიგონებსა" თუ სარდაფებში დახვრიტეს, ათასობით ადამიანმა ან ეტაპი ვერ გადაიტანა, ან საბადოებსა და ქვის სამტეხლოებში დაიღუპა, ან ავადმყოფობის მსხვერპლი გახდა. ადამიანები ცხოვრობდნენ, იტანჯებოდნენ, იმედი ჰქონდათ ან იმედი ეწურებოდათ. ჩვენ კი ამას აღარ ვიმჩნევთ. ვითომ ჩვენი მიმტევებლობის და ქრისტიანული სულისკვეთების წყალობით? საეჭვოა. უბრალოდ, რაც არ მოგვწონს, იმის დავიწყება ძალიან გვეხერხება, ეს კი, ამბობენ, ჩვილებისა და მშიშარა მოხუცების თვისებააო. ამნეზიის ამ ფორმას სკოლიდანვე ვითვისებთ, და წარსულთან ორი სახის დამოკიდებულება გვივითარდება: ან თითქმის უსაფუძვლო, მაგრამ აბსოლუტური აღტაცება, ან გაბოროტება და უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანისა თუ ერის კომპლექსი. მოკლედ, ყველაფერს ვივიწყებთ, მაგრამ არაფერს ვსწავლობთ, და ამიტომაა, რომ გამუდმებით ერთსადაიმავე შეცდომებს ვუშვებთ, ამიტომ ცოცხლობს დღემდე, თუნდაც ფორმით სახეცვლილი, მაგრამ შინაარსითა და პათოსით უცვლელი ლოზუნგი "რკინის ხელით მივმართოთ კაცობრიობა ბედნიერებისკენ!" – სიტყვები, რომლებიც 1920-იანი წლებიდან სოლოვკების ლეგენდარულ მონასტერსა და ბანაკს ამშვენებდა.




გულაგის მსხვერპლნი და შემოქმედნი

ეს ამბავი, ალბათ, არც მე გამახსენდებოდა, უბრალოდ, ერთი კვირს წინათ მოსკოვში ერთ უჩვეულო მუზეუმში მოვხვდი, რომელიც საზოგადოება "მემორიალის" მიერაა გახსნილი (ავადსახსენებელ memory-ში არ აგერიოთ, მე ეს მარცხი უკვე მომივიდა). "მემორიალი" საისტორიო-საგანმანათლებლო საზოგადოებაა, რომლის მიზანიც, პირადად ჩვენთვის, ცოტა მიამიტური ოპტიმიზმითაა გამსჭვალული, მაგრამ მშვენიერია: სამართლიანობის აღდგენა. "მემორიალი" წარსულის ტრაგედიას, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებების უგულებელყოფით ხსნის, და კაცმა რომ თქვას, სავსებით მართალი ბრძანდება.

"მემორიალის" წევრები ფრიად სასიამოვნო ხალხია. რუსეთის დედაქალაქის ქუჩებში აგრესიულ და დაშინებულ ადამიანებთან შეხვედრის და უკვდავი **женщина**, **куда прешь**-ის მოსმენის შემდეგ მათთან შეხვედრა ნამდვილი დღესასწაული იყო. ერთობ კირკიტა ხალხია, ძალიან დაუზარელი, რაც ყველაზე სასიამოვნოა – ყოველგვარ პოლიტიკურ ვნებებს მოკლებული. ისინი უფრო ჰუმანიტარი მეცნიერების შთაბეჭდილებას ახდენენ, ვიდრე აქტიური სამართალდამცავებისა. მათი ქველმოქმედება ფქვილისა თუ შაქრის დარიგებაში არ გამოიხატება, ისინი მოქალაქეთა სამართლებრივი სტატუსის გაუმჯობესებას ცდილობენ. "მემორიალი" ძალმომრეობის მსხვერპლებს, ამ ძალმომრეობის ისტორიის მკვლევარებსა და დღეს არსებული ძალმომრეობის წინააღმდეგ მებრძოლებს აერთიანებს.

1918-1954 წლების პოლიტიკური რეპრესიის და დისიდენტური მოძრაობის არქივი, სსრკ-ს ტოტალიტარული რეჟიმის კვლევების, მასობრივი პოლიტიკური რეპრესიების და მსგავსი ლიტერატურის შემცველი უმდიდრესი ბიბლიოთეკა, უფროსკლასელთა ისტორიულ-კვლავითი ნამუშევრების კონკურსის "ადამიანი რუსეთის ისტორიაში – მეოცე საუკუნე", მართლაც, შთამბეჭდავი შედეგები – მძიმე მოსანელებელია, მაგრამ ნახვად ნამდვილად ღირს.

საზაფხულო კაბა: ზომა – 44; მასალა – კრეპი; ფერი – ოდესღაც მონაცრისფრო-მოიასამნისფრო, დაკემსილი, დაკერებული და საბოლოოდ მაინც დაფლეთილი; მფლობელი – ბუხანევიჩ-ანტონოვა, რომელსაც ამჯერად მუზეუმის ექსპონატად ქცეული კაბა სამ ციხეში გაუხდელად ეცვა – ლუბიანკა, ბუტირკა, ტაგანკა ჩვენთვისაც კარგად ცნობილი სახელწოდებებია... თუკი "მემორიალის" მუზეუმს ეწვევით, გულაგის მკვიდრთა ყოფას და შემოქმედებასაც გაეცნობით. ფერწერული თუ გრაფიკული ნამუშევრები და ხელსაქმის ნიმუშები, ტანსაცმელი, ჭურჭელი – მათ მფლობელთა თუ ავტორთა ნაწილის ვინაობა ცნობილია, ზოგისა კი არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რომ, მაგალითად, ნამდვილად ქალი იყო და მისი ქმარი ნამდვილად ხალხის მტერი იქნებოდა, აბა, სხვაგვარად "ალჟირში" რა ესაქმებოდა! "ალჟირი" კი ბანაკი გახლდათ, არა აფრიკაში, არამედ საბჭოთა კავშირის თვალუწვდენელ მიწა-წყალზე, საგანგებოდ ხალხის მტრების ცოლებისთვის შექმნილი. სწორედ ასეთმა ქალმა 1938 წელს ხელსახოცზე ამოქარგა: "ლარუსია, გიყვარდეს დედა", ასეთმა ქალმა მოქსოვა საკერავი ნემსებით და წინდების ნარღვევი ძაფით პაწაწინა ხელთათმანი – ბანაკის საავადმყოფოში იძულებითი აბორტის შემდეგ. მრავლის ვინაობა ვერ დაადგინეს, და ვინ იცის, იქნება ჩვენი ბებიები და დიდი ბებიები იყვნენ, ხალხი მტრები, მოგეხსენებათ, ქართველებსაც მრავლად გვყავდა. ამის დასტური თუნდაც ბანაკების მკვიდრთა ქართული წერილებია, რომლებიც დღეს მოსკოვის "მემორიალის" არქივებში ინახება.

# ყველაზე ცნობილი ისლანდიელი

ბიორკის შოუ-კარნავალი მოსკოვში

ვერა ნეფარიძე

*დღეს მილიონობით ადამიანს შურს მოსკოველების. განსაკუთრებით კი მათ, ვის მშობლიურ ქალაქშიც მსგავსი, ალბათ, კარგა ხნის განმავლობაში არ მოხდება. დღეს ყველაზე ცნობილი ისლანდიელი, თანამედროვე მუსიკის ყველაზე საიდუმლოებით მოცული მომღერალი ბიორკი მოსკოვის სპორტ-კომპლექს "ოლიმპიურის" დარბაზში იმღერებს. ზეგ კი მუსიკოსი რუსეთის ჩრდილო დედაქალაქსაც დააფასებს.*

ბიორკი რუს მსმენელს ნამდვილ კარნავალს დაჰპირდა. "წინა ტურნეს დროს ჩვენ გამოვდიოდით საოპერო სცენებზე, გვყავდა ორკესტრი და ერთი სიტყვით, სცენაზე საკონცერტო პიჯაკებში გამოწყობილი უამრავი ადამიანი მუშაობდა – ასეთი ელეგანტური იყო ის ტურნე. ახლანდელი საკონცერტო ტურნე კი უფრო მეტად კარნავალს ჰგავს: ეკრანებითა და სპეცეფექტებით", - ასე შეამზადა დღევანდელი და ზეგინდელი კონცერტისთვის რუსული აუდიტორია მომღერალმა. ბიორკი რუსეთში რვაკაციან ჯგუფთან ერთად უძველეს ინსტრუმენტებზე შეასრულებს სხვადასხვა ალბომებიდან The Best Of-ის პრინციპით შერჩეულ რეპერტუარს.

მას ძალიან ხშირად ბავშვს ადარებენ. და მართლაც, იგი ბავშვური გულღიობით ქმნის უჩვეულო შემოქმედებას, რითაც წლების განმავლობაში ანცვიფრებს მსოფლიოს. მის



ყველაზე ცნობილი ისლანდიელი მოსკოვში

სიმღერებში არის რაღაც აუხსნელი, ჯადოსნური, ყოველგვარი სტილისაგან და სხვადასხვა გარემოებებისგან დამოუკიდებელი, თავისუფალი. ყოველთვის იცის, რასაც აკეთებს. ის კარგა ხანია, არ ინტერესდება იმ ყველაფრით, რაც ადამიანების უმრავლესობისთვის ნორმალური და ძალზე ჩვეულებრივია. ის პარტიზანივითაა, უჩინარი სამყაროს გმირი, რომელიც ყოველთვის მორიგი პროკლამაციის სამზადისშია.

37 წლის ბიორკ გუდმუნდსდოტირი – ყველაზე ცნობილი ისლანდიელია მთელი ამ ქვეყნის ისტორიაში. ფლობს კანის ფესტივალის სამ პრიზს, ქალის როლის (ფილმში "სიბნელეში მოცეკვავე") საუკეთესო შესრულებისთვის; არის ოთხი ალბომისა და ერთი საუნდთრეკის (ლარს ფონ ტრიერის იგივე ფილმისთვის) ავტორი და მსოფლიო პოპ-მუსიკის უმაღლეს ლიგაში ყველაზე რადიკალურ ექსპერიმენტატორად მიიჩნევა.

არ მეგულება პოპ-მუსიკაში არცერთი ვარსკვლავი, ვინც ისე ნაადრევად დაუკავშირა საკუთარი ცხოვრება სერიოზულ მუსიკალურ კარიერას, როგორც ეს ბიორკის შემთხვევაშია. იმის მიუხედავად, რომ სახელწოდებით Debut ბიორკმა ალბომი 1993 წელს გამოსცა, სინამდვილეში თავისი სადებიუტო ალბომი მომავალ ვარსკვლავს 11 წლის ასაკში ჰქონდა. მართალია, ათი კომპოზიციიდან უმრავლესობა 70-იანი წლების ჰიტების ინტერპრეტაციები (რომლებიც დედის მეგობარმა ჰიპებმა შექმნეს) და ისლანდიური ფოლკლორის ნიმუშები იყო, მაგრამ ეს, ალბათ, არაფერს ცვლის.

"ჩემი აზრით, წელიწადში 364 დღე უნდა ვუსმენდეთ თანამედროვე მუსიკის ახალ-ახალ მიმდინარეობებს და მხოლოდ ერთი დღე უნდა დავუთმოთ ძველ მუსიკას", - ამბობს მუსიკოსი, რომელიც დარწმუნებული ვარ, სწორედ ასედაც იქცევა, სხვაგვარად, ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა ისეთი ნოვატორული მუსიკის შექმნა, რითაც ბიორკი წლების განმავლობაში მსოფლიო მუსიკალური საზოგადოების ყურადღებას იქცევს.

"ჩემი აზრით, ყველა ადამიანს შეუძლია შექმნას სიმღერები. პირადად მე, უფრო მეტად მაინტერესებს, როგორ მღერის ბებიაჩემი, ვიდრე რომელიმე ცნობილი საოპერო შემსრულებელი. გესმით ჩემი? მგონია, რომ ეს უფრო მნიშვნელოვანია", - ეს სიტყვებიც ცნობილ ისლანდიელ შემსრულებელს ეკუთვნის. თუმცა, მაინც მგონია, რომ თაყვანისმცემელთა უზარმაზარი არმიიდან ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში უმრავლესობას მაინც ეჭვი ეპარება. რაზეც შეგვიძლია გაცვეთილი ფრაზა გამოვიყენოთ: ეს უკვე ნამდვილად მათი პრობლემაა და არა ბიორკის.

# აჟიოტაჟი დავითის გარშემო



მომავალ წელს მიქელანჯელოს დავითს 500 წელი უსრულდება. ამ თარიღთან დაკავშირებით რესტავრატორებმა ცნობილი ქანდაკების რესტავრაცია გადაწყვიტეს. სწორედ ამის გამო დიდი დავა და აჟიოტაჟია ატეხილი ხელოვნების სამყაროში. როგორ უნდა გაიწმინდოს ქანდაკება? - აი, ის კითხვა, რამაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ერთნი ამბობენ, რომ დავითი წყლის ჭავლით უნდა გასუფთავდეს, და იქვე დასძენენ, რომ მხოლოდ ასეთი საგულდაგულო წმენდის შემდეგ ექნება მნახველს შესაძლებლობა დაინახოს დავითის პირვანდელი სახე. მეორენი კი ჯიუტად იცავენ იმ აზრს, რომ ქანდაკების რესტავრირების დროს მშრალი წმენდის მეთოდი უნდა გამოიყენონ. პირველი მოსაზრების დამცველნი მშრალი წმენდის მეთოდის კატეგორიული წინააღმდეგნი არიან, ისინი მიიჩნევენ, რომ მშრალი წმენდა მხოლოდ ზედაპირულ ჭუჭყს მოაშორებს ქანდაკებას და სხვა არაფერი. გალერეა (Florence's Galleria dell'Accademia), სადაც ეს უნიკალური ექსპონატია დაცული, პირველი მეთოდის მომხრეა. სწორედ ამან გამოიწვია საერთაშორისო ხელოვნების ექსპერტების აღშფოთება. 40-ზე მეტმა ექსპერტმა საპროტესტო დოკუმენტს მოაწერა ხელი. პეტიციაში ისინი ითხოვენ, რომ შეჩერდეს გალერეის მიერ დაგეგმილი პროექტის განხორციელება. მათი აზრით, საუკეთესო მეთოდი დამოუკიდებელი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა შეიმუშაონ. რესტავრატორმა ანეს პარონჩიმ, რომელსაც აღნიშნული პროექტის განხორციელება ჰქონდა დავალებული, აპრილში უარი თქვა პროექტში მონაწილეობაზე და განაცხადა, რომ ქანდაკების გაწმენდა მხოლოდ მშრალი ტექნოლოგიით არის შესაძლებელი, რადგან ყოველგვარი სხვა მეთოდი ექსპონატს დააზიანებს. ქანდაკება დროით და ჭუჭყით საკმაოდ შელახულია და აკადემიის გალერეის მიერ არჩეული ტექნიკა მისი ზედაპირის მრავალფეროვნებას დაარღვევს, წაიშლება ქანდაკების ბუნებრივი ფერები და მარმარილოს ტონები, - აღნიშნა მან ჟურნალისტებთან საუბარში.

აღნიშნულ მოსაზრებას გალერეის დირექტორი ფრანკა ფალეტი იგნორირებას უკეთებს. მისი თქმით, მშრალი წმენდის მეთოდი მხოლოდ მტვერს მოაშორებს ქანდაკებას, სველი წმენდა კი დავითს პირვანდელ სახეს დაუბრუნებს, ჩვენ ვიხილავთ ქანდაკებას, სიჭაბუკის სიმბოლოს, სწორედ ისეთს, როგორც მიქელანჯელომ ჩაიფიქრა.

ისიც უნდა ითქვას, რომ გალერეის პროექტით პოპულარული ადამიანებიც დაინტერესდნენ. როგორც ცნობილი გახდა, სტინგი და მელ გიბსონი აპირებენ საკუთარი წვლილი შეიტანონ დავითის რესტავრაციის საქმეში და 500 ათასი ევრო გადარიცხონ პროექტის განსახორციელებლად. ფალეტის არგუმენტი იტალიის მთავრობასაც დამაჯერებლად ეჩვენა. იტალიის მთავრობამ მხარი დაუჭირა პროექტის განხორციელებას და თქვა, რომ ქანდაკების რესტავრაცია, ალბათ, სექტემბრისთვის დაიწყება. ოპონენტი ხელოვნების ექსპერტების საპასუხოდ ფლორენციის ხელოვნების სუპერინტენდანტმა ანტონიო პაულონიმ კი ასეთი რამ განაცხადა: "იტალიელებს სხვებისგან რჩევის მიღება არ სჭირდებათ. რესტავრაციის საქმეში ჩვენ ბადალი არ გვყავს. და უბრალო გასუფთავების პრობლემა ტრაგედიად არ უნდა ვაქციოთ."

ქანდაკების გაწმენდის პრობლემას ბოლო 11 წლის მანძილზე დეტალურად შეისწავლიდნენ. გაზომეს ყოველი სანტიმეტრი, ციფრული ტექნიკის მეშვეობით ნახაზზე იყო გადატანილი მცირე დაზიანებები და დეფექტები. გადაწყდა, რომ სარესტავრაციო სამუშაოებს აწარმოებენ იმ დროს, როცა მუზეუმი მნახველისთვის დაკეტილი იქნება. აღნიშნული პროექტის მიხედვით, რესტავრაცია ექვს თვეს გასტანს.

მიქელანჯელოს ცნობილი ქმნილება 300 წელზე მეტია Piazza della Signorina-ში იდგა, სანამ Galleria dell'Academia-ში გადავიდოდა. ეს მოხდა 1873 წელს. მას შემდეგ დავითს ყოველწლიურად, დაახლოებით, 1,2 მილიონი მნახველი ჰყავს.

# „ჰარი პოტერი" ისევ ლიდერობს



ბრიტანელი მწერლის ჯ. კ. როულინგის წიგნის "ჰარი პოტერის" მეხუთე ტომმა მსოფლიოში არნახულ წარმატებას მიაღწია. სამი წლის ლოდინის შემდეგ 21 ივნისს გაყიდვაში გამოვიდა მე-5 ტომი "ჰარი პოტერი და ფენიქსის ორდენი". ყოველკვირეული გამოცემა "შპიგელის" მიხედვით მან ყოველგვარი რეკორდი მოხსნა და გერმანიის ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან წიგნად დასახელდა. მას არც დიდი ბრიტანეთი ჩამორჩა, სადაც წიგნზე ძალზედ დიდი მოთხოვნილებაა. მოსკოველი მკითხველი კი ნოემბრამდე ვერ იხილავს საყვარელ წიგნს, რომლის თარგმანზეც სამი საუკეთესო თარჯიმანი მუშაობს. საერთო ჯამში, მთელ მსოფლიოში წიგნის პირველი ოთხი ტომის 190 მლ მეტი ეგზემპლარია გაყიდული, მასზე ორი მსხვილ ბიუჯეტიანი ფილმია გადაღებული, რომლებიც პრაქტიკაში წამყვან პოზიციებს იკავებენ.

"ჰარი პოტერის" გერმანელმა ფანებმა გადაწყვიტეს თავისი წვლილი შეიტანონ ნაწარმოების გერმანული ვერსიის შექმნაში (რომელიც ჯერ კიდევ არ არის ნათარგმნი) და გახსნეს საიტი ინტერნეტში, სადაც თითოეულ მათგანს საშუალება ექნება აირჩიოს საყვარელი ეპიზოდი თუ თავი ნაწარმოებიდან და თარგმნოს. მართალია, წიგნის ერთგული მკითხველი უსასყიდლოდ იმუშავებს, მაგრამ საბოლოო ჯამში, როცა მოხდება ნამუშევრების გაერთიანება, თითოეულ მათგანს საშუალება ექნება ააწყოს საკუთარი, თავისი "ჰარი პოტერი". მადრიდში კი 21 წლის ერთგულმა ფანმა, გადაწყვიტა გაემეორებინა პატარა ჰარის ჯადოქრობა და ჯადოსნური სითხის დამზადების ძლიერი წყურვილით ცეცხლი წაუკიდა სახლს. მართალია, პატარა "ჯადოქარი" მეხანძრეებმა გადაარჩინეს, მაგრამ სახლი მთლიანად განადგურდა. ასე რომ ერთს გირჩევდით, ისიამოვნეთ წიგნით, გაერთეთ ფილმის ყურებით, მაგრამ არასოდეს გაიმეოროთ პატარა ჰარის ჯადოქრობები.

## TV პროგრამა
17 ივლისი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **07.30** სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" **09.40** სერიალი „ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი „მეოცე საუკუნე" **11.10** სერიალი „კომისარი მონტალბანო", **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „მოურჯულებელი ჰილდა" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი „ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" **18.50** სერიალი „მაშველები" **19.40** სერიალი „მოურჯულებელი ჰილდა" **22.00** სერიალი „შავი ზეცა" **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი „სექსი დიდ ქალაქში" **00.40** მხ.ფილმი „ინტერგოგონი". მთ. რ-ში: ელენა იაკოვლევა, ტომას ლაუსტიოლა.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი „ჯაშუშები" **10.10** მხ. ფილმი „თავზეხელაღებული" **11.40** დოკ.სერიალი „მსოფლიოს ქალაქები" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „უშმაკუნა" **13.00** დოკ. სერიალი „ტექნოპოლისი" **14.00** დოკ. სერიალი „72 საათი" მე-3 ს. **15.15** მხ. ფილმი „ჯონი მნემონიკი" **16.50** კონცერტი **17.05** ტელესერიალი „ძილის წინ" **17.20** შემეცნებითი ფილმი „მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.45** „ერთი თეთრიც ფულია" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი „ევროპის ბუნება" **18.35** ბაკტი-ბუბუ **18.55** ჰოლივუდის ვარსკვლავები **19.20** ტელეთამაში „იმღერე რამე" **21.05** ტელესერიალი „უშმაკუნა" **22.15** საქართველო არის ესე **22.35** ტელესერიალი „ძილის წინ" **23.00** „რა ხდება ?!" **00.00** მხ. ფილმი „ვაჟიშვილის ფიცი".

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „დიდი მამა" მთ. რ-ში ადამ სენდლერი, რობ შნაიდერი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** „ბრავო" „ზნელეთი" მთ. რ-ში აბა პაკუინი, ლენა ოლინი. **02.00** „დამურა" „იაკუძას გზა" მთ. რ-ში რიკი ტაკი იუჩი, ჯორჯ ჩუნგი. **03.45** პაუზის გარეშე.

### მეორე არხი

**19.00, 22.00** „მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** სერიალი „რვაფეხა" **20.30** ისტორიანი **21.00** შვიდეული **22.10** მხ. ფილმი „სამანტა".

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი „ცხელი ზაფხული" **13.30** მხ.ფილმი „ადამიანები შავებში" **15.00** მხ. ფილმი „ქვის რომანი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს" **17.15** მხ ფილმი „დიდიე" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „ხმლითამუა ზღვა" **22.30** მხ. ფილმი „კომანდოსი".

### იბერია

**08.00** ანონსი, ალსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი „სირანო" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. სერიალი „ექსპედიცია" **14.50, 17.20, 17.30, 21.55, 23.30, 00.50, 01.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი **17.30** დოკ. სერიალი **18.45** ბუნების ფერები **19.30** კონცერტი **21.00** ტელე-სინე-ვიდეო (განმ.) **22.00** დიალოგი **23.45** მხ.ფ. „ხმა" **00.55** მხ.ფილმი „ქორწილი წვიმების სეზონში".

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა „დილა" **10.00** სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო" **10.30** მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი" **11.00** სერიალი „ქალი პოლიციელი" **11.50** კლასიკური მუსიკა **12.10** მხ. ფილმი „ჩამოსვლა" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** დოკ. სერიალი „უცნაური ამბები" **15.15, 18.50, 19.50** მუსიკა **15.30** სერიალი „ციებ-ცხელება" **16.30** დოკ. სერიალი „წარსული და აწმყო" **17.50** მარიონეტების ფილმი „ყორაღები"-დესანტი. **18.05** სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო" **18.25** მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი" **19.00** სერიალი „პოლიციელი ქალი" **20.00** „ქართული ფეხბურთი" **21.15** სერიალი „ციებ-ცხელება" **22.00** გადაცემა „ყვითელი კვადრატი". **22.25** ტელემეტრი **22.50** მოკლ. მხ. ფილმები „საშა", „კოსმიური მაიმუნი". **23.20** „ცხელი ცხრიანი" **00.20** რუს. მხ. ფილმი „ეშმაკები".

### იმედი

**09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55** ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20, 01.35** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი „იუდას ქალი" **10.30** არტ-ბულვარი **11.00** დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის" **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი „ექიმი მარტა და მისი პაციენტები" **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი „მკვლელობის ილუზია" **15.15** მხ. ფილმი „როგორ გადავაქციოთ ცოლი ურჩხულად" **17.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა" **18.05** სერიალი „იუდას ქალი" **19.30** სერიალი „ექიმი მარტა და მისი პაციენტები" **20.30** სპ. პროგრამა „ესტაფეტა" **21.05** სერიალი „მკვლელობის ილუზია" **23.00** სერიალი „ეროვნული უშიშროების აგენტი" **23.55** კინოვარსკვლავთა ღამე „ჯეკ ნაიფი".

### აჭარა

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.10** საბავშვო ფილმი „პატარა პრინცესა" **10.40, 14.05** მუსიკა **11.00** დოკუმენტური ფილმი **12.10** თრილერი „ნიკიტა" **14.15** კომედია „მკვლელობა გროს-პოინტში" **16.10, 19.20, 22.20, 00.20** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" **16.20** მულტფილმი „ანასტასია" **17.25** თრილერი „ორნი ქალაქში" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს" **19.40** „პირისპირ" (ავტორი ვ.კვარაცხელია) **20.30** მუსიკა **20.35** ისტორიული ფილმი „მეფეთა მეფე" **22.50, 01.00** მუსიკა **23.00** დოკუმენტური ფილმი **00.45** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.20** კომედია „ლ-9" **03.20** დოკუმენტური ფილმი **04.15** თრილერი „სასტიკი თამაში".

### VII არხი

**09.10** მელოდია **09.25** „აჩიკუდი" **09.45** მობილურები **10.35** მელოდია **11.00** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **11.30** მელოდია . **11.50** აუდიო-ვიდეოტელე **12.25** დისნეი და მისი მეგობრები **12.45** კომპიუტერული თამაშები **13.05** კომპიუტერული ტექნიკა **18.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **19.00** „აჩიკუდი" **19.20** მოკლედ... სპორტი **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.30** კომპიუტერული თამაშები **20.35** ღამის კაპრიზი" - თემა **21.25** მობილურები **22.55** „კინოკლუბი „ - „თქვენი ფოსტა". მელოდრამა. რეჟ: ნორა ეფრონი. როლებში: ტომ ჰენქსი, მეგ რაიანი. **00.20** აუდიო-ვიდეო-ტელე **00.55** ტელესერიალი „შიშილი"-21-ე სერია **01.30** კომპიუტერული ტექნიკა.

### ОРТ

**07.00** „Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.15, 21.00 Сериал „Земля любви, земля надежды" 11.05 Худ.фильм „Королева Марго"** **12.05** „Шутка за шуткой" **12.35** Диснейклуб: „Базз и его команда" **13.15 Детектив „Свой"** **15.05** Док.сериал „Ваш ход, инспектор" **16.15** „Кумиры". О.Воронец **16.45 Боевик „Тридцатого уничтожить", 2 с. 17.55 Мелодрама „Свободная женщина" 19.25 Т/с „Герой нашего племени" 19.55 Худ.фильм „За кулисами"** **22.00, 00.30** Время **22.35 Худ.фильм „Русские в Городе Ангелов".** „Ребенок", ч.2 **23.40 Сериал „Шпионка"** **01.00** „Е. Евтушенко. Человек со станции „Зима" **01.30** „Теория невероятности". „Геопатогенные зоны" **02.00 Комедия „Осторожно, заложник".**

### РТР

**06.45** „Доброе утро, Россия!" **09.45, 21.55 Сериал „По имени Барон..." 10.45 Худ.фильм „Золотая мина"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.20** Ток-шоу „Короткое замыкание" **13.20 Детектив „Марш Турецкого".** „Контрольный выстрел", 1 с. **14.15, 17.45** „Экспертиза" **14.30** „Вся Россия" **14.45** Вести - Москва **15.20** „Что хочет женщина" **16.10 Сериал „Семейные тайны" 17.15 Сериал „Простые истины"** **18.20, 20.50** Вести. Дежурная часть **18.50, 03.15** „Дорожный патруль" **19.05** Вести - Спорт **19.20, 21.30** Местное время. Вести - Москва **19.50 Сериал „Комиссар Рекс"** **21.50** „Спокойной ночи, малыши!" **23.00 Детектив „Марш Турецкого".** „Контрольный выстрел", 2 с. **00.00** Фестиваль „Славянский базар-2003". День России. Гала-концерт **01.05** Дневник фестиваля „Славянский базар-2003" **01.20 Боевик „Карающий" 03.30 Сериал „Сеть" 04.20 Сериал „Дживс и Вустер".**

### НТВ

**07.00** „Утро на НТВ" **10.05 Сериал „Жил-был я..."** **11.00** „Сегодня утром" **11.25** „Растительная жизнь". О.Басилашвили **12.05** „Кулинарный поединок. Стихийные рецепты" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.45** „Сегодня" **13.30** Ток-шоу „Страна Советов" **14.35 Сериал „След оборотня"** **15.45** „Криминал" **16.35** Ток-шоу „Принцип „Домино". „Выйти замуж за иностранца" **18.30 Сериал „Скорая помощь 2"** **19.25** Док.фильм „Николай 2. Круг жизни", 4 с. **20.35 Сериал „Улицы разбитых фонарей" 21.45 Сериал „След оборотня"** **23.00** „Страна и мир" **23.30 Сериал „Клан Сопрано" 00.35 Сериал „Улицы разбитых фонарей"** **02.10** „Гордон" **03.05** „Кома".

# მზით ცდუნებული კაცობრიობა

თამარ ბაბუაძე

*დღეს, როდესაც გარუჯული სხეულით წვიმიან შემოდგომასა და თოვლიან ზამთარშიც იწონებენ თავს, შეგვიძლია გაბედულად დავასკვნათ ერთი: ადამიანები 21-ე საუკუნეშიც ისეთივე მოწიწებით სცემენ თაყვანს მზეს, როგორც ამას ძველ დროში შუმერები, ეგვიპტელები ან იაპონელები აკეთებდნენ. განსხვავება ძალიან მცირეა. თუ ძველ ბერძნებს ეგონათ, რომ მზით გარუჯვა – "ჰელიოთერაპია" მკურნალობა იყო, დღეს ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ დიდი რაოდენობით მზე ათასგვარ დაავადებას, ხშირად კი, კანის კიბოსაც იწვევს.*


"ზაგარს" ფრანსუა ოზონის ფილმ "აუზში" იღებენ

თუმცა, კიბოს მიმართ მხოლოდ ქვეცნობიერი, გაუაზრებელი შიში არსებობს. და მზე რის მზეა, რომ ეს შიში მომენტალურად არ გააქროს და ადამიანებს წინდახედულება არ დაავიწყოს. კაცობრიობაც სიამოვნებით ცდუნდება, სიამოვნებით შიშვლდება მზის წინაშე და თავს მხოლოდ სხივების დამბლოკავი კრემებით თუ იმშვიდებს. ამ კრემებისა და ლოსიონების სიმრავლესაც, ალბათ, ისევ მზისადმი სიყვარული განაპირობებს. ადამიანები გიჟდებიან გარუჯულ სხეულებზე და მისი ხათრით ისეთი სისწრაფით ანადგურებენ მზისგან დამცავ კოსმეტიკას, როგორც პრეზერვატივებს.

თითქმის ყველა ქვეყნის ყველა სუპერმარკეტში მზისადმი "მიძღვნილი" კოსმეტიკა ათასგვარი ფორმითა და დანიშნულებით იყიდება: კრემები, გელები, აეროზოლები, ქაფები, ლოსიონები; დამცავები ბავშვებისთვის, დიდებისთვის; მბლოკავები 2-იდან 50 პროცენტამდე სიძლიერით; ამ კოსმეტიკას წინდახედული ადამიანები ხმარობენ არა მხოლოდ საცურაო აუზებსა და პლაჟებზე, არამედ ყოველდღიურად, ქუჩაში სეირნობის დროსაც კი. თუმცა, უფრო სუსტი ნებისყოფის ადამიანები ამ დამცავებს ვერც პლაჟზე წასვლის წინ ამჩნევენ და თვალი მუდამ იქითკენ გაურბით, სადაც მათ "გარნიე", "როშა", "კრისტიან დიორი" და სხვა პრესტიჟული ფირმები, პირიქით, "ზაგარის" მისაღებ კრემებს სთავაზობენ. ასეთებს ცდუნება ერთბაშად ეუფლებათ და აღარც იციან "ჰავაური სტილის "ზაგარის" ზეთი" შეიძინონ, თუ "ოკეანის რეცეპტით დამზადებული ექსელერატორი", ბრინჯაოსფერი სხეული "დაიყენონ", თუ შოკოლადისფერი...

ცდუნებას, ალბათ, "ზაგარის" მოდურობაც განაპირობებს, მოდურობის მიზეზი კი, თავის მხრივ, ქრონიკულად გარუჯული საერთაშორისო დონის ვარსკვლავები – ჯენიფერ ლოპესი, ბრიტნი სპირსი, ჯენიფერ ანისტონი... არიან. მათი ბრინჯაოსფერი სხეულები განსაკუთრებულ გავლენას თინეიჯერებზე ახდენს და სულ უფრო რთული ხდება, მზითა და კინოვარსკვლავებით ატაცებული მოზარდები კანის კიბოს საფრთხის რეალობაში დაარწმუნო.

ამასობაში სტატისტიკა არც თუ სასიამოვნო ცნობებს გვაწვდის. მართალია, საქართველოში ოფიციალური გამოკვლევებით ვერასდროს გავიგებთ, თუ რა მავნე გავლენას ახდენს გარუჯვა ადამიანებზე, მაგრამ მოდით, ამერიკის კიბოს საზოგადოების მონაცემებს ვენდოთ. მათი ცნობით, 70-იანი წლების შუახანებიდან 90-იანი წლების ბოლომდე 15-29 წლის ქალებში მელანომის რიცხვი ორჯერ გაიზარდა, იმავე ასაკის მამაკაცებში კი 26.7 პროცენტით.

თუმცა, ცხადია, ყველაფერში მზეს ვერ დავადანაშაულებთ. ჯანმრთელობისთვის კარგი ხომ არც სოლარიუმში მიღებული "ზაგარია". არადა, 70-იან წლებში, როდესაც დახურულ ოთახში გარუჯვის ტრადიცია პირველად გაჩნდა, ალტაცებით ამტკიცებდნენ: სალონის "ზაგარი" უკეთესია იმიტომ, რომ ის არ გწვავს. ალტაცება არც ახლა განელებულა. ამერიკის დერმატოლოგიის აკადემიის მონაცემებით, სოლარიუმში ყოველდღიურად დაახლოებით ერთი მილიონი ამერიკელი დადის. დერმატოლოგი ვიდერი კი ამბობს: "სოლარიუმში ულტრაიისფერი სხივების საშუალებით ირუჯებიან. ეს სხივები კი თითქმის ისევე მავნეა, როგორც მზის. მეტიც, სალონის "ზაგარი" ბუნებრივ მზეზე უარესიც კია, რადგან როდესაც მზეზე იწვები, გრძნობ, გტკივა და მერე ცდილობ, მოერიდო, სალონში კი ამას ვერ ახერხებ".


კოპაკაბანას პლაჟზე დამსვენებლებს პოლიცია იცავს

როგორც ხედავთ, საფრთხის მიუხედავად ადამიანები არც ხელოვნურ "ზაგარს" ერიდებიან და კიდევ უფრო ხვეწენ ამ ტექნოლოგიას. ბოლო წლებში ძალიან პოპულარული მეთოდია ე.წ. "ავტოზაგარის" კრემებით გარუჯვა. "ეს კრემი 30 დოლარზე ნაკლები ღირს და ერთხელ წასმა ოთხ დღეს მყოფნის", - აცხადებს 29 წლის სანტამონიკელი ელიზაბეტ ვილალობოსი, რომელიც ავტოზაგარს 12 წელია, ხმარობს.

ასე რომ, ფაქტია, ჩვ.წ.აღ-მდე დაწყებული მზის გაკერპების პროცესი ახალ ათასწლეულშიც წარმატებით გრძელდება. ამ ფონზე კი, ალბათ, საუკეთესო გამოსავალი ისევ მზის სხივების დამბლოკავი კრემებისა და ლოსიონების შეძენაა. ბოლო დროს დიდი პოპულარობით სარგებლობს მზისგან დამცავი ტანსაცმელიც. ბევრს შეიძლება ეს უბრალო კომერციად ეჩვენოს, მაგრამ ფაქტია: მზის სხივების დამბლოკავი ტექნოლოგიების გამოგონება ადამიანს მაინც აძლევს საშუალებას, გარუჯვის პროცესი თვითონ აკონტროლოს – მზისგან თავი ან 2 პროცენტით დაიცვას, ან მთელი 50-ით. არჩევანის გაკეთება კრემებს შორის კი ისევ ჩვენი ცდუნებისა და გამბედაობის ხარისხზეა დამოკიდებული. ერთი სიტყვით, სასიამოვნო ცდუნებას და გარუჯვას გისურვებთ.



სუპერმოდელი შიზელი ახალ საცურაო კოსტიუმს წარადგენს

# კანის ფერი და სოციალური სტატუსი

იყო დრო მზეს თაყვანს სცემდნენ, როგორც ღმერთს, შემდეგ მისი მნიშვნელობა და დანიშნულება შეიცვალა. თუმცა, მზე მაინც დარჩა ერთგვარ სიმბოლოდ, რომელიც განსაზღვრავდა ადამიანების სტატუსს.

კანის ფერი თანდათან იქცა იმ ფაქტორად, რითაც ერთმანეთისგან განასხვავებდნენ სოციალურ ფენებს – ბატონებსა და მსახურებს. თეთრი, გაურუჯავი კანი მაღალი საზოგადოების პრეროგატივა იყო, მუქი, მზისგან დამწვარი კანი კი – მსახურებს, ანუ ღია ცის ქვეშ მშრომელთა ფენას ეკუთვნოდა. ანუ, რაც უფრო ფერმკრთალი იყო კანი, საზოგადოების მით უფრო მაღალ საფეხურზე იდგა მისი პატრონი და ამ რწმენის გამო, ადამიანებიც დიდი ხნის განმავლობაში მონდომებით ემალებოდნენ მზეს.

მეტიც, ძველბერძენი და რომაელი ქალები ლოყებს ცარცითაც ითეთრებდნენ. ეს კი შხამის წვეთ-წვეთად მიღებას ნიშნავდა და ხშირად ეს ნებაყოფლობითი "გათეთრება-მოწამვლის" პროცესი სიკვდილით მთავრდებოდა. თუმცა, არსებობდა კანის გათეთრების გაცილებით უსაფრთხო მეთოდები. მაგალითად, დედოფალ ელიზაბეტის დროს ინგლისელი ქალები შუბლზე წვრილ, ლურჯ ხაზებს იხატავდნენ, რათა კანი უფრო გამჭვირვალე გამოჩენილიყო, გარეთ კი ქოლგებით გადიოდნენ...

საზოგადოებამ გარუჯული კანი, როგორც ბუნებრივი სილამაზე მხოლოდ მეოცე საუკუნეში აღიქვა. ამ პროცესის დაწყება კი შეგვიძლია ფრანგ მანდილოსნებსა და ქალთა ემანსიპაციის პროცესს დავაბრალოთ:

1920-იან წლებში პარიზში კოკო შანელის დრო იდგა. სწორედ ის ხელმძღვანელობდა ქალების ტანსაცმლის გაუბრალოების, გათავისუფლების პროცესს. ქალები თანდათან უფრო გაბედულად გამოდიოდნენ მზის ქვეშაც. ღია ცის ქვეშ თამაშობდნენ ჩოგბურთს, დადიოდნენ სასეირნოდ, საპიკნიკოდ. ერთი სიტყვით, კანის თეთრად შენარჩუნება სულ უფრო რთული ხდებოდა.

თუმცა, ეს უკვე აღარავის ადარდებდა. გარუჯულ კანს თანდათან შეეჩვია ფრანგების თვალი. მეტიც, გარუჯვა თანდათან ახალი ცხოვრებისეული ფასეულობების სიმბოლო და მდიდრების გასართობი გახდა. თითქმის იმავდროულად მოდაში შემოვიდა კარამელისფერი კანის მქონე მომღერალი ჟოზეფინ ბეიკერი. თვითონ კოკომ კი ერთ დღესაც პარიზიდან კანში უესტმინსტერის ჰერცოგის იახტით იმგზავრა, გზაში შემთხვევით ზაგარი მიიღო და თავისი კანის ფერი ისე მოეწონა, რომ აქტიურად დაიწყო ქალებში მზის "რეკლამირება". თანდათან ევროპის პლაჟები მზის სხივებს დახარბებული ქალებით გაივსო, გაყიდვაში გამოვიდა ყავისფერი შეფერილობის კრემები და "რუმიანები". მანდილოსნები ხელიდან არ უშვებდნენ გარუჯვის არც ერთ შანსს და სპეციალურად მათთვის გასაყიდად გამოუშვეს უსახელო კაბები, მოდაში შემოვიდა ფეხსაცმლის უწინდოდ ჩაცმაც.


ლონდონელი გოგონები ტრაფალგარის სკვერში მზეს ეფიცხებიან

1940-იან წლებამდე ქალთა ჟურნალები გარუჯვას მოდურ პროცესად აცხადებდნენ და რეკლამას უწევდნენ სპეციალურ გასარუჯ ზეთებსაც. პერიოდულ გამოცემებში უკვე გაბედულად ბეჭდავდნენ ერთ ან სულაც ორნაწილიან საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილ ლამაზმანებს. ჟურნალებიდან გაშიშვლებული და გარუჯული რიტა ჰეიუორთი და ბეტი გრეიბლი იწონებდნენ თავს და დანარჩენებსაც მზის აბანაზების მისაღებად აქეზებდნენ...

მხოლოდ 1979 წელს გაიაზრა უკვე გვარიანად გარუჯულმა თაობამ, რომ დიდი რაოდენობით მზე კანისთვის მავნე იყო. ასე გაჩნდა მზის სხივების დამბლოკავი კრემები, გამოიგონეს სოლარიუმებიც, ვითომ კანის სიჯანსაღის შესანარჩუნებლად და მზისგან დასაცავად. მელანომის შემთხვევებმა კი მაინც არ იკლო, პირიქით, ზაგარის შედეგად წარმოქმნილი კანის დაავადების რიცხვმა კიდევ უფრო იმატა.

თუმცა, ამან 1920-იან წლებში დაწყებული მზესთან დაახლოების პროცესი მაინც ვერ შეაჩერა. როგორც ჩანს, კაცობრიობას ისე მობეზრდა უმზეოდ გატარებული საუკუნეები, რომ დღეს დიდი საფრთხის მიუხედავად გარუჯვაზე უარს მაინც არ ამბობს.




თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

17 ივლისს, ხუთშაბათშ 14 საათზე **შპს "აისი"** გურჯაანის ნაყინსა და გაზეთ **"24 საათის"** ინიციატივით, ამავე გაზეთის რედაქციაში ტარდება პრესკონფერენცია, რომელიც მიზნად ისახავს გააცნოს საზოგადოებას შპს "აისის" მიერ შემუშავებული გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ.

**თანაორგანიზატორები:**
საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო **M.G. & Company** და სტუდია **"Art magic".**




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდსასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.